ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. რეგულარული ნომერი გამოდის ყოველი თვის 23 რიცხვში.
შუალედებში გამოდის მხოლოდ სპეციალური (თემატური) ნომრები. • №3 (2013) 23.07.2005 • ფასი 50 თეთრი

## ჩინეთ-რუსეთ-ირანული ალიანსი



მოვლენები კანონზომიერად ვითარდება. რა იქნება ხვალ?

მე-2 გვ.

დამოკიდებულება "ვერშემდგარი" და "სუსტი" ქვეყნებისადმი იცვლება. ჩვენ სასარგებლოდ?

მე-5 გვ.



## ბომბი გვიახლოვდება საქართველოს. მასთან ერთად ომიც?

მე-2 გვ.

[illegible]

## პოლკოვნიკ ლაკიას მოგონებანი

მე-11 გვ.



## ირანის ახალი პრეზიდენტის შესახებ

მე-4 გვ.

## რა არის გლობალიზაცია?




მე-15 გვ.

## როგორ დაქვეითდა რუსეთის ძლიერი არმია



მე-16 გვ.

## რატომ ომობენ ბავშვები?



მე-16 გვ.



მე-16 გვ.

## ეკოლოგიური არაკომპეტენტურობის შედეგი

## ბევრჯერ გაგაფრთხილეთ ცხინვალზე, მინაზე, პორტებზე, ბაზებზე, „მონადირეზე"...



მე-8, 9, 10 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## I. საგარეო პოლიტიკა

# ჩინეთ-რუსეთ-ირანული ალიანსი

*„საქართველოს" ა.წ. 18 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ „საქართველოს საგარეო პოლიტიკის ეროვნულ კონცეფციას" რამდენიმე ავტორი გამოეხმაურა წერილებით. ვბეჭდავთ კრიტიკულ გამოხმაურებებს, ანუ ისეთებს, რომლებიც „კონცეფციაში" გამოთქმული პოზიციების შეცვლას ან შევსებას გულისხმობენ.*

მოვლენები კანონზომიერად ვითარდება. რა იქნება ხვალ?

გაზეთი „საქართველო" უკვე მრავალი წელია წინასწარმეტყველებს შესაძლო III მსოფლიო ომის მონაწილე ერთი მხარის ვინაობას: ეს იქნება ჩინეთის, რუსეთისა და ისლამური ქვეყნების ერთი ნაწილის ალიანსი, საფიქრებელია — უდიდესი ნაწილის. პროგნოზირებადია ისიც, თუ როდის ანუ რა პირობების შემთხვევაში მოხდება ამ ალიანსის შეკვრა: ამ სამთა კავშირი, რომელსაც ძნელად თუ შეემატება ვინმე სხვა, მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მთავარ წევრებს — ჩინეთსა და რუსეთს — იმედი გაუჩნდებათ, რომ ერთობლივი ძალა ეყოფათ, რათა დასავლეთთან, პირველ ყოვლისა — შეერთებულ შტატებთან ეფექტიანი სამხედრო-სამრეწველო დაპირისპირება შეძლონ. მანამდე რუსეთი და ჩინეთი ხან თავაზიანი, ხან ნაკლებ თავაზიანი დიპლომატიური დაპირისპირების მდგომარეობაში იქნებიან, რომელიც დაიწყო — ჯერ გაუმხელელი, შემდეგ კი გამხელილი კონფლიქტების სახით, — ორი წლის თავზე მას შემდეგ, რაც ამ ორმა გიგანტმა ერთად წააგო კორეის ომი, რომელშიც დასავლური იარაღის, სტრატეგიის, ტაქტიკის, რესურსებისა და მართვის უზარმაზარი უპირატესობა გამოჩნდა. ამ დამარცხებამ გამოიწვია უკან დახევის — დასავლეთთან ურთიერთობაში ე.წ. „დათბობის" — აუცილებლობა, ამ აუცილებლობამ — სტალინის მოცილების გარდუვალობა, (რადგანაც სტალინისთვის მრავალი მიზეზის გამო რადიკალური უკანდახევა შეუძლებელი იყო. იგი მოიცილეს კიდეც 1953 წლის მარტში). „დათბობისა" და დათმობის ეს პოლიტიკა დღემდე განუხრელად გრძელდება, თვით „ორი სამყაროს" ისეთი ომების ფონზეც კი, რომლებშიც რუსეთი ძლევამოსილი გამოჩნდა: ვიეტნამის მრავალწლიანი ომის ფონზე და კოსმოსური შეჯიბრის ორიოდე წლის ფონზე, რომელშიც რუსეთი ლიდერობდა მანამდე, სანამ აშშ-მ სათანადო ძალისხმევა არ მოახდინა, რათა თავისი ჩამორჩენა დაეძლია და ძალთა შეფარდებაში რადიკალური ცვლილება მოეხდინა. უკვე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პუტინის მმართველობაში უიმპერიოდ და უსატელიტებოდ დარჩენილმა რუსეთმა კიდევ ერთხელ მოისურვა ქმედითი ანტიდასავლური ალიანსის შექმნა შანხაის შეხვედრის სახით, სადაც რეალურ პოტენციურ მოკავშირეებად რუსეთი და ჩინეთი ფიგურირებდნენ, ხოლო დამკვირვებლად — ინდოეთი და სხვანი. პუტინის დიდად რეკლამირებული ინიციატივა სამწევრიანი კავშირის (რუსეთი-ჩინეთი-ინდოეთი) შექმნისა მალევე დაჭკნა, რადგან ინდოეთის დაყოლიება ანტიდასავლურ პოლიტიკაზე შეუძლებელია მისი არა მხოლოდ ობიექტური ინტერესების, არამედ მისი მენტალობისა და კულტურული ჰაბიტუსის გამოც. მაგრამ ალიანსის ღერძი — რუსულ-ჩინური სტრატეგიული ალიანსის იდეა — ძალაში დარჩა, ისევე, როგორც ლოდინის პოლიტიკა, თუ როდის გაიშლება ჩინეთის პოტენციალი საკმარისად სრულად, რათა სტრატეგიული ბალანსის რეალური კორექტირება მოახდინოს.



შიიტი ლოცულობს ბაღდადის მეჩეთში, მაგრამ იარაღი თან აქვს

რა ხდება ახლა? ასტანაში (ყაზახეთი) შემდგარ შეკრებაზე ჩინელები, რუსები და შუააზიელები თავაზიანად, მაგრამ მყარად აცხადებენ ამერიკული შემოღწევისადმი წინააღმდეგობას, ან, როგორც მინიმუმი, მისით უკმაყოფილების გამოთქმის კურსს და მკაფიოდ ისახება ჯერჯერობით მხოლოდ სიტყვიერსა და განწყობილებისმიერ ალიანსში ირანის შემოყვანისა თუ შემოშვების პოლიტიკა. ამ მოვლენის გაგება პირველ ყოვლისა, მთავარი კითხვის პასუხს გულისხმობს: ჩათვალეს თუ არა ალიანსის წამყვანმა მონაწილეებმა (რუსეთმა და ჩინეთმა) თავი საკმაოდ ძალმოსილად, რათა დასავლური დემოკრატიისა და გეოსტრატეგიის შუა აზიისაკენ მოძრაობას წინ აღუდგნენ? ეს გადაწყვეტილება — თუკი იგი გულწრფელია და არა პოკერული ბლეფი, — იმითაა განპირობებული, რომ დღეს ამერიკელებთან დაპირისპირების უკეთესი პირობები აქვთ, ვიდრე გუშინ და ხვალ, თუ, უფრო, იმით, რომ აღმოსავლეთისაკენ ამერიკელების მოძრაობის ტემპი აშინებთ და იძულებულნი არიან რაღაც ზომები, თუნდ მოუმზადებელი მიიღონ?

შესაძლო ფაქტორად, უთუოდ, შეგვიძლია ის დავასახელოთ, რომ რუსეთმა ნავთობის ფასების გაზრდასთან დაკავშირებით მკვეთრად გამოასწორა თავისი ფინანსური მდგომარეობა და ეს გარემოება სითამამეს ჰმატებს. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ჩინურ-რუსულ შესაძლო ალიანსში რუსეთი უკვე კარგა ხანია აღარ არის წამყვანი მხარე, არამედ ჰეგემონია დღეს, უფრო, ჩინეთს ეკუთვნის. მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე კომპეტენტური ჟურნალი „The Economist", რომელსაც „საქართველო" ხშირად იმოწმებს, უკვე დიდი ხანია წერს, რომ უფროსი ძმის კილოზე ამ ალიანსში უკვე ჩინეთი ლაპარაკობს და არა რუსეთი. ისიც არაა შემთხვევითი, რომ, რუსული პრესის ინტერპრეტაციით, ასტანას შეხვედრაზე პუტინი თვალში საცემ თავმდაბლობას იჩენდა, როის გამოც სხდომებზე ინიციატივა ჩინეთის ლიდერის ხელში იყო. თუ ასეა, ეს იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილებათა მთავარი მიმღები ჩინეთია და არა რუსეთი და შეხვედრის ინიციატივაც, ისევე როგორც ალიანსში ირანის ევენტუალური მიწვევის ინიციატივა, ჩინეთისაგან მოდის. რატომ ირჩევს ჩინეთი თავისი ინიციატივისთვის ამ მომენტს, როცა მისი დადებითი სალდო ამერიკელებთან ვაჭრობაში, იმავე THE ECONOMIST-ის ცნობით წლიურად 160 მილიარდ დოლარს შეადგენს და ამ თანხის რაციონალური გამოყენებით თავისი ინფრასტრუქტურების განსავითარებლად ჩინეთი მოელის (და სხვანიც მოელიან არც თუ მშვიდად), რომ ჩინური ეკონომიკა თავისი მოცულობით 2020 წლისათვის იმ ნიშნულს მიაღწევს, რომელიც შეერთებულ შტატებს 2000 წელს ჰქონდა? ახსნა მხოლოდ იმაში შეგვიძლია ვეძებოთ, რომ ჩინეთი ჩქარობს ამერიკელებისათვის შუა აზიაში ზღუდის ჩადგმას. ამერიკის უაღრესად დინამიური ეკონომიკა, მისი უსაზღვრო პრესტიჟი, როგორც დასავლეთისა და დღევანდელი ცივილიზაციის ლიდერისა, მისი ადამიანთა ფართო მასისათვის მიმზიდველი სოციალური მოდელი და ინფრასტრუქტურა მას არა თუ კონკურენტუნარიანს ხდის ახალ პარტნიორებთან ურთიერთობაში, არამედ კონკურენციის გარეშეც კი აყენებს. ამერიკული ინვესტიციების, ინსტიტუტების, მოხმარების საგნების, განათლების პერსპექტივების მასშტაბური შეღწევა შუა აზიაში, საფიქრებელია, მოკლე ხანში მიიპყრობს ფართო მასების ცხოველ დაინტერესებას (რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს შეღწევა მოხდება ჭკვიანურად და არა ადგილობრივი ეკონომიკის, კულტურული ტრადიციებისა და განათლების სისტემის მიზანმიმართული ნგრევით, როგორც საქართველოში ხდება) და შუა აზია ეკონომიკურადაც და მენტალურადაც იმდენად მიიხედავს დასავლეთისაკენ, რომ ჩინეთი თავის მთავარ უპირატესობას დაკარგავს ამ რეგიონში სამოქმედოდ, სახელდობრ, იმას, რომ ისიც, აქაურებივით, აზიელია. თუ ამერიკელები დამკვიდრდნენ ცენტრალურ აზიაში ეკონომიკურად, კულტურულად და მენტალურად, ეს საკმარისი იქნება მათთვის თავისი სტრატეგიული ამოცანის მისაღწევად: შუა აზია-კასპიის რეგიონში მესამე მსოფლიო ომის ფრონტი აღარ გაიხსნება (ანუ არ გაიხსნება ამ შესაძლო ომის ის ფრონტი, რომელიც ჩინეთისათვის, როგორც მახლობელი სახელმწიფოსათვის და, რაც მთავარია, სახმელეთო სახელმწიფოსათვის ყველაზე მომგებიანია) და დასავლეთი არ იქნება იძულებული, რომ დაძაბული ძალისხმევა მოახმაროს ამ ფრონტზე ბრძოლას იმის ნაცვლად, რომ თავისთვის უფრო ხელსაყრელ ფრონტზე — საზღვაო ფრონტზე (წყნარი ოკეანე) — კონცენტრაცია მოახდინოს. თუ ეს მოხდა — ანუ თუ მოვლენები ისე განვითარდა, როგორც დღეს მიდის, და ამერიკელები დაუბრკოლებლად დამკვიდრდნენ შუა აზიაში, დიდი კულტურული და ეკონომიკური პოტენციალით და თუნდაც მცირე სამხედრო უზრუნველყოფით — მაშინ ჩინეთს ვეღარ ექნება იმედი თავისი პრობლემის გადაჭრისა ტაივანთან დაკავშირებით, რომელიც (ეს პრობლემა) სტრატეგიულად თანაბრად საინტერესოა მისთვისაც და ამერიკელებისთვისაც: რადგან თუ ჩინეთმა ტაივანი შეიერთა, მაშინ მას რეალურად ეძლევა შესაძლებლობა აიღოს პირველხარისხოვან საზღვაო ძალად განვითარების კურსი (რასაც ამერიკელები, ბუნებრივია, ძალიან უფრთხიან), ხოლო თუ ტაივანი ამერიკელების მოკავშირე ერთეულად დარჩა, მაშინ ჩინეთს, პრაქტიკულად, ოკეანისკენ სტრატეგიული განვითარების გზა დიდი ხნით გადაკეტილი აქვს.

რამდენად რეალურია ის ზრდილობიანი მუქარა ამერიკის მისამართით, რომელიც ასტანაში გაისმა, ეს

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ბომბი გვიახლოვდება საქართველოს, მასთან ერთად ომიც?

სამი წლის წინ პრეზიდენტმა ბუშმა ჩრდ. კორეას, ირანს და ერაყს „ბოროტების ღერძი" უწოდა (იმ „ღერძის" მინიშნებით, რომელიც II მსოფლიო ომის დროს გერმანიის, იტალიის და იაპონიის ალიანსს ერქვა სახელად), შემდეგ მან ამ სახელის გამოყენებაზე ხელი აიღო (რადგან, ჯერ ერთი, ერაყში ბირთვული წარმოება ვერ მოინახა, მეორეც, სადამი დამხობილ იქნა). ბუში, THE ECONOMIST-ის თქმით, „მგელო, მგელოს" დამყვირებლის როლში დარჩა. მაგრამ დღეს, ჟურნალის სიტყვით, მგლები რეალობად იქცნენ. ჩრდ. კორეიდან, რომელმაც 2003 წელს ზურგი შეაქცია ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობას (NPT), მოდის ამბავი, რომ იქ უკვე ატომური ბომბის გამოცდისათვის ემზადებიან (შესაძლოა — სულ რამდენიმე კვირაშიც. დღეს ამას უფრო ოპტიმისტური ინფორმაცია ენაცვლება: კორეა თითქოს, თმობს), ხოლო ირანმა განუცხადა ბრიტანეთს, საფრანგეთს და გერმანიას, — ანუ იმ სამ ქვეყანას, რომლებიც მასთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ, რათა ხელი აალებინონ ბირთვული ბომბის შექმნის პროგრამაზე, — რომ მალე ხელს აიღებს პროგრამის შეჩერებაზე, რომელიც აგერ ექვსი თვეა გრძელდება ამ სამი ქვეყნის თხოვნის შედეგად, და განაახლებს მუშაობას.

ვითარება ასეთია: ისპაანში (ირანი) არის ბუნებრივი ურანის („ყვითელი ნამცხვრის") გადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც მას გაზად გარდაქმნის, ცენტრიფუგა კი ამ გაზს უფრო გამოყენებად სახეს აძლევს. დღეს განცხადებულია, რომ ამ ქარხნის მუშაობა განახლდება, თუ ეს მოხდა, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო (iaea, იგივე „Магатэ", იგი გაეროს ბირთვული მცველია), შეკრებს თათბირზე თავის 35-სავე წევრს. დიპლომატიური პროცესი იმგვარი იქნება, რომ ირანს, სავარაუდოა, გაეროს უშიშროების საბჭოს წინაშე დააყენებს. ირანელების განცხადებით, ამ წლის ბოლომდე ამუშავდება ხსენებული ცენტრიფუგების საწარმოც, რაც — თუ გავითვალისწინებთ, რომ ურანის გამდიდრების ტექნიკა ერთ-ერთი დიდი პრობლემაა ბირთვული იარაღის წარმოებაში, — ირანის გეგმას მნიშვნელოვნად წინ წაწევს. ირანი აცხადებს, რომ მას, როგორც გაუვრცელებლობის ხელშეკრულების მონაწილეს, აქვს უფლება ყველა ხსენებული სამუშაოს წარმოებისა და იგი ამ უფლებას გამოიყენებს. რამდენად რჩება და დარჩება იგი ამ ხელშეკრულების ჩარჩოებში, ეს, ირანელთა აზრით, ინსპექტორების გასარკვევია. დასავლეთის აზრით კი, ირანს ისეთი მდიდარი ისტორია აქვს ტყუილებისა და სინამდვილის დაფარვისა ბოლოოც წელიწადში, რომ სანდო ვერაფერი იქნება გარდა ირანის მიერ ბირთვული სამუშაოების (მათ შორის მშვიდობიანისაც) სრული ალკვეთისა.



შაჰიდმა თავი აიფეთქა, მაგრამ ცოცხალი გადარჩა და ტყვედ ჩავარდა. ახლა მას პოლიცია ჰკითხავს

ევროპელებმა სცადეს ირანელთა დაყოლიება ვაჭრობის შეთავაზებით და შედარებით ნაკლებ საშიში ბირთვული ტექნოლოგიების გაზიარებით, ამერიკის პრეზიდენტიც დაითანხმეს, რომ ირანს შესთავაზონ მოლაპარაკებების განახლება მის შეყვანაზე WTO-ში („მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია") და მისი მომარაგება სათადარიგო ნაწილებით მისი დაბერებული სამოქალაქო ავიაციისთვის, მაგრამ ირანმა უარი თქვა. ირანის ყოფილმა პრეზიდენტმა რაფსანჯანიმ, მოლაპარაკებათა აღიარებულმა დიდოსტატმა, შესთავაზა ქვეყანას თავისი სამსახური ანუ მოლაპარაკებათა განახლება, მაგრამ მას ყური არ ათხოვეს. არის ეჭვი, რომ კრიზისი მისმა მომხრეებმა მოაწყვეს, რათა მას ეფექტური წარმოების ასპარეზი მოუმზადონ. მაგრამ არის სხვა ეჭვიც, რომ, პირიქით, მკვეთრი კურსის მომხრეებს უნდათ მდგომარეობა ისე დაძაბონ, რომ დაშოშმინება აღარ შეიძლებოდეს.

თუმცა ინსპექტორებმა აღმოაჩინეს მთელი წყება ისეთი ბირთვული სამუშაოებისა, რომელთაც არ ეძებნება სამოქალაქო გამართლება, ბომბის გასაკეთებლად მზადების პირდაპირი ნივთმტკიცებები არ ჩანს. არის მხოლოდ მძიმე კითხვები: რამდენი პლუტონიუმია წარმოებული და როდის? მართლა მოსპეს თუ არა გაძლიერებული ცენტრიფუგების ნახაზები? რატომ გადააფხიკეს ბულდოზერებით ნიადაგის ზედა შრე ინსპექტორების მისვლამდე ერთ-ერთ საეჭვო ადგილზე? და ა.შ. პაკისტანის ბირთვული პროგრამის მეთაურმა აბდულ ყადირ ხანმა ბევრი იცის ირანის პროგრამის შესახებ, აგრეთვე მისმა მარჯვენა ხელმა ტაპირმა, მაგრამ მათი დაკითხვის ნება პაკისტანმა არ დართო.

თუ ირანს გადაწყვეტილი აქვს ბირთვული იარაღის შექმნა, დასავლური დიპლომატია მას

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# I. საგარეო პოლიტიკა

*მეორე გვერდიდან*

ძნელად თუ შეაფერხებს. ირანისათვის ყველაზე გონივრული ტაქტიკა ის იქნება, რომ იგი დაუბრუნდეს ურანის გამდიდრებას და შექმნას ურანისა და პლუტონიუმის მარაგები, მაგრამ ამავე დროს დაეთანხმოს ინსპექტორთა მუშაობას, ხოლო შემდეგ, როცა საჭიროდ ჩათვლის, გამოვიდეს გაუვრცელებლობის ხელშეკრულებიდან. რა შეიძლება ასეთ შემთხვევაში დასავლეთს? გაეროს უშიშროების საბჭოში მიმართვა. მაგრამ აქ დაბრკოლებაა ორი ფაქტორი. პირველი, ბევრ ქვეყანას გულში აქვს საკუთარი ბირთვული ამბიციები, ამიტომ მკაცრ ალმკვეთ ზომებს ირანის მიმართ არ მიემხრობა. მეორე. რუსეთს უკვე გამოთქმული აქვს თავისი პოზიცია: იგი ირანის მიმართ სანქციების მომხრე ვერ იქნება.

ამგვარად, ჩრდ. კორეას ბირთვული იარაღი, შეიძლება ითქვას, უკვე აქვს, ხოლო ირანი, ფაქტობრივად, მყარად ადგას მისი შექმნის გზას. ერთიც და მეორეც „არაპროგნოზირებადი" ხელისუფლების მყოლი ქვეყნებია ანუ ორივეს ნებისმიერ მომენტში შეუძლია ბირთვული იარაღის გამოყენება. თუ ამ ორს „გაუვიდა" ატომური ბომბით ალჭურვის ოპერაცია, ეს მრავალ სხვასაც წააქეზებს, მათ შორის — ასევე „არაპროგნოზირებადი" პოლიტიკური რეჟიმების მქონე ქვეყნებს.

ჟურნალი სვამს კითხვას: რა უნდა ვქნათ? პასუხის პირველი დებულებაა: უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს პრობლემა მხოლოდ ამერიკელების კი არაა, არამედ მსოფლიოსი. მისი შემდგომი დებულებაა ის, რომ ევროპელების ჩარევას დღემდე ამაოდ არ ჩაუვლია — მათ მიაღწიეს ირანის ბირთვული პროგრამის 6 თვით შეჩერებას მაინც. ახლა თუ მათ უნდათ, რომ „სერიოზულად განიხილებოდნენ", მათ უნდა მიჰმართონ ირანის მოთოკვის მოთხოვნით გაეროს უშიშროების საბჭოს, მაგრამ გაერო ყოვლისშემძლე არ არის, რადგან ირანს აქვს გასამართლებელი საბუთი: მართალია, აქამდე აესს-ის წესები ცოტა შევლახეთ, მაგრამ ანი ყველაფერი რიგზე გვაქვს და მხოლოდ მშვიდობიანი ატომის პროგრამას მივდევთო. უშიშროების საბჭოს ძალოვანმა წევრებმა შეიძლება გაითამაშონ, რომ ირანის უმწიკვლობა სჯერათ — რუსეთმა იმიტომ, რომ თავისი რეაქტორების გაყიდვა უნდა, ჩინეთმა და იაპონიამ კი იმიტომ, რომ ირანის ნავთობი უნდათ (ამ ქვეყნების სტრატეგიულ მოტივებს ჟურნალი არ ახსენებს). საერთოდაც, ნავთობის დღევანდელი სიძვირის პირობებში ცოტა ვინმე თუ იქნება მომხრე, რომ ირანის ნავთობი (რაღაცა ხნით) მსოფლიო ბაზარს მოაკლდეს. ამიტომ გაეროს მიერ დადებული სანქციები, პირველ ხანებში მაინც, ძალიან მსუბუქი იქნება. მესამე დებულება. თუმცა ამერიკელები დიდ იმედებს ამყარებენ იმაზე, რომ ირანს იზრაელის ავიაციით შეაშინებენ (მათ გადაწყვეტილება მიიღეს ბუნკერგამანადგურებელი ბომბები მიჰყიდონ იზრაელს, რომელსაც, როგორც ცნობილია, ძლიერი ავიაცია ჰყავს), და თუმცა იზრაელიც არ გამორიცხავს წინმსწრებ დარტყმას ირანზე, იზრაელი მაინც ნათლად ამბობს, რომ საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტა ურჩევნია. გარდა ამისა, საეჭვოა, რომ ავიადარტყმები ირანის ძალიან მიმობნეულ და ძალიან შენიღბულ ბირთვულ ობიექტებზე ეფექტიანი აღმოჩნდეს, და უეჭველია, რომ ირანი შეეცდება საპასუხო სარაკეტო დარტყმები განახორციელოს იზრაელისა და ერაყში მყოფი ამერიკელების წინააღმდეგ. მეოთხე დებულება. ეს უკანასკნელი გარემოება — ირანზე დარტყმის ეფექტიანობის მცირე პერსპექტივა — სასიხარულოა რუსეთისათვის, ჩინეთისათვის და ევროპელებისათვის, რომელნიც სკეპტიკურად ეკიდებიან ამერიკულ პოზიციას, რომ აშშ-ს პრევენციული (წინმსწრები) დარტყმის უფლება აქვს. მაგრამ თუ ასეა, მაშინ, ჟურნალის აზრით, ეს ქვეყნები ვალდებულნი არიან სხვა გზა მონახონ. რა გზა? ჩინელებმა და ევროპელებმა (რუსეთს ჟურნალი ამ შემთხვევაში აღარ ახსენებს) უნდა გამოავლინონ, რომ მზად არიან ყველა რისკისათვის და ყველა მსხვერპლისათვის, რათა აცილებულ იქნას მოვლენათა ზემოხსენებული გზით წასვლა. „ბოლოსდაბოლოს, ჟურნალის სიტყვით, შესაძლოა, არც არსებობს გზა, რომ პარანოიკ ქვეყნებს ხელი აალებინო ბირთვულ იარაღზე". ამ ძალიან მძიმესა და მრავლის მიმანიშნებელ პასუხს მოსდევს ისევ რბილი შენიშვნა: ეგებ ირანი ევროპასა და მსოფლიოს ბაზრებმა იმდენად მოხიბლონ, ხოლო კორეა მისმა დამოკიდებულობამ ჩინეთის ენერგეტიკულ დახმარებაზე იმდენად დააფიქროს, რომ მათ ნებით ხელი აიღონ ბირთვულ ენერგიაზე და, ამდენად, ბოთლიდან ამოსული ბირთვული ჯინი კვლავ ბოთლში ჩაძვრეს.

რედაქციისაგან: The Economist-ის აქ მოკლედ წარმოდგენილი მასალა საქართველოსათვის უაღრესად მნიშვნელვანია. ეს ჟურნალი მსოფლიოში საუკეთესოთაგანია თავისი ობიექტურობითაც და კომპეტენტურობითაც. ხიფათი, რომელზეც იგი ლაპარაკობს, საქართველოსათვის უფრო დიდია, ვიდრე მსოფლიოსათვის საშუალოდ. გაორკეცებულად დიდია იგი იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ტერიტორია გამოიყენეს შესაძლო ომისათვის. იზრაელისაგან განსხვავებით, საქართველოს არ ჰყავს ანგარიშგასაწევი ავიაცია და არ აქვს დიდმასშტაბიან დარტყმებზე პასუხისათვის საჭირო ბომბები. ჩავა „ჯინი" ბოთლში, ანუ შეჩერდება მსოფლიოში ბირთვული იარაღის გავრცელების პროცესი, რომელსაც უკვე დიდი ნაბიჯები აქვს გადადგმული? ჟურნალის დღევანდელი მასალა მეტყველებს, რომ ამას დიდი ალბათობა არა აქვს (მისივე პუბლიკაციები იმაზე, თუ რამდენად მყიფეა იმედი, რომ არ მოხდება ბირთვული იარაღის გამოყენება პაკისტან-ინდოეთის შესაძლო კონფლიქტში, მკითხველს ადრე მივაწოდეთ). შეიძლება პარადოქსად ჟღერდეს, მაგრამ თქმულიდან გამომდინარეობს: საქართველო ვერ ასცდება პრობლემას, თუ როგორ მოიქცეს და უშველოს თავს მომავალ მსოფლიოში, რომელიც შესაძლოა წყალსა და ზეთსავით ურთიერთგაყოფილი ბირთვული და არაბირთვული სახელმწიფოებისაგან, ანუ ანგარიშგასაწევი და არაანგარიშგასაწევი სახელმწიფოებისაგან იქნება შემდგარი. ცხადია, საქართველო უნდა ეცადოს, რომ ან თვითონ, ან სხვა თავისავით მცირე სახელმწიფოებთან ერთად ანგარიშგასაწევთა რიცხვში იყოს. ყოველ შემთხვევაში, ნათელია, რომ საქართველოს არა აქვს უფლება ხელი აიღოს ფუნდამენტური მეცნიერების ქონასა და განვითარებაზე.



პირველი ბირთვული დაბომბვა

ბირთვული იარაღის ქონის უფლება — იძულებით, მაგრამ უყოყმანოდ — არაოფიციალურად მიცემული აქვს 5 სახელმწიფოს (აშშ, რუსეთი, ჩინეთი, ინგლისი, საფრანგეთი). ამათი ბირთვული არსენალი დღეს უფრო მცირეა, ვიდრე ოდესმე. იგი განუხრელად მცირდება შეთანხმებათა შედეგად. მაგრამ მას ქმნიან ან მისი შექმნისაკენ მიისწრაფვიან სხვანი. ეს უკანასკნელნი ფიცულობენ, არც იარაღი გვაქვს და არც მისი შესაქმნელი ფული, არც მისი შექმნის განზრახვაო, ჩვენ მხოლოდ მშვიდობიანი ატომის დაუფლებისათვის ვიბრძვითო. თუმცა ეს ფიცი სარწმუნო არაა, ახალ კანდიდატებს თავისი ლოგიკა აქვთ: რატომ ხდება აშშ-სა და რუსეთის განიარაღება ასე ნელაო? (დღეს ყოველ მათგანს 1700-2200 ქობინი აქვთ დაკანონებული, რეზერვში კი სხვაც ბევრი აქვთ). ეს ლოგიკა რეალობას ვერ ასახავს: იმ რალისტურ შიშს, რომ სხვანიც იარაღდებიან (ჩინეთის ჩათვლით), ამ უკანასკნელთა მიერ ჯერჯერობით იმ 1700-2200-ზე ბევრად ნაკლები ქობინის ფლობაც ყოფნის. ასე რომ ახალ კანდიდატთა მოთხოვნა, ჩვენც ნუ გვიშლით მშვიდობიან ატომზე მუშაობასო, ჟურნალის აზრით, მისაღები არ არის.

დღეს ინდოეთის, პაკისტანის და იზრაელის გარდა ყველა ქვეყანას მოწერილი აქვს ხელი ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებაზე (Non proliferation treaty, npt) იმ იმედით, რომ ეს მათ მეზობლებს დაუკარგავს ამ იარაღის მოპოვების სურვილს. ლიბიამ ღიად დათმო: მან შარშან აღიარა, რომ ურანის გამამდიდრებელი დანადგარები შეძენილი ჰქონდა აბდულ ყადირ ხანისაგან, პაკისტანური ბომბის მამისაგან, რომელიც ამავე დროს მსოფლიო ბირთვული კონტრაბანდის ქსელის ერთ-ერთი დამაარსებელია. მან ლიბიის ეს კეთილმოსურნე აქტი კიდევ დაატკბო იმით, რომ მაგიდაზე დადო ბირთვული ქობინის ნახაზი, რომელიც პაკისტანს მიღებული ჰქონდა ჩინეთისაგან. ეს მან, ჟურნალის სიტყვით, იმისათვის ქნა, რომ ირანისათვის და თავისი სხვა კლიენტებისათვის ხელსაყრელი ატმოსფერო შეექმნა.

ჟურნალი კითხულობს: როცა მთავრობები ტყუიან, როცა გასაკონტროლებელი ტექნოლოგიები უკვე 60 წლისაა და როცა ექსპორტის წესები იმდენად გამარტივებულია, რომ ყადირ ხანისთანებს შეუძლიათ მათთვის საინტერესო საქონელი ნაწილ-ნაწილ გადაიტან-გადმოიტანონ, ხომ არ ნიშნავს ეს, რომ NPT განწირულია? პასუხია: არა, იგი განწირული არ არის, თუ ისინი, ვინც დღეს გამწარებით უტევს ბირთვულ ხუთეულს, პირველ ყოვლისა — ამერიკას მათი ბირთვული ძალის გამო, თავის ენერგიასა და წარმოსახვის ძალას იქითკენ მიმართავენ, რომ ცხოვრება გაუძნელონ ამ იარაღის მოპოვების ახალ მსურველებს.

ეს, ჟურნალის აზრით, ასე უნდა განხორციელდეს: ჯერ ერთი, აესს-ის მიერ რეკომენდირებული კონტროლის ზომები (გარანტიის საშუალებები Safeguards) უნდა გახდეს ყველასათვის სავალდებულო (ანუ იძულებითი, რედ.). დღეს ამ შეზღუდვას არ ცნობს ან სრულად არ ცნობს აესს-ის 30 წევრი, მათ შორის — საუდის არაბეთი, ეგვიპტე, სირია, ბრაზილია და არგენტინა, რომელნიც ეჭვმიტანილნი არიან ბირთვული ამბიციების ქონაში. მეორეც, სავალდებულო წინასწარი შეტყობინების ვადა NPT-დან გამოსვლის მსურველთათვის უნდა გადიდდეს 18 თვემდე. მესამეც, უნდა მოგერიებულ იქნას ირანის განცხადება, რომ მას „ხელშეუხებელი უფლება აქვს" ნებისმიერი ბირთვული ტექნოლოგიების შექმნა-გამოყენებისა (ანუ დასაბუთებულ იქნას, რომ ირანს ასეთი უფლება არა აქვს, მიუხედავად სახელმწიფოთა თანასწორობის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპისა, რაც ძალიან ძნელია ან შეუძლებელია. რედ.).

ძალიან მწვავედ განიხილება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობასთან დაკავშირებით ამერიკის პოლიტიკის სისწორე-უსწორობის თემა. „თუ პრეზიდენტის ამოცანაა ის, რომ ყველაზე სახიფათო იარაღი ხელში არ ჩაუვარდეს სახიფათო რეჟიმებს და ტერორისტულ ჯგუფებს, მაშინ არც ერთი პრეზიდენტის ამოცანა არასდროს ამოწურული არ იქნება" — წერს ჟურნალი და კითხვას სვამს: რატომ ართულებს ამ ამოცანას ამერიკის პრეზიდენტი დღეს?

ჟურნალის აზრით, ამერიკის პოლიტიკა საკუთარ ბირთვულ არსენალთან მიმართებაში ცოტა არ იყოს ფინაჩურია (tinkering), (ე.ი. დეტალებზე ორიენტირებულია მთავარი ხაზის ნაცვლად), ეს კი ხშირად ანუგეშებს „ირანისთანებს და ჩრდ. კორეისთანებს", ვინც მსოფლიოს ანტიბირთვული წრეებისაგან გაქცევას ლამობს. ჟურნალის ეს კრიტიკა ეხება, ნაწილობრივ, ტექნიკურ მხარეს: სახელდობრ, ამერიკა უნდა ეცადოს (და ცდილობს კიდეც) იმას მიაღწიოს, რომ მისი ქობინები უფრო ნელა ძველდებოდეს (დღეს ისინი 20 წელიწადში ძველდებიან) და დეტალების შეცვლას ითხოვდეს). მაგრამ იარაღის გაუმჯობესებისათვის ზრუნვას ამერიკის მხრიდან თან სდევს ეჭვიანობა NPT-ს მონაწილე ქვეყნებში: ხომ არ გეგმავს აშშ, რომ ყურადღება გადაიტანოს სხვა, არაბირთვული იარაღების სწრაფ განვითარებაზე და ამით ნახტომისებურად გაუსწროს ყველა იმას, ვინც თავის იმედებს (დღესდღეობით შენიღბულს) ბირთვულზე ამყარებს? (ასეთ ეჭვს პირველ ყოვლისა ისინი გამოთქვამენ, ვინც ეჭვმიტანილია საკუთარი ამბიციების ქონაში). ბუშის მოხელეები ამბობენ, ეს მეცნიერული კვლევები ბუშს იმისათვის სჭირდება, რომ აშშ-ს ფართო არჩევანი დაუტოვოს სხვადასხვა სამხედრო-ტექნიკურ ორიენტაციებს შორის (ანუ იმის არჩევანებს შორის, რომელი იარაღი განავითაროს და რამდენად), მოწინააღმდეგენი კი ბრალს სდებენ პრეზიდენტს, რომ მას თავისი ბირთვული განვითარების სამოქმედო გეგმა მუდამ გონებაში აქვს. ჭეშმარიტება, ჟურნალის აზრით, ამ ორს შუაა. ბუშმა, ჟურნალის აზრით, npt-ს ბევრ მონაწილეს აწყენინა, როცა არ წავიდა ბირთვული გამოცდების საყოველთაო აკრძალვის მხარდაჭერის გზით და როცა მისმა მოხელეებმა ეჭვის ქვეშ დააყენეს (ამ ცოტა ხნის წინ) მსოფლიო შეთანხმების შესაძლებლობა ბომბისათვის გამოსადეგი გახლეჩადი მასალების დამზადების აკრძალვის შესახებ, როგორც სამომავლოდ განუხორციელებადი. ეს დისკუსიები, ჟურნალის სიტყვით, კონგრესში დიდად არ აღელვებთ არც რესპუბლიკელებს, არც დემოკრატებს. მაგრამ ორივენი ჯიუტად ეწინააღმდეგებიან ბუშის გეგმებს ამერიკის საკუთარ ბირთვულ განვითარებასთან დაკავშირებით, რაც კითხვას ბადებს, როგორ იქნება შენარჩუნებული აშშ-ს ბირთვული ძალა? წარმომადგენელთა პალატამ შარშან ხელაღებით უარყო საბიუჯეტო განაცხადი ბირთვული იარაღის ახალ შესაძლებლობათა კვლევისათვის (არა თუ რეალიზაციისათვის), მათ შორის — დაუფინანსებლად დატოვეს პროგრამა მიწის ქვეშ ჩამღწევი ბირთვული იარაღის შექმნისათვის საჭირო კვლევა-ძიებისა, რათა განადგურდეს ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის მიწისქვეშა საწყობები. ამ სიჯიუტის მიზეზად ჟურნალი ასახელებს არა მხოლოდ ტექნიკური ხასიათის ეჭვებს (მაგ. იმის თაობაზე, რომ რაგინდარა ღრმად მომხდარი ბირთვული აფეთქება გამოიწვევს რადიოაქტივობის დიდ ამოფრქვევას ზედაპირზე), არამედ პოლიტიკურსაც: ამერიკელების მუშაობა ამ მიმართულებით სტიმულს მისცემს სხვებსაც როგორც ბირთვული კვლევების ჩატარებისათვის, ისე სხვა იარაღთა განვითარებისათვის ბირთვული ფაქტორის საპირწონედ.

ჟურნალი არ ფიქრობს, რომ ბუშის ხელში დღეს მყოფი პროგრამა ბირთვული შეიარაღების თანდათან შემცირებისა (რა თქმა უნდა, რუსეთის პარალელურად) გულწრფელი არ არის ან ვერ შესრულდება, მაგრამ მას მიაჩნია, რომ დანარჩენმა მსოფლიომ შესაძლოა მას არ დაუჯეროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# I. საგარეო პოლიტიკა

## ირანის ახალი პრეზიდენტის შესახებ



ირანის ახალი პრეზიდენტი მაჰმუდ ამადინეჯადი

რა თქმა უნდა, დასავლეთი ვერ მისცემს თავს უფლებას, ყველა ხიდი ჩატეხოს თავსა და ირანის კანონიერად არჩეულ ახალ პრეზიდენტს შორის მანამდე მაინც, სანამ მოლაპარაკება წარმოებს ან იგეგმება, ამიტომ 2 ივლისის ნომერში The Economist ბეჭდავს წერილს სათაურით „ახლად არჩეული პრეზიდენტი ისე ავია, როგორც გამოიყურება?", თუმცა თვით წერილის შინაარსი ცოტა ნაკლებ შემრიგებლურია, ვიდრე სათაური. მისი დედაარსია ის, რომ პრეზიდენტი, მიუხედავად გაყალბებისა, მაინც ხალხმა აირჩია (ასეთი დიდი უპირატესობა — 17,3 მლნ ხმა 10 მლნის წინააღმდეგ — მხოლოდ გაყალბებით არ მიიღწევა). იგი ირანის ოფიციალური ლიდერის — აიათოლა ხამენეის — გუნდის კაცია. დღეს იგი რეფორმისტებს მოუწოდებს „ერთი ოჯახის შვილები ვართ, ერთად დავდგეთო". პირობას დებს „არანაირ ექსტრემიზმს არ მივმართავ" და „მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში არ ჩავერევიო". ორ წელს თეირანის მერად ნამყოფი, იგი ცნობილია ღვთისმოსაობით, მოუსყიდველობით. მისი საარჩევნო დაპირებები აგებულია სიმდიდრის განაწილებაზე (რეალურად — ნავთობდოლარებისა. წლეულს ეს არის 46 მილიარდი დოლარი, რომელთა დიდი ნაწილი დღეს უმცირესობას მისდის. შაჰის დრო ამ მხრივ უკეთესი იყო). იგი „არეული პოპულისტია" ანუ წინააღმდეგობრივი ლოზუნგების პატრონი. ხალხის გულს მისკენ იზიდავს ეს პოპულიზმი, პატიოსნება, გაღიზიანება ყოფილი პრეზიდენტის რაფსანჯანის მიმართ (იგი ამ არჩევნებზე ერთ-ერთი ფავორიტი იყო) და რეფორმისტი ინტელექტუალების მიმართ,



ამომრჩეველთა მარკირება წითელი მელნით ერაყში

რომელნიც არჩევნების პირველი ტურის შემდეგ უპრინციპოდ მიემხრნენ გამარჯვებულის მეტოქეს. მის სასარგებლოდ იმუშავა გაჭირვებამ (განსაკუთრებით გარეუბნებში) და კონტრასტმა ევროპეიზებულ მდიდარ უბნებსა და დანარჩენ მოსახლეობას შორის. ახალი პრეზიდენტიც, ისევე როგორც პირველი პირი აიათოლა ხამენეი, იქნება რადიკალი რიტორიკაში და პრაგმატისტი პოლიტიკაში.

პარლამენტის მხარდაჭერით, პრეზიდენტი შეძლებისდაგვარად შეცვლის ნავთობდოლართა განაწილების სისტემას ხალხის სასარგებლოდ. საგარეო პოლიტიკაში მას მეორე ხმა ექნება (პირველი ხამენეისაა) და, ალბათ, იგი დაიცავს ბირთვულ პროგრამას, თუმცა დიდი გავლენა არ ექნება მის განხორციელებაზე (გავლენაც ხამენეისაა).

## ✉ წერილი „საქართველოს" რედაქციას

დიდი ინტერესით გავეცანი თქვენ მიერ გამოქვეყნებულ საქართველოს საგარეო პოლიტიკის ეროვნულ კონცეფციას. შემდგენელ ჯგუფს ვუსურვებ ნაყოფიერ მუშაობას და წარმატებას საქართველოს ყველა ძირითადი სასიცოცხლო პრობლემის გააზრებაში და ოპტიმალური რეკომენდაციების შემუშავებაში. მოგახსენებთ ჩვენს დამატებით მოსაზრებას და გთხოვთ გამოაქვეყნოთ თქვენს გაზეთში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ არაბულ სახელმწიფოებთან საქართველოს ურთიერთობას დიდი შესაძლებლობები აქვს, და გვინდა, ეს შესაძლებლობები სრულად იყოს ასახული საქართველოს საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში და განხორციელებული იყოს რეალურ ცხოვრებაში. არაბული სამყაროს დიდი ნაწილი დღეს მდიდარია, სხვა დიდი ნაწილი — ღარიბი ან საშუალო შეძლების. არაბების ეკონომიკური მომავალი იმის მიხედვით წარიმართება, თუ რამდენად გამოიყენებენ თავის დღევანდელ ეკონომიკურ ძალას იმისათვის, რომ შექმნან ძლიერი საწარმოო და მეცნიერული ბაზა მომავლისათვის, როცა ნავთობი ან გამოილევა ან ენერგიის ალტერნატიული წყაროებით შეიცვლება. სამრეწველო და სამეცნიერო-ტექნიკურ კონკურენციაში ჩვენ, ქართველებს, და მათ შეგვიძლია თანამშრომლობა, რადგან, როგორც სამხრეთელ ხალხებს, დასავლური ცოდნისა და ტექნიკის დაუფლების ერთნაირი ამოცანები გვაქვს. მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარია ის, რომ საქართველოს დღევანდელი გაჭირვების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია მსოფლიოს ძალიან დიდ ძალთა სურვილი, რომ საქართველო ფეხზე ვერ დადგეს, ვერ განავითაროს თავისი ტრანსპორტი, ვერ დაიცვას თავისი გზები, ვერ შექმნას თავისი ადმინისტრაციული და სამრეწველო ინფრასტრუქტურა. რატომ უნდათ ეს? იმიტომ, რომ საქართველოს სახით ხედავენ კონკურენტს. საქართველოს თავისი გეოგრაფიული მდგომარეობის გამო შეუძლია იყოს დასავლეთის ჭიშკარი აღმოსავლეთისაკენ, დასავლეთის ეკონომიკური, კულტურული, სატრანსპორტო, უფრო მეტიც, უნივერსალური მოწინავე პოსტი აღმოსავლეთში და პირიქით, აღმოსავლეთის ყველაზე ახლობელი კარი დასავლეთისაკენ. პირველი ამ ორ ფუნქციათაგანი დღეს მხოლოდ იზრაელს აკისრია და მას, ამ ფუნქციის წყალობით, დიდი ეკონომიკური და სხვა სახის დახმარება აქვს. თუ საქართველო ფეხზე დადგება და თავის ინფრასტრუქტურას განავითარებს, იგი ამ ფუნქციის დიდ ნაწილს თავის თავზე აიღებს და ამას მოჰყვება დასავლეთის ყურადღების შესუსტება იზრაელის მიმართ. ანუ იმ ცენტების, დოლარების, ათასებისა და მილიონების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოში წამოვა. კონკურენცია არავის უნდა და ჩვენ, სამწუხაროდ, ამას ძალიან მკაფიოდ ვგრძნობთ. ამიტომ არაბების ბუნებრივი სტრატეგიული ინტერესია საქართველოს მაქსიმალურად სწრაფი ფეხზე დადგომა, როგორც ქმედუნარიანი სახელმწიფოსი, და მათი მხრიდან გონივრულია დღეს, როცა დიდი ფული ხელთ აქვთ, ინვესტიცია მოახდინონ ამ გეოპოლიტიკურ მიზანში — საქართველოს სახელმწიფოს ფეხზე დაყენებაში, როგორც ქმედუნარიანი ერთეულისა, რომელიც დასავლეთ-აღმოსავლეთის კავშირურთიერთობათა საქმეში თავის სიტყვას ამბობს. ეს ინვესტიცია იქნება ეკონომიკური — ეს იქნება დაბანდება ტრანსპორტში, გზებში, ნავთობპროდუქტთა შეტანაში, სასმელი წყლის გამოტანაში, სამრეწველო პროდუქციის გატანაში ევროპიდან შუა აზიაში და ა.შ. მაგრამ სამუშაო ადგილთა შექმნა, რასაც ეს ინვესტიცია გამოიწვევს, იქნება ქვეყნის ფეხზე დაყენების უძლეველი და შეუქცევადი მექანიზმი.

ამიტომ მიგვაჩნია, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის კონცეფცია უნდა შეიცავდეს აბზაცს არაბულ სამყაროსთან ურთიერთობის შესახებ, რომელშიც მოკლედ დახასიათებული იქნება ქართულ-არაბული სადღეისო და მომავალი ურთიერთობის პერსპექტივები.

*ო. ქევხიშვილი*

*გ.ხუჯაშვილი*

## ჩინურ-რუსულ-ირანული ალიანსი

*დასაწყისი მეორე გვერდიდან*

ალბათ, მალე გამოჩნდება. გარეშე მაყურებლისათვის, როგორიცაა სხვა ქვეყნები, მათ შორის — საქართველოს საზოგადოებრიობის თვალში ეს გამოჩნდება იმის მიხედვით, მიჰმართავს თუ არა ამერიკა თავის დღესდღეობით ყველაზე ძლიერ მშვიდობიან იარაღს — ეკონომიკურ სანქციებს, მაგალითად, მოუჭრის თუ არა იმ შლანგს, რომლითაც ჩინეთს წლიურად ზემოხსენებული 160 მლრდ მისდის. თუ ეს სანქციები მიღებული არ იქნება, ეს იმას ნიშნავს, რომ ვითარება ჯერჯერობით დიპლომატიურ პინგ-პონგს არ გასცილებია და გარდაუვალი ბრძოლა — ცივი ან ცხელი — ჯერ კიდევ გაურკვეველი დროით გადავადებული რჩება.

შესაძლებელია სხვა ვარიუდებიც. ჩინეთთან თუ არა, რუსეთთან და ყაზახეთთან ამერიკული დიპლომატიის ზეგავლენას ფართო მასშტაბები აქვს. პუტინს, თავის მხრივ, ყაზახეთის ლიდერზე ზეგავლენის საშუალებები აქვს. თუ ასტანაში შეხვედრის ინიციატივა ამათია და არა ჩინეთის, მაშინ ამ ანტიდასავლური ალიანსის აჩრდილის წამოდგომას სხვა აზრი ენიჭება. საქმე ის გახლავთ, რომ ირანის პრობლემა მთლიანად დასავლეთისათვის (და არა მხოლოდ ამერიკელებისათვის) პირველხარისხოვანი სიმძიმის, ამასთანავე — პრინციპული ანუ ყველაფერზე გამწვდომი პრობლემაა. არსებობენ (საკმაო რაოდენობით) სახელმწიფოები, რომლებიც მზად არიან თავისი მიზნებისათვის ბირთვული და სხვა მასობრივად გამანადგურებელი იარაღი გამოიყენონ საკუთარი სახელით, და არის რუსეთი, რომელიც მზადაა მათ, მეტნაკლებად ანონიმურად, ეს იარაღი მიაწოდოს. ასეთ პირობებში დასავლეთისათვის მშვიდი ძილი ფსიქოლოგიურად შეუძლებელია. მან ირანს ბირთვული იარაღი და, — რაც მთავარია, — ბირთვული იარაღის ქონის უფლება, ანუ რუსული იარაღისათვის თავისი საფირმო დამღის დადების უფლება უნდა წაართვას. ნაკლებ სავარაუდოა, იგი, საბოლოო ჯამში, ამ მიზნისათვის სამხედრო ძალის გამოყენებას დაერიდოს. (ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ასეა) სავარაუდოა, დასავლეთმა ირანზე სამხედრო დარტყმა განახორციელოს (მით უმეტეს, თუ ისეთი სტრატეგიული ფორმა მონახა ამ დარტყმისათვის, რომელიც სახმელეთო ოპერაციას არ მოიცავს). ამ დარტყმისათვის ფსიქოლოგიური მზაობის საქმე დიდად წაწია ირანში უაღრესად რადიკალურად განწყობილი პრეზიდენტის არჩევამ. დღის წესრიგში რუსულ-ჩინურ-ირანული ალიანსის დაყენება გადამწყვეტი ნაბიჯი იქნება ზემოხსენებული სამხედრო აქციისათვის საზოგადოებრივი აზრის მომზადების საქმეში. ამ ვითარებაში პუტინის „ინიციატივა" — თუკი იგი მისია — ბირთვული იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესთა თვალსაზრისით ფრიად დროული ჩანს.

განხილული კონტექსტიდან მთელი ულმობელობით იკვეთება ირანში დასავლელთა დარტყმის გარდუვალობის სურათი. ამავე დროს, არ იკვეთება ამ ომში, — თუკი ეს ომი მოხდა რადიკალური სტრატეგიული და ტაქტიკური სიახლეების გარეშე



ერაყის ფეიზბი

— დასავლეთის სწრაფი და, მით უმეტეს, ადვილი გამარჯვების პერსპექტივა. თუ ამ ომში, რომელსაც ერთადერთი მიზანი აქვს — ირანისათვის ბირთვული პროგრამის შეწყვეტინება ანუ ირანის სახელით რუსული ბირთვული იარაღის ფართო გამოყენების შესაძლებლობის აღკვეთა — სტრატეგია, მართლაც, აქცენტირებული იქნება არა სახმელეთო ოპერაციებზე, არამედ საავიაციო და სარაკეტო დარტყმებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ზარალი და მსხვერპლი ირანის მოწინააღმდეგეთა მხარეს ყველაზე მეტი იმას ექნება, ვინც ყველაზე მეტად ექვემდებარება ირანის საპასუხო დარტყმას (ალბათ, სარაკეტოს, ვინაიდან არც სახმელეთო მოქმედება, არც ავიაციის მოქმედება თავისი ტერიტორიის გარეთ ირანის მხრიდან, გასაგები მიზეზების გამო, მოსალოდნელი არ არის). თუ საქართველო ირანის მოპირისპირე კოალიციაში აღმოჩნდება, ასეთი დარტყმების პირველი და მთავარი სამიზნე საქართველო იქნება. ამიტომაც (და არა მხოლოდ მომავალი საუკუნეების პერსპექტივის გამო) საქართველოსათვის ამ კოალიციაში ყოფნა შეუძლებელია. საქართველოს შეუძლია (და ჰმართებს) ან განზე იდგეს მომავალი ომისაგან, ან, თუ მის მიმდინარეობასთან რაღაც კავშირი ექნება (ვთქვათ, კოალიციის მიერ მისი სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების სახით), თავისი მონაწილეობა იმგვარად განსაზღვროს, რომ ირანისაგან დაუმსახურებელი დარტყმის მიღების შემთხვევაში შეეძლოს თავისი მონაწილეობის ხარისხისა და ხასიათის რადიკალური შეცვლა ირანისათვის არასასურველი მიმართულებით (რაც ირანს შეაკავებს ხსენებული ნაბიჯისაგან). რა თქმა უნდა, საქართველოსთვის სასიცოცხლო ინტერესია, რომ ომი არ მოხდეს, და ამიტომ სასიცოცხლო ამოცანაა, ირანი დაარწმუნოს, რომ ბირთვული პროგრამის მიყოლას აწ და სამომავლოდ მეტი მინუსი აქვს, ვიდრე პლუსი.

მოსალოდნელი ომისაგან განზე დგომამ არანაირად არ უნდა ხელყოს საქართველო -ამერიკის მოკავშირული ურთიერთობების პერსპექტივა. ჩვენ ორ ქვეყანას საკმარისი ერთობლივი ინტერესები აქვს, რათა მათი მოკავშირეობა მყარი იყოს, განახლებადი, ცოცხალი და ახალ-ახალი ენერგიით შევსებადი. ამერიკელებისათვის სასიცოცხლო ინტერესია შუა აზიისაკენ მოძრაობის თავისუფლება და ამ მოძრაობის დაცულობა, ერთგული მოკავშირის მიერ, ჩრდილოეთიდან (განსაკუთრებით) და (ყოველი შემთხვევისათვის) სამხრეთიდან. საქართველოსათვის სასიცოცხლო ინტერესია, ჯერ ერთი, თვით ფაქტი დასავლური (უფრო ზუსტად — ამერიკული) ინტერესისა და ძალის მყოფობისა ამიერკავკასიის რეგიონში (რადგან რუსული დარტყმის არდაშვების სხვა ფაქტორი აქ არ არსებობს), მეორეც, დასავლური ცივილიზაციის შესვლა ცენტრალურ აზიაში და ორგანული სიმბიოზის მონახვა ამ უკანასკნელთან საქართველოსათვის (და საერთოდ კავკასიისათვის) არის აუცილებელი დაცვა მრავალჯერადად აღმატებული აღმოსავლური პოტენციალის (პირველ ყოვლისა — დემოგრაფიული პოტენციალის შემოტევისაგან, რომლისთვისაც (ამ შემოტევისათვის) სხვა ჯებირები არ არსებობს.

ძალთა აღნიშნული განლაგებით საქართველოს ექმნება ე.წ. ექსტრემალური (უკიდურესი) სიტუაცია, როცა ქვეყნის ხელმძღვანელობას ყველაზე დიდი სიფრთხილე, ყველაზე მახვილი განჭვრეტა და მტერსა და მოყვარესთან ურთიერთობაში ყველაზე მეტი ნებისყოფა და პიროვნული ძალა ჰმართებს. არარაციონალური დათმობა აქ სიკვდილის ტოლფასია. საქართველომ სწრაფად უნდა იზრუნოს ამგვარი ხელმძღვანელობის გამოზრდისათვის, რადგან დრო არ ითმენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# I. საგარეო პოლიტიკა

აშშ-ის დღევანდელ საგარეო პოლიტიკაში დიდი როლი ეკუთვნის „კონფლიქტისშემდგომი რეკონსტრუქციის“ პროგრამებს, რისთვისაც სახელმწიფო დეპარტამენტში სპეციალური უწყება შეიქმნა. ავღანეთი და ერაყი ასეთი პროგრამების განხორციელების მკაფიო მაგალითებია. მაგრამ დღეს არის აზრი, რომ შეერთებული შტატების ყურადღების კონცენტრაცია მხოლოდ ნაკონფლიქტარ ქვეყნებზე არ კმარა. „მრავალ სუსტ, გალატაკებულ ქვეყანაში ადგილი აქვს მმართველობის კრიზისს და ეს კრიზისი სერიოზულ საფრთხეს უქმნის აშშ-ს ეროვნულ უსაფრთხოებას“. ამერიკის საგარეო პოლიტიკა XX საუკუნეში გათვლილი იყო ისეთ მოწინააღმდეგეებზე, რომლებიც საშიშნი იყვნენ თავისი ძალით, დღეს კი ყველაზე დიდ საშიშროებას ამერიკელებისათვის წარმოადგენს სხვა ქვეყნების სისუსტე, რასაც მოსდევს, მაგალითად, ოპიუმის წარმოების აყვავება ავღანეთში, მსუბუქი იარაღით ვაჭრობის შეუზღუდავი გაშლა ცენტრალურ აზიაში და ალ-ყაიდას მიერ ისეთი ქვეყნების გამოყენება თავის ბაზებად, როგორიცაა სომალი და პაკისტანი.

მკითხველს გავაცნობთ ორ წერილს სახელმწიფო დეპარტამენტის ორთვიური ჟურნალიდან „FOREIGN AFFAIRS“, რომლებიც ამერიკული ადმინისტრაციისა და პოლიტიკური აზრის მნიშვნელოვან ფიგურებს ეკუთვნის. ერთია აიზენშტადის, პორტერისა და ვაინსტაინის წერილი „სუსტ სახელმწიფოთა მშენებლობა“ (I) (ციტატა და მსჯელობა აქვე ზემოთ აქედანაა), მეორეა კროკერის წერილი „ჩაბმა ვერშედგომის საშიშროებაში მყოფ სახელმწიფოებში“ (II)

ტერორიზმის, კონფლიქტის და რეგიონული არასტაბილურობის შეუზღუდველობა ხიფათს უქმნის აშშ-ს პირდაპირ უსაფრთხოებასაც და მსოფლიო ეკონომიკასაც, რომელიც ამერიკის კეთილდღეობის ბაზაა. ამერიკული ჩარევა ამ ქვეყნების სახელმწიფოებრივ მშენებლობაში ორიენტირებული უნდა იყოს გრძელვადიან შეტევაზე. ამ ჩარევის **სტრატეგია უნდა შედგებოდეს 4 ელემენტისაგან: კრიზისის არდაშვება (პრევენცია), სწაფი პასუხი, ამერიკის მიერ გადაწყვეტილების მიღების ცენტრალიზებული მექანიზმის ქონა და საერთაშორისო თანამშრომლობა.**

სუსტი ქვეყნების კრიზისთა წყაროა განვითარების სისუსტე, მათი წამალი — ამ ქვეყანათა განვითარებისათვის ხელშეწყობა: „მებრძოლ ქვეყნებში სტაბილური, პასუხისმგებლობით აღჭურვილი ინსტიტუტების შექმნა, რომლებიც მოემსახურებიან ხალხის საჭიროებებს და შეაძლებინებენ მას, თავისი ცხოვრება გაიუმჯობესოს კანონიერი გზით და არა თავზე ხელის აღებით. ვაშინგტონმა უნდა გაიგოს, რომ სუსტი და ხელმოცარული ქვეყნები ისეთი გამოწვევა არიან უშიშროებისათვის, რომელსაც მხოლოდ უშიშროების ზომებით ვერ დავძლევთ. აშშ, უბრალოდ, პოლიციურ მეთვალყურეობას ვერ გაუწევს ყველა ქვეყანას, სადაც ხიფათი ჩნდება“ (I). ამგვარად, სახელმწიფოებრივი მშენებლობის ხელშეწყობა სუსტ ქვეყნებში აშშ-ის მხრიდან არის „არა უბრალოდ ქველმოქმედების აქტი, არამედ ჭკვიანური დაბანდება საკუთარ უსაფრთხოებასა და სტაბილურობაში“.

ქვეყნის „სისუსტე“, „ვერშემდგარობა“ და „ვერშედგომის საშიშროებაში ყოფნა“ განიზომება **სამი რამით: იმით, რომ სახელმწიფო ვერ ასრულებს თავის ძირითად ფუნქციებს: უშიშროებისას (საგარეო და საშინაო დაცვისა), მოსახლეობისათვის ძირითადი მომსახურების გაწევისას (განათლება, ჯანდაცვა..) და არსებითი სამოქალაქო თავისუფლებების დაცვისას.** ამ უკანასკნელის დასახმარებლად ჩარევა ძნელია („რადგან ეროვნული სუვერენიტეტისა და სტაბილობის სურვილი ხშირად ძლევს ხოლმე დემოკრატიის სურვილს“), მაგრამ საჭიროა, რადგან სამოქალაქო უფლებათა ხელყოფა არასტაბილობას ზრდის.

**პირველი ამ ფუნქციათაგანის ვერშესრულება სახელმწიფოს მიერ არის „უსაფრთხოების ხვრელი“, მეორისა — „უნარის“ ხვრელი, მესამისა — „ლეგიტიმურობის ხვრელი“.**

რით არიან სახიფათონი სუსტი სახელმწიფოები? ჯერ ერთი, უზბეკეთისთანა და სუდანისთანა სახელმწიფოები იზიდავენ ნარკობიზნესს, ტერორიზმს, იატაკქვეშა ეკონომიკას და ამით ქმნიან ფიზიკურ და ფინანსურ ბაზას კრიმინალური (მათ შორის ტერორისტული) ქმედებისათვის მთელ მსოფლიოში. მეორეც, ძალადობა, ეპიდემიები და ლტოლვილთა ნაკადები ვრცელდება გარეთაც. მესამეც, უკონტროლობა ემუქრება მსოფლიოსათვის აუცილებელ ბუნებრივ რესურსებს, რომელებსაც ეს ქვეყნები ფლობენ.

თავისი წარსული გამოცდილებიდან სუსტ სახელმწიფოებთან ურთიერთობის სფეროში აშშ-ს შეუძლია და ჰმართებს შემდეგი 4 გაკვეთილის გამოტანა:

1. ფული ვერ იყიდის (მხოლოდ ფული ვერ შექმნის) ეფექტიან მართვას, საჭიროა პოზიტიური მუშაობაც, რათა სახელმწიფოს შეაძლებინოთ ზემოხსენებული სამი ფუნქციის შესრულება.

2. აშშ ვერ ასცდება სუსტ სახელმწიფოებში ელიტებთან მუშაობის ამოცანას. მათი ჩვენთვის მისაღები პოზიციის მისაღწევად უნდა გამოყენებულ იქნას ფულადი წახალისებისა და სანქციის კომბინაცია.

3. აშშ-ს ჰმართებს სიფრთხილე, რათა ახალი პრობლემები არ გააჩინონ (როგორც მოხდა, მაგალითად, უყურადღებოდ მიტოვებულ ავღანეთში, სადაც გამარჯვების შემდეგ მოჯაჰედები ერთმანეთს დაერივნენ და, ბოლოს, თალიბები მოვიდნენ ხელისუფლებაში).

4. აშშ მზად უნდა იყოს ხანგრძლივი მუშაობისათვის ასეთ ქვეყნებში. თუ ქვეყანა ჩაფლულია პოლიტიკურ და ეკონომიკურ ქაოსში და თუ აშშ-ს არა აქვს თავის იმედი, რომ მისი ჩარევა გაგრძელდება, მაშინ ჯერ თავი შეიკავოს ერთჯერადი ხანმოკლე ჩარევისაგან საერთოდ.

სხვა ყოველივესთან ერთად „აშშ მზად უნდა იყოს მკაცრი სანქციებისათვის და სამხედრო ძალის გამოყენებისათვის, თუ ეს სჭირდება განვითარების წინწაწევას ... განვითარება ვერ განიხილება მხოლოდ როგორც იარაღი სხვადასხვა სტრატეგიული მიზნებისათვის, იგი თვითაა სტრატეგიული იმპერატივი“. **ფუნდამენტური ინიციატივები უნდა იყოს: პირველი: ინვესტიცია იმაში, რომ სახელმწიფომ არ განიცადოს კოლაფსი (კატასტროფა). მეორე: გამოყენება იმ უპირატესობისა, რაც შეიძლება იდოს პოლიტიკისა თუ ხელისუფლების შეცვლაში ამა თუ იმ სუსტ სახელმწიფოში. მესამე: გადახალისება აშშ ცენტრალური ინსტიტუტებისა, რომლებიც ამ ამოცანებზე ზრუნავენ. მეოთხე: მოკავშირეთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა დარწმუნება იმაში, რომ ამ საქმეში დაეხმარონ აშშ-ს.**

სახელმწიფო კოლაფსის (კატასტროფის) არიდებისათვის ყველაზე უკეთესია მისი პრევენცია (წინასწარი ზომების მიღება), ხოლო პრევენციის ყველაზე კარგი საშუალებაა ფართო ბაზის მქონე ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერა. პრევენციის საშუალებაა აგრეთვე დახმარება უშიშროების ძალთა გაძლიერებაში. თუ პრევენცია ვერ მოხერხდა (ეს უდავოდ ხშირად მოხდება), მაშინ „აშშ მზად უნდა იყოს სწრაფი და ეფექტიანი პასუხისათვის უცხო ქვეყნებში მომხდარ კრიზისებზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ადგილობრივ ლიდერებს ჯერ კიდევ შეუძლიათ წესრიგის აღდგენა დროული დახმარების წყალობით. გადასვლები — დიქტატურისაგან დემოკრატიისაკენ თუ არეულობიდან მშვიდობისაკენ — იძლევა ხანმოკლე შესაძლებლობებს სუსტ სახელმწიფოთა გაძლიერებისათვის და მათი დაბლა ჩაცურების შეჩერებისათვის“. ამ შესაძლებლობათა გამოსაყენებლად „ვაშინგტონს შემუშავებული უნდა ჰქონდეს „საგანგებო ვითარებაში მოქმედების უნართა სისტემა“, რათა პოლიტიკოსებს ხელთ ჰქონდეთ მთელი „მენიუ“ დაუყოვნებელი არასამხედრო ქმედებებისა. ეს მენიუ მოიცავს, პირველ ყოვლისა, დაუყოვნებლივ დაფინანსებას (დღეს ასეთი დაფინანსება აშშ-ს ამგვარ უცებ გადასაწყვეტ ოპერაციებს ძალის გამოყენებით, საბედნიეროდ, აქვს, მაგრამ განვითარების სააგენტოებს, სამწუხაროდ, არ აქვს). ეკონომიკური, საკანონმდებლო და მმართველობითი რეფორმები (იგულისხმება: მმართველთა პირადი შემადგენლობის რეფორმებიც) ერთმანეთს ავსებს.

უკიდურეს შემთხვევაში საჭიროა უცხო სამხედრო ძალა. „მაგრამ აშშ ვერ აიღებს და არ უნდა აიღოს ერთპიროვნულად ეს ტვირთი, არამედ **უნდა ეცადოს ადგილობრივ რეგიონალურ ძალთა გამოყენებასაც სამხედრო და სამშვიდობო მისიებისათვის**“ (ხაზი ჩვენია. რედ.). (მაგალითისათვის დასახელებულნი არიან ნიგერია აფრიკისათვის, ბრაზილია სამხრეთ ამერიკისათვის, „აფრიკული კავშირი“ აფრიკისათვის და სხვანი).

„მსოფლიოში, რომელიც აშშ-საგან მოელის მსოფლიო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინიციატივას, ესაა ერთადერთი ალტერნატივა ამერიკელთა მიერ ამ ტვირთის მარტო ზიდვისადმი“. ამერიკელთა ტვირთის გამზიარებლად დასახელებულია „დიდი ოცეული“ (G-20) — ქვეყანათა ჩამონათვალი, რომელიც გარდა „დიდი რვეულისა (G-8), ანუ „დიდი შვიდეულისა პლუს რუსეთი“, მოიცავს ბრაზილიას, ინდოეთს, საუდის არაბეთს, ინდონეზიას, სამხრეთ აფრიკას და სხვა. ამათ, ავტორთა სიტყვით, „შეუძლიათ ითამაშონ სასიცოცხლო როლი კონსენსუსთა ორგანიზებაში პოლიტიკურ და უშიშროების პრობლემათა ფართო სპექტრზე. **„დიდმა ოცეულმა“ უკვე დაიმკვიდრა თავი როგორც საკვანძო მნიშვნელობის ხმამ მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში. მას შეუძლია იგივე ქნას პოლიტიკურ და უშიშროების საქმეთა სფეროშიც**“. (I) (ხაზი ჩვენია. რედ.)

არანაკლებ მკაფიოდ განსაზღვრავს სიტუაციას და არანაკლებ აკრიტიკებს ამერიკულ საგარეო პოლიტიკის ზემოხსენებულ ასპექტებს კროკერის წერილიც (II). ტერორიზმის მიჩნევა ყველაზე მნიშვნელოვან საფრთხედ ცალმხრივი მიდგომაა. ტერორიზმი, ბოლოსდაბოლოს, მოქმედი პირი კი არაა, არამედ მხოლოდ იარაღია. მეტიც, თვით ბირთვული და სხვა მასობრივი მოსპობის იარაღის გაუვრცელებლობის ამოცანაც კი — ანუ იმაზე ზრუნვა, რომ იგი არ ჩაუვარდეთ ხელში „არამზადა რეჟიმებს“ და არასახელმწიფოებრივ სამხედრო ძალებს, — ვიწროა მთავარ გლობალურ ამოცანასთან მიმართებაში. ეს გლობალური ამოცანა — „უკეთესი და უფრო უსაფრთხო მსოფლიო წესრიგის შექმნა“ — მოიცავს ტერორიზმთან ბრძოლასაც და ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობისათვის ბრძოლასაც. ორივე ამ ბრძოლისათვის საკვანძო მნიშვნელობისაა „ვერშემდგარ“ და „ვერშესადგომ“ სახელმწიფოთა პრობლემების გადაჭრა, ანუ სუსტი სახელმწიფოების ამ მდგომარეობამდე მისვლის არდაშვება, რადგან სწორედ მათში ჩნდება საშიშროება ამერიკისათვის. „სახელმწიფოთა ხელმოცარვა (FAILURE) პირდაპირ აზარალებს ინტერესთა ფართო სპექტრს, რომლებიც მოიცავენ ადამიანის უფლებათა დაცვას, კარგი მმართველობის მიღწევას, კანონის ბატონობას, რელიგიურ შემწყნარებლობას, გარემოს დაცვასა და ამერიკელი ინვესტორებისა და ექსპორტერებისათვის პირობების შექმნას. იგი ხელს უწყობს რეგიონულ საშიშროებას, იარაღის გავრცელებას, ნარკოტრეფიკს და ტერორიზმს... სახელმწიფოთა ვერშედგომის (ხელმოცარვის FAILURE) პრობლემისათვის პირველხარისხოვანი



*მეორე ფრონტის გახსნა. დესანტი ნორმანდიაში*

ყურადღების მოკლება იმას ნიშნავს, რომ არეულობა გააგრძელებს გავრცელებას მთელ აღმოსავლეთში, აფრიკაში, ანდების ქვეყნებში, სამხრეთ და ცენტრალურ აზიაში და სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკის ნაწილებში... თუ აშშ და მათი მთავარი პარტნერები არ ჩაერევიან წინასწარვე, რათა აღკვეთონ და შეაკავონ სახელმწიფოთა ვერშედგომა, მაშინ არამზადა რეჟიმებმა შეიძლება ძალაუფლება მოიპოვონ, დამატებით, ამ სახელმწიფოებშიც და ამით წარმოშვან ახალი სიმრავლე ჩვენი მოწინააღმდეგეებისა, რომელებიც ეძებენ მასობრივი განადგურების იარაღს და იფარებენ ტერორისტებს. გარდა ამისა, აშშ-მა უნდა ისწავლონ სახელმწიფოთა კვლავ შენება მას შემდეგ, რაც გადააგდებენ მათ რეჟიმებს“. (II)

სახელმწიფოთა ხელმოცარვა თანდათანობითი პროცესია. მისი შესაძლო ფაქტორებია ანგარებიან მმართველთა მიერ ცენტრალური აპარატის გახრწნა (ბირმა, ნიგერია), კორუმპირებული ელიტების შეკვრა კრიმინალურ სისტემებთნ (ლიბერია, იუგოსლავია), სახელმწიფო ხელისუფლების ძირგამომთხრელი და უკანონო ძალებით ჩანაცვლება ცალკეულ რეგიონებში, რასაც მოჰყვება არალეგალური სავაჭრო ოპერაციები (საქართველო, კოლუმბია) (საქართველოში იგულისხმება სიტუაცია აფხაზეთსა და ცხინვალში. რედ.), უშიშროების სამსახურთა მიერ იარაღის მონოპოლიის დაკარგვა და სხვა. რისკის ქვეშ მდგომი ქვეყნებისათვის (მათი უმეტესობა თავმოყრილია აფრიკაში, შუა აღმოსავლეთში და სამხრეთ-დასავლეთ აზიაში) ტიპიურია ჭიდაობა, ერთი მხრივ, სახელმწიფო ინსტიტუტებს, ლეგალურ ბიზნესსა და მეორე მხრივ კრიმინალურ სისტემებსა, „საველე მეთაურებსა“ და უშიშროებასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ ფრაქციებს შორის. შეიძლება გვეჩვენოს, რომ გლობალიზაცია ხელს უწყობს პირველთ მეორეთა წინააღმდეგ, მაგრამ ეს ასეა — ანუ მსოფლიო კომერციულ, საბანკო და დიპლომატიურ სისტემებზე გასვლა პირველთათვის დახმარების მომტანია — მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირველთა სისტემა უკეთ ორგანიზებულია, ვიდრე მსოფლიოს მაფიებთან დაკავშირებული მეორეთა სისტემა.

* * *

ფაქტია, რომ დღევანდელ „ხელმოცარულ“ სახელმწიფოთა უმრავლესობა გვიანდელი წარმონაქმნებია: ისინი შექმნა ჯერ ევროპელთა კოლონიურმა იმპერიებმა (სადაც ისინი ერთეულებად იყვნენ), ხოლო შემდეგ ამ იმპერიათა დაშლამ. ამგვარად, მათი ლეგიტიმურობა ძირითადად გარედან მიღებულია და არა შიგნიდან (საკუთარი მოსახლეობის მტკიცე ნებიდან. რედ.) გამომდინარე. ისინი „მემკვიდრეობა“ არიან ვაშინგტონის პოლიტიკისა II მსოფლიო ომის შემდეგ, რომელმაც კოლონიალიზმის წინააღმდეგ იბრძოლა და იმას მიაღწია, რომ გაეროში დღეს 46 წევრი კი აღარაა, როგორც ეს 1946 წელს იყო, არამედ 200-მდე. ესაა მათი სისუსტის ხელშემწყობი ერთ-ერთი ფაქტორიც.

როგორი უნდა იყოს დღეს პოლიტიკა ამ სახელმწიფოთა მიმართ?

ტრადიციული „ეკონომიკური განვითარების“, „პოლიტიკური მოდერნიზაციის“ და „დემოკრატიზაციის“ ლოზუნგების გამოყენება საჭიროა, მაგრამ ასეთი ქვეყნების დაცვისათვის ვერშედგომისაგან ეს არ კმარა.

ზოგნი ფიქრობენ, რომ სახელმწიფოთა ხელმოცარვის ფაქტორია არასწორად გავლებული სახელმწიფო საზღვრები, ანუ ისეთი საზღვრები, რომელებიც უგულვებელყოფენ რელიგიურსა და ეთნიკურ საზღვრებს. აქედან, თითქოს, გამომდინარეობს, რომ უნდა გადაისინჯოს საზღვრები: ფუნქციის ვერშემსრულებელი სახელმწიფოები უნდა შევიდეს უფრო დიდებში ან დაიშალოს უფრო მცირეებად. მაგრამ საზღვრების გადასინჯვა ნიშნავს პანდორას კიდობნის გახსნას: სეცესიონიზმის დაკანონებას მოჰყვება აურაცხელი დავების გაცოცხლება, სამხედროს ჩათვლით. გაჩნდება ათასობით არასიცოცხლისუნარიანი მცირე სახელმწიფოები. ახალი სტანდარტების შემოღებას ეთნიკური ტერიტორიული წარმონაქმნების საკითხში მოჰყვება არსებულ მთავრობათა პროტესტი, რომლებიც სამართლიანად განაცხადებენ, „ცეცხლს ეთამაშებითო“.

გარდა ამისა, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, სახელმწიფოთა ეთნიკური მრავალგვარობა არ არის, თავისთავად, პრობლემა: „კონფლიქტი და სახელმწიფოს ხელმოცარვა ჩნდება ეთნიკური დისბალანსის გარკვეული ტიპისაგან, როცა უმრავლესობას და დიდ უმცირესობას გასაყოფი აქვთ ბუნებრივი რესურსი ან სეპარატისტებს მხარს უჭერენ განთესილი შეძლებული თანამეტომეებ-ბი“.

იქ, სადაც შეურიგებელი ურთიერთდაპირისპირების ერთადერთ წამლად სახელმწიფოს გაყოფა ჩანს, „უცხო აქტორებმა (სახელმწიფოებმა, პირებმა, ორგანიზაციებმა. რედ.) შეიძლება საკვანძო როლი ითამაშონ ლეგიტიმური, შეთანხმებული და დაკვირვების ქვეშ მყოფი სეპარაციის ჩატარებაში... საერთაშორისო სისტემამ პატივი უნდა სცეს კონსენსუსზე დამყარებულ სეპარაციას, როგორც ეს გააკეთა ჩეხოსლოვაკიაში და ეთიოპიაში (თუმცა ამ უკანასკნელ ნაბიჯს მალევე დიდი ომი მოჰყვა)“.

„ხომ არ გავდგეთ გვერდზე და უფრო ძლიერ მონაწილეებს ხომ არ ვაცალოთ, კანონი თავის ხელში აიღონ, გადაყლაპონ სუსტები ანუ

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## დამოკიდებულება „ვერშემდგარი“ და „სუსტი“ ქვეყნებისადმი იცვლება. ჩვენ სასარგებლოდ?

### (ახალი იდეები აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# I. საგარეო პოლიტიკა

*მეხუთე გვერდიდან*

## დამოკიდებულება "ვერშემდგარი" და "სუსტი" ქვეყნებისადმი იცვლება. ჩვენ სასარგებლოდ?

### (ახალი იდეები აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში)

თავ-თავისი გავლენის სფეროები და პროტექტორატები შექმნან? ასეთი გადაწყვეტის მსურველი მრავალია, მათ შორის რუსეთი, რომელიც „კუნძულებს ათამაშებს თავის ახლობელ საზღვარგარეთში". ასეთი პოლიტიკა მხოლოდ გადაწყვეტილებათა მიღების გადავადებაა. იგი დიდ სისხლადაც ჯდება და კონფლიქტი მალევე ბრუნდება სხვა სამოსელით.

„თუმცა ბუშის ადმინისტრაციას, როგორც ჩანს, ამბიცია აქვს, რომ რეჟიმები იძულებით შეცვალოს, იგი სამართლიანად ფრთხილობს სახელმწიფოთა შენების საკითხში, რაც ჩანს, მაგალითად, მის მკაფიო პოზიციაში, რომ ერაყის საზღვრებს ხელი არ ახლოს (ასევე გაეროს პოზიცია მაროკოსა და დასავლეთ საჰარის საკითხში)... ასეთივე სიფრთხილის ჯერ დაჯდა გერმანიამ ბოსნიისა და კოსოვოს საკითხსადმი, სუდანის სამოქალაქო ომის საკითხის (რომელსაც დასავლეთი კურირებს), შრი ლანკაში თამილთა საკითხისადმი (რომელსაც ნორვეგია კურირებს აშშ-ს მხარდაჭერით)" და სხვა.

„ყველა ამ საკითხში საქმე იმას ეხება, როგორ გავაძლიეროთ სახელმწიფო პოლიტიკურად და შევინარჩუნოთ მისი ტერიტორიული მთლიანობა ისეთი ზომებით, რომლებიც ახდენენ ძალაუფლების დეცენტრალიზაციას, ცვლიან შეურაცხმყოფელ პოლიტიკას, ატომურ ლირებებს პასუხისმგებლობით აღჭურვილ პოლიტიკას და აღკვეთენ ცენტრალური ხელისუფლების დომინაციას. საბედნიეროდ, ეს არაა შეუძლებელი". მრავალი სახელმწიფო და ორგანიზაცია უკვე ეხმარება ვერშედგომის გზაზე მდგარ სახელმწიფოებს ისეთი ზომების გატარებაში, როგორიცაა ძალაუფლებისა და სიმდიდრის განაწილება რეგიონებსა და ეროვნულ ჯგუფებს შორის, კონსტიტუციური და საარჩევნო მექანიზმების აწყობა, რათა ხმა მიეცეთ კულტურულსა და ეთნიკურ უმცირესობებს" და ა.შ.

„მაგრამ სუსტ სახელმწიფოებსაც ემართება მეტი ადმინისტრაციული და მმართველობითი უნარი, თუ სურთ, მოიცვნენ როგორც პასუხისმგებლობით აღჭურვილ სუვერენულ აქტორები, გაუმჯობესებული კოორდინაციისა და სასამართლო სისტემის შექმნის ჩათვლით. უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილებები ადგილობრივი და რეგიონული ადმინისტრაციული აპარატი, პასუხისმგებლობით აღჭურვილი მომზადებული პოლიცია" და ა.შ.

რამდენადაც ამერიკის ერთ-ერთი შემაჯამებელი მოტივი, რომელიც მას უბიძგებს მკვეთრ მონაწილეობას სახელმწიფოთა კოლაფსის წინააღმდეგ ბრძოლაში, ისაა, რომ იგი შიშობს, მისი სამხედრო ძალა იქ არ „ჩაუდესლის", ავტორი მრავალმხრივი (მულტილატერალური) მოქმედების მომხრეა, მათ შორის — „დიდი რვეულის" (G-8) მონაწილეობითაც. „დიდმა რვეულმა" და სხვა მოკავშირეებმა შეიძლება ცოცხალი ძალით მიიღონ მონაწილეობა ამ საქმეში". ჩარევის მიზანშეწონილობის, მისი ადგილისა და დროის განსაზღვრის გათვალისწინებულ უნდა იქნას ტერიტორიებისა და მასშტაბის განადგურების იარაღის გავრცელება მიმდინარე „არამზადების" ფაქტორი, ქვეყნის რეგიონალური მნიშვნელობის ზომა და წონა, რეგიონალური გვერდითი ეფექტებისა და „გადამდების" შესაძლებლობა და პოტენციური ჰუმანიტარული (მასშტაბის სახით) და პოლიტიკური „ფასი", რომლის გადახდაც მოუწევს ლონისძიების სწრაფულ აქტიურობა კორუფციასთან ბრძოლაში სუსტ ქვეყნებში, რაშიც ავტორი, ასევე, „დიდი რვეულის" პოზიტიურ როლს ხედავს. დიდ ქვეყნებს, რომლებიც ეს ემართება, ავტორი „განთლებულ ტერიტორია ამ ლები" უწოდებს. მათი მოქმედების შესაძლო დიაპაზონი ფართოა: იგი მოიცავს ნარკოვაჭრობის დევნასაც, ქონების გამო დევნასაც და მრავალ სხვა ამოცანასაც.

სუსტ სახელმწიფოთა ზემოხსენებული დახმარების ამოცანა, ავტორის აზრით, საზოგადოება გაიგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ეს ამოცანა მიეწოდება არა მხოლოდ სამხედრო გამოწვევათა და ანტიტერორისტულ მიზანთა კონტექსტში, არამედ მთლიანად ამერიკული მიზნების კონტექსტში. ადმინისტრაციამ, ამის გარდა, უნდა „გააფართოვოს თავისი საერთაშორისო პოლიტიკური ბაზა და თავისი მიუცილებელი მოკავშირეები განიხილოს არა მხოლოდ როგორც მოსაწყენი თემა". ამერიკას აქვს საშუალება, რომ „გააძლიეროს ამ ქვეყნების უნარი, როგორც სუვერენული სახელმწიფოებისა".



ჯორჯ ბუში ვილნიუსში

**შევაჯამოთ. ამერიკის პირველ ნომერ საგარეო-პოლიტიკური ჟურნალის ორი მოყვანილი მასალის პრაგმატული მიუდგომელი მსჯელობიდან ჩანს, რომ**

1. არის ტენდენცია, რომ შეერთებულმა შტატებმა თავის არსებით ინტერესად ჩათვალონ მცირე სახელმწიფოთა შინაგანი გაძლიერება (ინტეგრაცია და არა დეზინტეგრაცია), მაშასადამე, ისინი თვლიან, რომ მათ ინტერესებშია შესაბამის ტერიტორიათა და მოსახლეობათა კონტროლი თვით ამ სახელმწიფოთა ადმინისტრაციების მხრიდან (და არა ამ ადმინისტრაციათა „თავს ზემოთ" საერთაშორისო ორგანიზაციების, ფირმების ან დასავლური სუპერძალის ხელისუფლების მხრიდან).

ეს საქართველოსათვის ცალსახად ხელსაყრელია, რადგან ეს ნიშნავს, ევენტუალურად, ამერიკელთა ორიენტაციას იმაზე, რომ საქართველო განიხილებოდეს როგორც მოკავშირე, ანუ როგორც პოლიტიკის სუბიექტი, და არა მხოლოდ როგორც სახელმწიფოებრივი გამოკვეთილი ნების არმქონე დასახლებული ტერიტორია ანუ როგორც პოლიტიკის მარტოოდენ ობიექტი. ამ ჩვენი ქვყნისათვის სასურველ პროგნოზს არსებითად ზღუდავს შემდეგი გარემოება: როგორც დავინახეთ (I), იმისათვის, რომ სახელმწიფო ჩაითვალოს გამაგრებისკენ მიმართული დახმარების პერსპექტიულ მიმღებად (და მისი ამ მხრივ დახმარება შედგეს), აუცილებელი პირობაა, რომ მას არ ახასიათებდეს „უსაფრთხოების ხვრელი", „უნარის ხვრელი" და „ლეგიტიმაციის ხვრელი". საქართველოს დღევანდელი ადმინისტრაციის პირობებში საქართველოს სამივე ეს „ხვრელი" ახასიათებს: იგი ვერ აძლევს (და არ აძლევს) პასუხს მოძალადეს თავის ტერიტორიაზე, იგი ვერ აკმაყოფილებს თავისი მოსახლეობის ფუნდამენტურ სასიცოცხლო საჭიროებებს (ჯანდაცვა, სოცდაცვა, განათლება, უსაფრთხოება...) და იგი ვერ აძლევს თავის მოქალაქეს დემოკრატიის აუცილებელ მინიმუმს.

2. თუმცა ორივე ციტირებული სტატია მომხრეა სუსტ სახელმწიფოთა ზემოხსენებული გაძლიერების სტრატეგიისა, მათში მოცემულია ალტერნატივაც სუსტ სახელმწიფოთა ამა თუ იმ ფორმით რეგიონისავე ლიდერ სახელმწიფოთა მზრუნველობისადმი დაქვემდებარების, პრივილეგია მეორეთა გავლენის ზონებში მოქცევის სახით. (იგულისხმება, ცხადია, რომ ეს ალტერნატივა არ მიიღება მხოლოდ იმ პირობით, რომ გასამაგრებელ სახელმწიფოს ხსენებული 3 „ხვრელი" არ ახასიათებს, არამედ თავის დაცვის, მომსახურებებით მოქალაქეთა დაკმაყოფილების და მათი ადამიანური დემოკრატიული უფლებების დაცვის უნარი აქვს). ამგვარად, საქართველოს დასავლეთის პოლიტიკურ სისტემაში ამ ალტერნატიული პოლიტიკის საგნად მიჩნევა ემუქრება. საქართველოსათვის ეს ალტერნატიული პრინციპი მიდგომისა უაღრესად სახიფათოა, რადგან არის თეორიული ალბათობა, რომ რეგიონის კურატორ ძალად, ამა თუ იმ შესაძლო პირობებში, მიჩნეულ იქნას რუსეთი (მის შესაძლო პოზიტიურ როლზე, როგორც ოპერაციებისათვის ცოცხალი ძალის მიმწოდებლისა და სხვა დახმარების აღმომჩენისა, როგორც მკითხველს ახსოვს, განხილულ ტექსტებში არის). ასევე არსებობს საშიშროებაც, რომ გაჩნდეს რეგიონალურ კურატორ ძალად თურქეთის არჩევის სურვილი. ყველა შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლების წინაშე დგება უმძიმესი ამოცანა:

— მოკავშირე დასავლეთისათვის იმის ახსნა, რომ რეგიონული ძლიერი სახელმწიფოს კურატორობა არც საქართველოსთვის მისაღები, არც მის ეროვნულ ინტერესებთან შეთავსებადი არ არის.

— მოკავშირე დასავლეთის მხრიდან (და, მით უმეტეს, სხვა შესაძლო აქტორთა მხრიდან) შესაძლო ზეწოლისადმი მდგრადი წინააღმდეგობის გაწევა ამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით.

როგორც ვიცით, საქართველოს ხელისუფლება არც ინტელექტუალურად, არც მორალურად ამ ამოცანისათვის მომზადებული არ არის.

3. კიდევ ერთი ალტერნატიული ხედვა სუსტი სახელმწიფოებისადმი მიდგომის პოლიტიკისა არის მისი დაშლის სანქციონირება იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა (ანუ ცენტრალური ხელისუფლებისა და სეპარატისტების) შერიგება შეუძლებელია (ის ვითარება, როცა სეპარატისტთა შეურიგებლობას განსაზღვრავს უცხო ძალა, ჩვენ შემთხვევაში — რუსეთი, მსჯელობაში გათვალისწინებული არ არის). ციტირებულ მსჯელობაში, სამწუხაროდ, არ არის გათვალისწინებული (და როგორც ძალის მხრივ, ისე სამართალთან და სამართლიანობასთან მიმართების მხრივ გაანალიზებული) არც ერთი სხვა ფაქტორი სახელმწიფოთა დაშლა-დაუშლელობისა გარდა მოსახლეობის სურვილისა და თანხმობისა (ან, პირიქით, უთანხმოებისა), რომ სახელმწიფოს მთლიანობა შეინარჩუნონ. სახელდობრ, მხედველობაში არ არის მიღებული არც კანონის ასო, არც ისტორიული ფაქტორი, არც ერის უფლება ისტორიული მეხსიერების ქონისა, არც ისტორიული სამართლიანობის იდეა, რომელიც მონაწილე ადამიანთა ცნობიერების არსებითი ნაწილია, რომლიც გამოც ერთი და იმავე ტერიტორიისადმი და სახელმწიფოსადმი დიასპორის დამოკიდებულება სხვაა და ავტოხთონი მოსახლეობისა — სხვა. ამ მიდგომასთან დასაპირისპირებლად — თუკი ასე მოხდა, რომ იგი შემოთავაზებული იქნება დემოკრატიული სახელმწიფოების მიერ — საქართველოს ხელისუფლების განსაკუთრებულად ღრმა არგუმენტაცია, ზნეობრივი სიმყარე და დაულალავი მოთმინება დასჭირდება.

4. ციტირებული ავტორების თანახმად, თუ შეერთებული შტატები და მთლიანად დასავლეთი თავს იდებს სუსტი სახელმწიფოს გადარჩენას არშედგომისაგან, მათ ჰმართებთ მაქსიმალური დაკმაყოფილება იქ მაცხოვრებელი უმცირესობების შესაძლო მისწრაფებებისა, რომ თავისთვის უპირატესობები მოიპოვონ ცენტრალური ხელისუფლების ამა თუ იმ უფლებამოსილებათა შეკვეცის ხარჯზე. ამ მისწრაფებათა შორის მისაღებისა და მიუღებლის, მართებულისა და უმართებულის, ადამიანთა რეალურ მენტალიტეტთან შეთავსებადისა და შეუთავსებლის განსაზღვრის რაიმე კრიტერიუმები ციტირებულ წერილებში არ არის. ეს გარემოება არაპირდაპირ მიგვანიშნებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთის საგარეო პოლიტიკა მართლაც „ვერშედგომის" საშიშროების ქვეშ მყოფი სახელმწიფოების გამაგრების კურსს დაადგება, საქართველოს ხელისუფლებას ძალიან არსებითი დისკუსიების ჩატარება და ძალიან მძაფრი ბრძოლა მოუხდება ჩვენი ქვეყნის ისტორიულმასშტაბიანი სამართლიანი ინტერესების დასაცავად. გასწვდება ამ ამოცანას არსებული ხელისუფლების ინტელექტუალური და მორალური პოტენციალი? ვაი, რომ ალბათ ვერ გასწვდება, თუ იმ ფაქტით ვიმსჯელებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტი მზადაა საქართველოს ტერიტორიათა ერთი ნაწილი მეზობელი ქვეყნის (ოსეთის) სამხრეთ ნაწილად აღიაროს.



ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, „FOREIGN AFFAIR"-ის ციტირებული პუბლიკაციები მაინც ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა: მთავარია, დასავლეთი ჩვენ ქვეყანას განიხილავდეს როგორც საკუთარი სახელმწიფოებრივი ნებით აღჭურვილ მოკავშირეს, (და არა მხოლოდ როგორც დასახლებულ ტერიტორიას) და უნდოდეს, რომ საქართველოს ასე განხილვა შესაძლებელი იყოს. კონკრეტული სადისკუსიო პუნქტების, მათ შორის — ჩვენი ქვეყნისათვის სასიცოცხლო ინტერესების უკან დაუხეველი დაცვა, რა თქმა უნდა, აუცილებელია. მაგრამ ასეთი დაცვისათვის ასპარეზსა და სათამაშო მოედანს ჩვენი ქვეყნისადმი მოკავშირული მიდგომა ქმნის.

* * *

ციტირებულ ანალიზებში ასახული სიტუაცია ბევრ რასმე ხსნის საქართველოს დღევანდელ პოლიტიკაში, რომლის აქტორებმა, მართალია, არ იციან მსოფლიო პოლიტიკის ნიუანსები, მაგრამ ინსტრუქციებს იღებენ ამ ნიუანსთა მცოდნეთაგან (მხედველობაში გვყავნან საქართველოს დღევანდელი პოლიტიკის არა ყველა მონაწილენი, არამედ მხოლოდ ზოგნი, ცოცხლებიც და დღეს უკვე არაცოცხლებიც). ბოლო წლებში არაერთხელ შექმნილა და იქმნება სიტუაციები, რომლებშიც საქართველოს ხელისუფალთა აბსურდულ მოქმედებას ახსნა არ უჩანს. ერთის მხრივ, გვხვდება მოქმედება, რომელიც მიმართულია პირდაპირ სახელმწიფოს თავდაცვის მოშლისაკენ, როგორც, მაგალითად სასაზღვრო და საბაჟო მომსახურების მოშლა და ყველა დიდი თუ მცირე შეიარაღებული კონფლიქტის წაგება. ამ ქმედებათა მოტივაცია თავსდება სახელმწიფო ღალატის კლასიკურ სქემებში და, ამდენად, გასაგებია. მაგრამ როცა ხდება მოსახლეობის თანმიმდევრული და მიზანმიმართული გამოთიშვა მედდაცვის, სოცდაცვისა და მისი უშიშროების დაცვის არეალიდან, ამის ახსნა, როგორც ჩანს, იმაშიც უნდა ვეძებოთ, რომ მიზნადაა დასახული, მოსახლეობის გაღიზიანებასთან ერთად სახელმწიფოში არსებული „უნარის ხვრელის" დემონსტრირება. ადამიანის უფლებათა დემონსტრაციული უგულებელყოფა ემსახურება, სხვა მიზანთა შორის, „ლეგიტიმურობის ხვრელის" დემონსტრირებასაც. საქართველოს „ვერშემდგარ სახელმწიფოდ" წარმოჩენა ემსახურება პირობების და მოტივაციის მომზადებას მისი ჩართვისათვის რეალური „რეგიონალური ძალის" აღიარებული გავლენის სფეროში, ასეთად კი კავკასიის რეგიონში შესაძლებელია რუსეთის აღიარებაც (იხ. ზემოთ) და თურქეთისაც, რომელიც, პერსპექტივაში, რუსეთის შესაძლო მოკავშირეა დასავლეთის წინააღმდეგ, როგორადაც თავი გვაჩვენა 1921-1923 წლებში. სეპარატისტებსათვის არაფრით არ გამართლებულ დათმობათა პოლიტიკა, თავის მხრივ, განსაკუთრებით — პროპაგანდის სფეროში გულისხმობს საქართველოს სახელმწიფოს იმ „მახასიათებლის" დემონსტრირებას, რომ საქართველო მრავალეროვანი სახელმწიფოა, შეურიგებელი სეპარატისტული მოძრაობებით დატვირთული, და, მაშასადამე, პირველ რიგში ექვემდებარება ან დაშლას, ან ისეთ მოწყობას, როცა ფორმალური ტერიტორიული ერთიანობის პირობებში სანახევროდ შედგება არაქართული ანკლავებისაგან, რომელთაც უზომოდ ჰიპერტროფირებული უფლებები აქვთ. ანუ (ჯამში): საქართველოს მართვა იგება იმ კრიტერიუმთა გათვალისწინებით და მიხედვით, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს მცირე სახელმწიფო, რათა ვერ შედგეს (დაიშალოს) და სხვისი გავლენის სფეროში ოფიციალურად მოექცეს.

ციტირებულ შრომებში მრავალჯერაა დასახელებული ვერშედგომის ზღურბლზე მყოფი სახელმწიფოები (ძირითადად, აფრიკისა და აზიისა). საქართველო მათ შორის არ არის. საქართველო დასახელებულია ერთხელ, როგორც მაგალითი კონკრეტული პროცესისა (სახელდობრ, სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლიდან გამოსული ტერიტორიების გამოყენებისა უკანონო ვაჭრობისათვის, იგულისხმება ცხინვალი და აფხაზეთი — და არა სახელმწიფოს ვერშედგომისა). ამიტომ სავარაუდოა, რომ საქართველოს სახელმწიფოს „ვერშედგმაზე" ლაპარაკი რუსული პროპაგანდის იდეას ასახავს და არა რეალობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# II. ბრალს ვდებთ

*საქართველოში 1921 წლის 25 თებერვალს დამყარებული მარიონეტული კომუნისტური რეჟიმი არ გასამართლებულა, ანუ არ განსაზღვრულა სასამართლო წესით, რით დაარღვია და რამდენად დაარღვია ამ რეჟიმმა 70 წლის მანძილზე ეროვნული მოვალეობის (ანუ საკუთარი ქვეყნისა და ერის მიმართ ერთგულების), სახელმწიფოს მართვის, საზოგადოების მართვის, ადამიანთა სიცოცხლისა და თავისუფლების განკარგვის, ადამიანისათვის დანაშაულის პატიება-არპატიების ის კაცობრიობის მიერ მიღებული და დიდწილად კოდიფიცირებული ნორმები, რომელთა დარღვევა დანაშაულად ითვლება. ამ განსაზღვრების შემუშავება არც იურიდიული თვალსაზრისით, არც პოლიტიკური და მორალური თვალსაზრისით ადვილი არ არის, რადგან რეჟიმის მოქმედება არ შედგებოდა მხოლოდ დანაშაულთაგან, არამედ იგი მოიცავდა კაცობრიობის მიერ სავალდებულოდ აღიარებულ უდავოდ პოზიტიურ მომენტებსაც, როგორიცაა სახელმწიფოებრიობის მშენებლობა მისი ამა თუ იმ ინსტიტუტების სახით (ჯანდაცვა, განათლება, კომუნალური მეურნეობის ორგანიზება, შეიარაღებული თავდასხმის მოგერიება და სხვა). შრომას, ობიექტურობასა და ამოცანისადმი მიდგომაში აზროვნების სიფართოვეს მოითხოვს იმის განსაზღვრა (დასახელება და დასაბუთება), თუ რა შემთხვევაში შესაძლებელია (ანუ თანამედროვე ადამიანის მორალური გრძნობისათვის და სამართლებრივი (ეთიკური აზროვნების თანამედროვე დონისათვის მისაღებია) — და შესაძლებელია თუ არა — ჩადენილ ქმედებაში გამართლება, მათთვის ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებათა პოვნა და საპატიო, თუნდაც ილუზორულ, მოტივაციათა პოვნა. მოსალოდნელია, რომ ობიექტური და კვალიფიციური განხილვა მივა დასკვნამდე, რომ რეჟიმის ქმედებათა ძალიან დიდ ნაწილს — და თვით მისი შედგომისა და არსებობის პრინციპს — გამართლება არ მოეძებნება და იგი ჩაითვლება დანაშაულად ადამიანობის წინაშე, კანონიერების დღესდღეობით კაცობრიობის მიერ აღიარებული ნორმების წინაშე და საქართველოს, როგორც ქვეყნისა და სახელმწიფოს, წინაშე. იმავე თვალსაზრისით არ განხილულა, მაგრამ განხილვას საჭიროებს, შევარდნაძის რეჟიმი 1992-2003 წლებსა და (საქართველოს, როგორც ქვეყნისა და სახელმწიფოს მიმართ დანაშაულის აქცენტირებით) საქართველოს დღესდღეობით მმართველი რეჟიმი პრეზიდენტ სააკაშვილის მეთაურობით.*

*გაზეთი „საქართველო" თავს შესაბამისი ინიციატივის პიონერად თვლის იმ მხრივ, რომ მიზანმიმართულად, ანუ ზემოხსენებული ობიექტური განსაზღვრებების შემუშავებისათვის წანამძღვართა შეგროვებისა და აღნუსხვის მიზნით, გამოაქვეყნებს ხელმისაწვდომ მასალებს, მოწმეთა ჩვენებების ჩათვლით, და მოსაზრებებს წარსულ და აწმყო რეჟიმთა მოქმედების სამართლებრივი შეფასების ამოცანასთან დაკავშირებით. წინამდებარე ნომერში იბეჭდება (გაგრძელებით) პოლკოვნიკ რ. ლაკიას ჩვენება აფხაზეთის ომში შევარდნაძის ქმედებათა შესახებ და რამდენიმე დოკუმენტი დღევანდელი ხელისუფლების ანტისახელმწიფოებრივ ქმედებათა შესახებ, რომლებიც, გაფრთხილების სახით, გამოქვეყნებულია შესაბამისი ქმედების ჩადენამდე. ეს დოკუმენტები ეხება იურიდიული კაპიტულაციის საშიშროებას ცხინვალის რეგიონის საკითხში (სახელდობრ, კანონსაწინააღმდეგო სახელწოდების „სამხრეთ ოსეთის" გამოყენებას) და აფხაზეთის საკითხში (სახელდობრ, ე.წ. „ბოდენის დოკუმენტის" პოზიციასთან თანხმობის ნიშნებს), საქართველოს პოლიტიკურად და ეკონომიკურად სტრატეგიული ობიექტების უცხოელებზე გაყიდვის კურსს ზოგადად და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებზე გაყიდვის დაკანონებას კერძოდ.*

# მე ვადანაშაულებ

## წერილი პირველი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ.. „საქართველო" 18 VI ნომერში)

საჭირო ძალები: ოჩამჩირის ბრიგადის ორი გაძლიერებული ბატალიონი 800 კაცის შემადგენლობით:

ეროვნული გვარდიის ორი გაძლიერებული ბატალიონის შემადგენლობით:

რეაქტიული დანადგარებისა და არტილერიის დივიზიონი, სვანთა 250 კაციანი სამთო ბატალიონი. ოპერაციის ჩატარების ხანგრძლივობა 8-12 დღე. მე ამ გეგმით და ორი გვარდიის შტაბის თანხლებით 2 ივლისს ჩავედი ოჩამჩირის ბრიგადის შტაბში. გეგმა გავაცანი ოჩამჩირის ბრიგადის მეთაურს ბ-ნ ბუთხუზ თოხაძეს და მის მოადგილეს ბ-ნ ნაუმ ჯიქიას, პროფესიონალ ოფიცერს. მათ გეგმა მოეწონათ. მე შევთავაზე ამ გეგმის დასახვეწად და ურთიერთშესათანხმებლად გამოგვეყო სამ-სამი შტაბის ოფიცერი, როგორც საერთო ოპერატიული ჯგუფი. ოჩამჩირის ბრიგადას კურირებდა თავდაცვის მინისტრის მოადგილე „გენერალი" გია ვაშაკიძე, რომლისგანაც გეგმის განსახორციელებლად „მწვანე შუქი" უნდა მიგვეღო. 26 წლის „გენერალ" გია ვაშაკიძის კაბინეტი აქვე, შტაბის შენობაში იყო განლაგებული და ჩვენ დიდი დრო არ დაგვჭირვებია მასთან შესახვედრად. კაბინეტში დაგვხვდა ყმაწვილი კაცი სავლე ფორმაში, რომელსაც წამოდგომით თავი არ შეუწუხებია. მე რუკა მაგიდაზე გავშალე და დავიწყე მოხსენება. „გენერალს" დიდი დაინტერესება არ გამოუჩენია და არც რუკისათვის დაუხედავს, თუმცა, რომც დაეხედა, ვფიქრობ, ვერაფერს გაიგებდა. ვინაიდან „გენერალი" დიდ ინტერესს არ იჩენდა ჩემი მოხსენების მიმართ, მეც მალე დავამთავრე. მინისტრის მოადგილემ თვალი შეგვავლო როგორც პატარა კაცებს, ჩაილიმა და ტონით, რომელიც არავითარ წინააღმდეგობას ანგარიშს არ გაუწევდა, დაგვემოძღვრა: მე ავიღებ ტყვარჩელს 20 კაცით და მაშინ, როდესაც მინდაო. მე, ადამიანმა, რომელსაც საბჭოთა არმიაში 27 წელიწადი ვიმსახურე სხვადასხვა საშტაბო და სამეთაურო თანამდებობებზე, თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი და „გენერლის" კაბინეტი დავტოვე. ტყვარჩელი კი მას შემდეგ არავის და არასდროს აუღია.

* * *

მკითხველს თავს არ მოვაწყენ ადგილობრივი მნიშვნელობის ღონისძიებებით და მათი აღწერით, ეს შორს წაგვიყვანს. ამ პერიოდის მთავარი მოვლენა იყო მტრის ტამიშის დაჯგუფების ლიკვიდაცია და სახმელეთო გზის გახსნა სოხუმისაკენ. ამ ოპერაციაში მონაწილეობდნენ ფაქტობრივი ხელისუფლების თავდაცვის სამინისტროს, „მხედრიონის" და ეროვნული გვარდიის ქვედანაყოფებიც. ოპერაცია იყო ერთობლივი. ეროვნული გვარდიის ძალებს ხელმძღვანელობდა ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი ვახტანგ (ლოთი) ქობალია. მტერზე შეტევის პირველივე ეტაპზე „მხედრიონის" ძალები მოხვდნენ მტრის ცეცხლში. მათ რიგებში დაღუპულების და დაჭრილების გამოყვანა ძალიან უჭირდათ. ლოთიმ მიიღო სრულიად სწორი გადაწყვეტილება. მან წინ წასწია ტანკი და მტერს ცეცხლი გაუხსნა. გვარდიის გორის ბატალიონის გამოცდილი მებრძოლები, რომლებიც მას რეზერვში ჰყავდა ბატალიონის მეთაურის რამაზ ვანიშვილის მეთაურობით, ბრძოლაში შეიყვანა და „მხედრიონის" დასახმარებლად გაგზავნა. ეს ბრძოლა ჩვენი გაერთიანებული ძალების გამარჯვებით დამთავრდა. „მხედრიონელების" მეთაური, კარგი აღნაგობის ახალგაზრდა მოდიოდა ასფალტირებული გზის შუაგულში და გულში იგინებოდა: „აწი მე რომ მეტყვის ლოთის ბიჭებს ესროლეო, იმის დედაც..." მოხდა ის, რისაც შევარდნაძეს ასე ეშინოდა. ის ამ შეცდომას არ გაიმეორებს შემდგომში. მან მიიღო გაკვეთილი, რომ ერთი ბრძოლის შემდეგ, როდესაც ქართველები გვერდი-გვერდ დგანან, მათი დაყოფა და დაპირისპირება ეშმაკსაც არ შეუძლია.

* * *

შევარდნაძისა და მისი უკანონო რეჟიმის ჩადენილი დანაშაულები ახალ ნიურბერგს მოითხოვს. ე. შევარდნაძის მიერ შექმნილმა ქაოსმა შვა განუკითხაობა, რომელიც მტერს უადვილებდა მიზნის მიღწევას — ქართველი ხალხის გენოციდის ხარჯზე ერის დათრგუნვას და დაკნინებას. მკითხველისათვის მოვიყვან განუკითხაობის ორ მაგალითს, რითაც მისთვის ნათელი გახდება, თუ რა უბედურება დაატეხა თავს საქართველოს და მის მოსახლეობას ხუნტამ, რომელსაც ე. შევარდნაძე მეთაურობდა.

1993 წლის 10 ივლისს რუსთავის კოლონიაში მივიდა პიროვნება. იქ მყოფ პატიმრებს წარუდგა როგორც თავდაცვის მინისტრის, გია ყარყარაშვილის მოადგილე და განუცხადა: თუ თქვენ გამოთქვამთ სურვილს იბრძოლოთ აფხაზეთში, მაშინ ყველას სასჯელი მოგეხსნებათო. 128 ახალგაზრდას მოუყარა თავი. მეორე დღეს მან ეს 128 ახალგაზრდა თბილისიდან სოხუმში ჩამოიყვანა თვითმფრინავით. ეს ახალგაზრდები სრულიად მოუმზადებლად ავტომატით და ორი მჭიდით ჩართეს კონტრშეტევაში შრომა-ახალშენის მიმართულებით. 3 დღის შემდეგ 128 კაციდან ფეხზე მოსიარულე მხოლოდ 23 კაცი დარჩა. მათგან 7 ახალგაზრდამ დატოვა დისლოკაციის ადგილი და გადმოვიდნენ ეროვნული გვარდიის რიგებში. ჩემთან შეხვედრის დროს მათ განაცხადეს, რომ ისინი არ არიან დეზერტირები: მზად არიან იბრძოლონ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, მაგრამ მხოლოდ ქვეყნის კანონიერი პრეზიდენტის შეიარაღებული ძალების რიგებში და არა იქ, სადაც სრული განუკითხაობა და უთავობა სუფევს. მათ მიერ დაწერილი ახსნა-განმარტებები მე გადავუგზავნე „იბერია-სპექტრის" რედაქტორს ბ-ნ ირაკლი გოცირიძეს და კანონიერი ხელისუფლების უზენაეს საბჭოს იმისათვის, რომ შეეტყობინებინათ მსოფლიო საზოგადოებისათვის, თუ როგორ უხეშად ირღვევა ადამიანის უფლებები ხუნტის მიერ. ჩემს ჩანაწერებში, რომლებიც ამ ათი წლის განმავლობაში ბევრი დამეკარგა, წავაწყდი იმ ბიჭების გვარებს და მისამართებს:

— ნუგზარ ეგნატეს ძე გიორგაძე, დაბ. 1973წ. ოზურგეთის რ-ნი, სოფ. ნასაკირალი, რუსთაველის ქ. №6;

— მამუკა გიორგის ძე ნუცუბიძე, დაბ. 1968წ. ქ. ქუთაისი, ნიკიას ქ. 50 ბ.74;

— გია ივანეს ძე ნადირაძე, დაბ. 1966წ, საჩხერის რ-ნი, სოფ. კორბოული.

მათთან ერთად კიდევ 4 ახალგაზრდა იყო, ერთი მათგანი თბილისელი, რომელიც ამ ჯგუფს წინამძღოლობდა. ისინი ფსიქოლოგიურად ტრავმირებულნი იყვნენ. მე მათ შევთავაზე დაეტოვებინათ ფრონტის ხაზი და დაბრუნებულიყვნენ სახლებში, რაც მათ შეასრულეს, გარდა თბილისელისა, რომელმაც მთხოვა გამეშვა მისი მეგობრების ჩამოსაყვანად თბილისიდან.

მეორე მაგალითი: 1993 წლის 25 ივლისს ჩემთან გალის რაიონის სოფელ ბედიაში, სადაც სკოლის შენობაში წინათ სამეთაურო პუნქტი მქონდა განთავსებული, ჩამოვიდა კიტოვანი თენგიზი. მან ორი „იკარუსის" ტიპის ფარდაჩამოფარებული ავტობუსით 35 ავტომატით შეიარაღებული ახალგაზრდები ჩამოიყვანა. ე.წ. ბატალიონის მეთაურთან ერთად სკოლის შენობაში შემოვიდა ჩემთან. „ბატალიონი" ვილაცის ბრძანებით ავტობუსიდან ჩამოვიდა და მოეწყო. ეს ვილაც მებრძოლებს უხსნიდა, როგორ უნდა მოეყვანათ ავტომატი საბრძოლო მდგომარეობაში ანუ როგორ უნდა დაეტენათ ავტომატი. ეს მე ერთი შეხედვით ავღნიშნე და მივხვდი, თუ რა მებრძოლები იყვნენ ჩამოყვანილი. თ. კიტოვანმა მითხრა, ბ-ნო გურამ, ბატალიონი მოვიყვანე და საბრძოლო პოზიციაზე დააყენეო. მე მივუგე, ბ-ნო თენგიზ, გაშალეთ კარავი (პალატკა), იქ დაბანაკდით და ხალხი მოამზადეთ-მეთქი. როდესაც საჭიროება მოითხოვს, მე მათ მეთაურს ერთიან სისტემაში მივცემ დავალებას-მეთქი. ამ დროს სკოლის შენობაში შემოვიდა გალის „მხედრიონის" ბატალიონის მეთაური თამაზ..., რომელიც ოჩამჩირის ბრიგადის შემადგენლობაში შედიოდა. მან წაიყვანა თ. კიტოვანი 35 კაციანი „ბატალიონით" და თავისი პოზიციები, რომელიც სოფ. მიშველის სამხრეთით იყო განლაგებული, გაამაგრა, თავისი ხალხი კი დასასვენებლად გაგზავნა. 27 ივლისს დილით ადრე ამ ე.წ. „ბატალიონს" თავს დაესხა მტერი, რომელიც ტამიშში დამარცხებული დაჯგუფების ნარჩენებს წარმოადგენდა და 5-7 წუთიან ბრძოლაში დაამარცხა. 35 კაციდან 6 დაიღუპა და 7 ტყვედ ჩავარდა. დანარჩენმა თავს გაქცევით უშველა. ეს მოხდა სოფ. მიშველთან. აფსუებმა სოფ. მიშველის სკოლის ეზოში ექსკავატორით ორმო ამოთხარეს და 6 დაღუპული ახალგაზრდის გვამი იქ ჩამარხეს.

ვინ იყო ამ დროს თ. კიტოვანი? რა უფლებით მოხდა ამ ახალგაზრდების მობილიზაცია და მათი სიცოცხლის ხელყოფა? ეს ყველაფერი ხომ მოითხოვს გამოძიებას და დამნაშავის დასჯას. სად არის „სახელმწიფოს მეთაური", „პრეზიდენტი" და „მთავარსარდალი"?

ე. შევარდნაძის „სახელმწიფო პოლიტიკა" ყოველთვის ცინიკურ სიცრუეს ეყრდნობოდა და ეყრდნობა. ახლა, საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად ის ხშირად ახმოვანებს, რომ აფხაზეთის ომში ჩვენ დავმარცხდით იმიტომ, რომ ღალატს ჰქონდა ადგილიო. ამით ის მრავალმნიშვნელოვნად, თუმცა ბუნდოვნად მიუთითებს მოსახლეობას კანონიერი ხელისუფლების და პრეზიდენტის მიმართ. ღალატს ნამდვილად ჰქონდა ადგილი და ამ ღალატის ავტორი ე. შევარდნაძე იყო. სოჭში 27 ივლისს ხელმოწერილი შეთანხმება აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და შემდგომში განვითარებული მოვლენები სინამდვილეში ე. შევარდნაძის მხრიდან კაპიტულაციის აქტი იყო. 1993 წლის 2 აგვისტოს რადიოინტერვიუ ე. შევარდნაძემ ამ დოკუმენტის მნიშვნელობას მიუძღვნა. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკამ" 3 აგვისტოს ე. შევარდნაძის რადიოინტერვიუს სრული ტექსტი დაბეჭდა სათაურით „მთავარია ომის დამთავრება, სისხლისღვრის შეწყვეტა, ნორმალური ცხოვრების დაწყება აფხაზეთსა და მთლიანად საქართველოში". თავის რადიოინტერვიუში ე. შევარდნაძე ცინიკურად და მასშტაბურად ტყუის: „ვფიქრობ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, განსაკუთრებით უშიშროების საბჭოს მონაწილეობა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. როცა ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსზე, ყველა სოფელსა და ყველა დასახლებულ პუნქტში ლტოლვილთა დაბრუნებაზე იქნება ლაპარაკი, მე მგონია, ამ ეტაპზე გაერო შეასრულებს თავის განსაკუთრებულ როლს, განსაკუთრებულ მისიას..."

ამ დოკუმენტზე ხელმოწერის შემდეგ დაიწყო ქართული ლაშქრის განიარაღება და პანიკური გამოქცევა სოხუმიდან. სოხუმში კი ბრუნდებოდნენ სოხუმიდან ლტოლვილი მოსახლეობას და სტუდენტობას. თუ რა ხდებოდა 27 ივლისიდან 16 სექტემბრამდე, მე აღვწერ შემდეგ სტატიაში. აქ მინდა მოვიყვანო კანონიერი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პატარა წერილი, რომელიც 15 ივლისით თარიღდება:

„ჩემო ლოთი,

მახარებს თქვენი წარმატებები, თავდადება და შემართება. მახარებს პოლკოვნიკ რ. ლაკიას ჩამოსვლა თქვენთან. ძალიან გთხოვთ მოუფრთხილდით ამ შესანიშნავ პიროვნებას და მამულიშვილს, შეუქმენით ყოველგვარი პირობები, დიდი მოკითხვა გადაეცით პირადად ჩემგან.

ვინც აცხადებს, რომ ჩვენი მომხრეა და მოითხოვს გარანტიებს, ჯერ საქმით დაამტკიცოს ეს. გარანტიებს ყველას მივცემ, ვინც საქმით გვიერთგულებს. მობილიზაცია უნდა გამოცხადდეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. უნდა აეწყოს სამხედრო მომზადების და წვრთნის სამსახური. გამოცდილ მებრძოლთა გარდა არავინ გაუშვათ წინა ხაზზე. ახალგაზრდები ჯერ კარგად გაწვრთენით და მერე მიალებინეთ მონაწილეობა სამხედრო ოპერაციებში. ყველა ოპერაცია კარგად მოიფიქრეთ და მოამზადეთ. მომარაგების საკითხებს ალბათ მალე მოვიმზადებთ და მოვაგვარებთ. ბიჭები გეტყვიან, ჩეჩნეთში მობილიზაცია კონფედერაციამ ვერ მოახერხა, სულ 40 კაცი წავიდა აფხაზეთში, ასევე სხვა რესპუბლიკებიდან. დიდი ყურადღება სოხუმს. შრომა, კუტუზოვკა და სხვა პუნქტები უნდა გათავისუფლდეს. ტამიში და ზღვა მაგრად გაამაგრეთ. ჯამბულს მივეცი საგანგებო სამხედრო რწმუნებულის სტატუსი იმერეთში, აქვს ზ. ძიძიგურს და გამორთვი. გამოაქვეყნეთ გაზეთში.

1993 წ. 15 ივლისი. პრეზიდენტი"

რამდენი სითბო, კაცთმოყვარეობა, მზრუნველობა და პასუხისმგებლობაა ჩადებული ამ პატარა ბარათში.

მკითხველო, ჩემო ძვირფასო ადამიანო, ვინ იღწვოდა საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე და ვინ ხელყოფდა ქართულ სახელმწიფოებრივ ინტერესებს? ის, ვინც მობილიზაციას აცხადებდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად თუ ის, ვინც კაპიტულანტურ ხელშეკრულებას დებდა საქართველოს მტრებთან და ქართულ ლაშქარს ანადგურებდა?

ნუთუ ძნელია ამ მოქმედებებიდან, რომლებიც ისტორიულ ფაქტს წარმოადგენს, განსაზღვრო, ვისი მხრიდან ჰქონდა ადგილი ღალატს.

**P.S.** პრეზიდენტის ეს წერილი ინახება ბ-ნ ვახტანგ (ლოთი) ქობალიას პირად არქივში.

*პოლკოვნიკი როლანდ (გურამ) ლაკია*

07.IX.1993წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## II. [illegible]

# ✉ წერილი საქართველოს პრეზიდენტ ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ბატონო პრეზიდენტო!



საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემებთან დაკავშირებით გთხოვთ გაითვალისწინოთ შემდეგი:

I. სახელი „ოსეთი“ საქართველოს ტერიტორიის ამა თუ იმ ნაწილის მიმართ პირველებმა გამოიყენეს რუსმა ოკუპანტებმა XIX საუკუნეში, ისიც - მხოლოდ ზედსართავის ("Осетинский") და არა არსებითი სახელის („Осетия“) ფორმით. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქი 1922 წლის აპრილში შეიქმნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის, სახელდობრ, ბოლშევიკების კავკასიის ბიუროს (და არა საქართველოს რომელიმე რაგინდარა მარიონეტული ორგანოს) დადგენილებით, რომელიც შემდეგლა განმეორდა საქართველოს მარიონეტული ცაკ-ის მიერ. 1990 წლის 11 XII საქართველოს რესპუბლიკის სავსებით კანონიერად არჩეულმა უზენაესმა საბჭომ გააუქმა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“. ამ აქტის არმოხდენის უფლება უზენაეს საბჭოს არ ჰქონდა, ვინაიდან ეს იქნებოდა მისი მხრიდან — საქართველოს პირველი ლეგიტიმური უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან - იმ ძალადობის უსიტყვო დადასტურება, რომელიც საქართველოს მიმართ მოახდინა ჯერ მონარქიულმა, შემდეგ კი ბოლშევიკურმა რუსეთმა.

„სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“ მოიცავდა ისტორიული შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილის ერთ ნაწილს - ქსნის, ლეხურას, პატარა ლიახვის, დიდი ლიახვის, ფაწას, ფცისა და ფრონეს ხეობათა ზედაწელებს, რომელთაც ერთიმეორესთან არა აქვთ საკომუნიკაციო გზები (გარდა ბილიკებისა) და არა აქვთ რაიმე სპეციფიკური განმასხვავებელი ნიშანი მეზობელ ანალოგიურ ხეობებთან (არაგვის ხეობა და მის შენაკადთა ხეობები) შედარებით, რის გამოც ამ ტერიტორიას, ერთად აღებულს, ისტორიულად არანაირი საერთო სახელი არ დაჰრქმევია. („სამაჩაბლო“ ანუ მაჩაბელთა სამფლობელო მხოლოდ დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის და ფაწას ხეობებში მდებარეობს).

**ამრიგად, არ არსებობს საქართველოს პრეზიდენტის არც მოვალეობა, არც უფლება, საქართველოს ტერიტორიის რომელიმე ნაწილს დღეს „ოსეთი“ უწოდოს. თქვენს გამოსვლაში 2004 წლის 2 ივნისს, რომელიც გადაიცა ტელევიზიით, თქვენ ხუთჯერ იხმარეთ გამოთქმა „სამხრეთ ოსეთი“. ამით თქვენ წახვედით კანონის წინააღმდეგ და საქართველოს რეალურ სახელმწიფო ინტერესთა წინააღმდეგ.** სახელდობრ, თქვენ ხელი შეუწყეთ საქართველოს სახელმწიფოს ნებისმიერი პარტნერის მიერ (მათ შორის - დღეს არსებული მეამბოხე სეპარატისტული ოსური ჯგუფის მიერ) იმის მოთხოვნას, რეკომენდაციას ან თხოვნას, რომ საქართველოს ტერიტორიის ნაწილს ოფიციალურად ეწოდებოდეს „ოსეთი“, რაც იმას ნიშნავს, რომ კაცობრიობის წინაშე იდგეს „ორი ოსეთის გაერთიანების“ ამოცანა, ორი გერმანიის გაერთიანებისა და ორი კორეის გაერთიანების მსგავსად.

II. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენთან წარმოდგენილია **აფხაზეთის პრობლემების გადაჭრის გეგმა** (კუბლაშვილი, ხაინდრავა, ბერძენიშვილი, ზაქარეიშვილი და სხვანი), **რომელიც ძირითად ხაზებში აგრძელებს გაეროს უშიშროების საბჭოში ბოდენის მიერ წარდგენილ გეგმას.** (მისი ტექსტი დღემდე, სამწუხაროდ, გამოქვეყნებული არ არის). **ეს გეგმა შეიცავს პუნქტებს, რომლებიც, მათი მიღების შემთხვევაში, საქართველოს იურისდიქციაში აფხაზეთის არსებობას დროებით მოვლენად გახდიან. სახელდობრ,**

**ა) აფხაზეთი მოიხსენიება როგორც „სუვერენული“ ან „სუვერენობის ნიშანთა მატარებელი“ „სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი“, რომელიც საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაკავშირებულია „ხელშეკრულებითი“ წესით.** მაშასადამე, ყალიბდება და კანონდება იურიდიული მექანიზმი საქართველოდან აფხაზეთის შესაძლო გამოყოფისა (დღეს ასეთი მექანიზმი არ არსებობს) ზემოხსენებული ხელშეკრულების გაწყვეტის სახით ერთი მხარეთაგანის მიერ.

**ბ) აფხაზეთის ხელისუფლებას ეძლევა, პროექტის თანახმად, იმიგრაციის რეგულირების უფლება,** რითაც, ბუნებრივია, იგი ისარგებლებს იმ მიზნით, რომ აფხაზეთში შეასახლოს მასობრივად ადიღეელები, კაზაკები, სხვა რუსები, მუჰაჯირები თურქეთიდან და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიდან, აგრეთვე - სხვა მუსლიმანები „მუჰაჯირების“ ნიღბით და ამით დემოგრაფიული პროპორციები მკვეთრად შეცვალოს ქართველი მოსახლეობის საზიანოდ. ამით სეპარატისტებს ეძლევათ საშუალება ცენტრალური ხელისუფლების კონტროლისაგან თავისუფალ პირობებში მოახდინონ თავის ხელში რეალური ძალის (სახელდობრ, დემოგრაფიული ძალის) აკუმულირება, რათა გამოიყენონ იგი საქართველოსაგან გამოყოფის იმ სამართლებრივი მექანიზმის ასამოქმედებლად, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. (რეალური ძალის აკუმულაციას სეპარატისტთა ხელში ხელს შეუწყობს პროექტის სხვა პუნქტებიც, როგორიცაა პოლიციური ძალების ყოლის უფლება და რიგი სხვა).

ამრიგად, პროექტის მიღების შემთხვევაში აფხაზეთის დაბრუნებას საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციაში გარდუვალად ექნება მარტოოდენ დროებითი ხასიათი: მისი სეცესია (გამოყოფა) მოხდება ორი, ხუთი, ოცდახუთი ან ასი წლის შემდეგ, მაგრამ იგი აუცილებლად მოხდება.

იმ შემთხვევაში, თუ პროექტი მიიღება და განხორციელდება, ქართველი მოსახლეობა აფხაზეთში იქნება იმავე ეთნოკრატიის მსხვერპლი, რომლისაც იყო საბჭოთა ხელისუფლების დროს. ამ პროგნოზის დასაბუთებას აქ არ მოვიყვანთ (ადგილის ეკონომიის მიზნით), რადგან მისი საფუძვლები ხელშეკრულების პროექტის გამოქვეყნებულ ნაწილში (იხ. ინტერნეტი) შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს.

III. **დღემდე წარმოებული მოლაპარაკებები აფხაზეთის თაობაზე,** მათ შორის მოლაპარაკებებიც გაეროს ეგიდით, **ემყარებოდა და ემყარება რამდენიმე ყალბ წანამძღვარს, სახელდობრ**

**ა) აფხაზეთი არის „აფხაზების“ ანუ აფსუების ქვეყანა. ქართველები იქ გვიან ჩასახლებული, მაშასადამე, ე. წ. არასატიტულო ერი არიან.**

სინამდვილეში ცნობილია, რომ ქართველები ამ ტერიტორიის ავტოხთონური მოსახლეობა არიან, ანუ ის მოსახლეობა, რომელმაც ეს ტერიტორია ხელუხლებელი ბუნების მდგომარეობიდან განვითარებული ფეოდალური ცივილიზაციის მდგომარეობაში გადაიყვანა. აბასკები ამ ტერიტორიის ერთ ნაწილში ცნობილნი არიან ისტორიულად, მაგრამ მათი ადიღეური წარმოშობა (ანუ აფსუებთან მონათესაობა) ჰიპოთეტურია, ხოლო აფსუებთან მათი იგივეობის დაშვებისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს, რადგან სიტყვები „აფსუა“ და „აბაზგი/აბასკი“ ლინგვისტურად ურთიერთგაუიგივებადია.

**ბ) („ა“-დან გამომდინარე). „აფხაზებს“ ანუ აფსუებს აფხაზეთის, როგორც მთელის, პოლიტიკური ბედის განსაზღვრაში (და არა მხოლოდ იმ ადგილებისაში, სადაც ისინი კომპაქტურად ცხოვრობენ) აქვთ გადამწყვეტი ხმის უფლება, სახელდობრ, ვეტოს უფლება ყველა გადაწყვეტილებაზე ან პოზიციაზე, რომელიც მოლაპარაკებათა დანარჩენი მონაწილეებისათვის („ქართული მხარისა“ და მესამე სახელმწიფოებისათვის ან ორგანიზაციებისათვის) მისაღები იქნება.** ამგვარად, იგულისხმება, რომ აფხაზეთის ბედის განსაზღვრაში ერთი აფსუას („აფხაზის“) ხმას მეტი უფლებამოსილება აქვს, ვიდრე ერთი ადგილობრივი ქართველის ხმას, ხოლო მთელი აფსუური („აფხაზური“) მოსახლეობის (90 ათასი) ხმას — მეტი, ვიდრე მთელი ქართველი მოსახლეობისას (240 ათასი).

საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია განუმარტოს მსოფლიო საზოგადოებრიობას და, პირველ ყოვლისა, მოლაპარაკებაში მონაწილე მესამე ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომ პირველი ამ წანამძღვართაგანი ყალბია ფაქტობრივად (ისტორიულად), ხოლო მეორე, პირველიდან გამომდინარე, უარყოფს დემოკრატიის დღემდე ცნობილ ყოველგვარ ნორმებს.

IV. **თქვენ ბრძანეთ** (და ეს გადაიცა ტელევიზიით), **რომ მზად ხართ აფხაზეთისა და დანარჩენი საქართველოს ურთიერთობის განსაზღვრისათვის ფედერაციის ფორმით.** ჩვენ გეკითხებით: ფედერაციისა რატომ? და ფედერაციისა ვისთან? თუ ფედერაცია ხდება იმიტომ, რომ ეს აუცილებელია აფსუა („აფხაზი“) ხალხის ინტერესთა და უფლებათა რეალიზაციისათვის (ხალხისა, რომელსაც საქართველოს გარეთ დღეს სამშობლო არა აქვს ან აღარა აქვს), მაშინ რატომ ეხება ეს თქვენი პოზიცია აფხაზეთს მთლიანად და არა აფხაზეთის მიწაწყლის მხოლოდ იმ ნაწილს (ნაწილებს), სადაც აფსუები („აფხაზები“) ცხოვრობენ ან ოდესმე უცხოვრიათ? თქვენ ხომ ამით უკიდურეს ძალადობას ახდენთ აფხაზეთის ქართველ (ძირითადად, კომპაქტურად მაცხოვრებელ) მოსახლეობაზე, რომელსაც, არძინბას ხროვისაგან და მისი პოლიტიკური წინამორბედებისაგან განსხვავებით, არასოდეს უთხოვია აფხაზეთისათვის ფედერაციის სუბიექტის სტატუსის მიცემა და, ალბათ, არც ოდესმე ითხოვს. ხოლო თუ თქვენ თანახმა ბრძანდებით ფედერაციის სუბიექტის სტატუსი დაუთმოთ აფხაზეთს, როგორც ერთ მთლიანს - ვთქვათ, როგორც აფხაზეთის სამთავროს მემკვიდრეს, რომელმაც 1857 წლამდე იარსება, - მაშინ რა უფლებით რაცხთ მას აფსუურ („აფხაზურ“) ერთეულად, და არა ძირითადად ქართულ ერთეულად ან ქართულ-აფსუურ ერთეულად და მისი ერთობლივი ნების გამოხატვას მოელით არძინბას დანაშაულებრივი ხროვისაგან, და არა ბატონ თემურ მჟავიასაგან (აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისაგან) ან ორივესაგან ერთობლივად? როგორც ჩანს, თქვენ ვერ ითვალისწინებთ ფუნდამენტურ ფაქტს: რომ აფხაზეთის, როგორც მთელის, ნება არ არის და ვერ იქნება იგივე, რაც აფსუა („აფხაზი“) მოსახლეობის ნება (რაგინდარა ერთსულოვანი), რომელიც ამ ტერიტორიას განიხილავს, როგორც თავისი მარადიული და ყოველმხრივი თვითრეალიზაციის ასპარეზს, არამედ იგი არის ამავე დროს ქართველი (დღეს დევნილობაში მყოფი) მოსახლეობის ნებაც, რომელიც ამავე ტერიტორიას განიხილავს, როგორც თავისი ამგვარივე თვითრეალიზაციის ასპარეზს, და ყველა სხვა (მაგრამ — მხოლოდ კანონიერი) მოსახლის ნებაც, რომ იცხოვროს და კეთილდღეიანი იყოს. ეს სამი ნება ერთიმეორეს არ ემთხვევა, მაგრამ მათ შორის შეურიგებელი წინააღმდეგობა არაა. შესაძლებელია მათი ჰარმონიზაცია და არავის აქვს უფლება—არც საქართველოს პრეზიდენტს, არც რომელიმე სხვა სახელმწიფოს (სახელმწიფოებს) ან საერთაშორისო ორგანიზაციას (ორგანიზაციებს) — ეს ფუნდამენტური მნიშვნელობის გარემოება უგულებელყოს. ჩვენ გთხოვთ, ბატონო საქართველოს პრეზიდენტო, ეს გარემოება გაითვალისწინოთ და მით სრულად მოიხადოთ თქვენი კონსტიტუციური მოვალეობა საქართველოს წინაშე და აფხაზეთის როგორც დევნილი, ისე ადგილზე დარჩენილი ქართველი მოსახლეობის წინაშე.

შევაჯამებთ. გონივრულია და სამართლიანია აფხაზეთის ავტონომიური წესით ყოფნა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში, ვინაიდან მასში არის სპეციფიკური პრობლემები აფსუა („აფხაზი“) ხალხის ეთნიკური და ეროვნული ინტერესებისა და უფლებების რეალიზაციისა და ამ ამოცანასთან დაკავშირებული ამოცანები. მაგრამ არც გონივრულია, არც სამართლიანია, არც რომელსამე იურიდიულ და უფლებადაცვით ნორმებთან შესაბამისია მთელი აფხაზეთის არსებობა ფედერაციის სუბიექტად, ანუ ისეთ პოლიტიკურ-ტერიტორიულ ერთეულად, რომელსაც საქართველოს სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლებისაგან განსხვავებული და მისდამი პრინციპულად დაპირისპირებადი ნების ქონისა და რეალიზაციის უფლება აქვს.

ჩვენ არ ვიცით, რამ გამოიწვია თქვენი მზაობა აფხაზეთის პრობლემის გადაჭრისათვის ფედერაციის გზით, აგრეთვე თქვენ მიერ უკანონო გამოთქმის „სამხრეთ ოსეთი“ ხმარება — რუსეთის უფრო დიდმა გავლენამ თქვენს პოლიტიკაზე, ვიდრე ეს შეთავსებადია დამოუკიდებელი სახელმწიფოს ინტერესებთან, დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოების სურვილმა, რომ რაც შეიძლება სუსტად შეკავშირებული (ფომფლო) სახელმწიფოს მაგალითმა, საქართველოს სახით, გააადვილოს ჩრდილო კავკასიის ხალხთა ბრძოლა თავისი უფლებების გაფართოებისათვის რუსეთში (საქართველო ამ მსხვერპლზე არ წავა და ვერ წავა. საჭიროა განემარტოს მსოფლიო საზოგადოებრიობას, რომ ქართულ-აფხაზურსა და რუსულ-ჩეჩნურ მიმართებებს შორის არავითარი ანალოგია არ არსებობს) თუ სხვა რამ მოტივებმა. მაგრამ მოგახსენებთ ცალსახად: ყველა შემთხვევაში ჩვენ მხარს ვუჭერთ თქვენს კურსს, რომ სახელმწიფოს მტკიცე ხელით აილაგმოს სეპარატისტულ-ირიდენტისტული უკანონობა და კრიმინალური განუკითხაობა, ერგნეთის ბაზრობის მსგავსი - მხარს ვუჭერთ გონებით, გულით, ვეტერანთა ხელით და ყველა ასაკის მოქალაქეთა სახელით. ამავე დროს მთელი პასუხისმგებლობით მოგახსენებთ: არც საქართველოში კვლავ „ოსეთის“ შექმნას, არც აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენის კანონიერი აქტისათვის დროებითი, ანუ შექცევადი სახის მიცემას, არც აფხაზეთის პირდაპირსა თუ არაპირდაპირ აღიარებას მხოლოდ აფსუა („აფხაზი“) ხალხის ტერიტორიად, რომელზედაც ქართველ მოსახლეობას შედარებით ნაკლები უფლებები აქვს აფხაზეთის, როგორც მთელის, ბედის განსაზღვრაში მონაწილეობის უფლების ჩათვლით, ჩვენ არ დავეთანხმებით და არ დავუშვებთ. ამას მოგახსენებთ არა მხოლოდ ქვემორე ხელმომწერი პოლიტიკური ორგანიზაციების სახელით, არამედ იმ მომავალი ორგანიზაციებისა და ინდივიდების სახელითაც, რომელნიც ეროვნული და, მაშასადამე, ჭეშმარიტად დემოკრატიული სულისკვეთებისანი იქნებიან. ქართველი ხალხი და მისი ეროვნული სულისკვეთების გამომხატველი პოლიტიკური ორგანიზაციები არ არიან თანახმა და არც ოდესმე იქნებიან თანახმა იმგვარი იურიდიული და ფაქტობრივი პირობების შექმნისა, რომ საქართველომ ახლო ან შედარებით შორ მომავალში დაკარგოს თავისი ეთნიკური ტერიტორიების ნაწილი აფხაზეთისა და შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილის სახით, ვინაიდან ქართველი ხალხი თავისი ცხოვრების დღევანდელ დღეს განიხილავს როგორც ერთ-ერთ მომენტს თავის განვლილსა და მომავალ ისტორიაში და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ამ უკანასკნელის წინაშე პირნათელი იყოს. ასეთი გახლავთ ქართველი ხალხის სულისკვეთება და მისი პოლიტიკური ცხოვრების იდეოლოგია, რომელიც, უდავოა, უახლოეს საუკუნეებში არ შეიცვლება. შესაძლებელია, რა თქმა უნდა, რომ მმართველმა პარტიამ ან ჯგუფმა, რომელსაც ამგვარი იდეოლოგია არა აქვს, შეძლოს საქართველოს ისტორიულ ინტერსთა წინააღმდეგ მიმართული იურიდიული კაპიტულაციების გატარება აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც და პარლამენტშიც. მაგრამ ასეთი კაპიტულაციები არ იქნება აღიარებული არც საზოგადოებრივი აზრის მიერ, არც საქართველოს მომავალ — უდავოდ, ეროვნული და დემოკრატიული სულისკვეთების მატარებელ — ხელისუფლებათა მიერ. ასეთ კაპიტულაციებს გარდაუვალი გაბათილება ელის, ხოლო მათ გამტარებლებს —ორჯონიკიძეების სახელი და ხვედრი.

**ჩვენი მოთხოვნა ორია:**

**— არ დაიშვას სახელის „ოსეთი“ დაკანონება საქართველოს ტერიტორიის არც ერთი გოჯის მიმართ;**

**— არ დაიშვას არც აფხაზეთისათვის ფედერაციის სუბიექტის სტატუსის განსაზღვრა დანარჩენ საქართველოსთან მისი სახელშეკრულებო კავშირის ფორმით (რაც კონფედერაციას უდრის), არც აფხაზეთის ხელისუფლებისათვის იმ უფლების დაკანონება, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის გარეშე მართოს აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე იმიგრაციული პროცესები.**

როგორც ცხინვალის რეგიონის პრობლემის, ისე აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის რეალური გზა და მიმართულება იმ შემთხვევისთვის, თუ საქართველოს ხელისუფლებას სათანადო ნება შესწევს, ცნობილია.

*საქართველოს სახალხო ფრონტი*
*პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლება“*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## II. [illegible]

# სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის შესახებ

### (გამოქვეყნებულია პარლამენტის მიერ კანონის მიღებამდე)

*საქართველოს პარლამენტში იხილება კანონპროექტი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის შესახებ“, რომლის თანახმადაც დაიშვება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწის საღეისოდ სახელმწიფოს ხელში დარჩენილი ნაწილის გაყიდვა საქართველოს მოქალაქეებზე, აგრეთვე უცხოელებზე, თუ ამ უკანასკნელთ საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის იურიდიულ პირთა სტატუსი აქვთ. იმის გათვალისწინებით, რომ*

— საქართველოში მიწის შეძენის მოთხოვნილება როგორც ეკონომიკური, ისე სტრატეგიული მიზნებისათვის დღეს მსოფლიოში კოლოსალურია და

— დღეს არ არსებობს, პრაქტიკულად, ქართველებისა და საქართველოს მოქალაქეების ისეთი ფენა, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება მიწის ღია ბაზარზე, როგორც პოტენციური მყიდველი,

ცალსახად პროგნოზირებადია, რომ უმოკლეს ვადაში საქართველოს, პრაქტიკულად, მთელი მიწა გადავა უცხოელების ხელში და საქართველოს ისეთ მოქალაქეთა ხელში, რომელნიც თანახმანი იქნებიან მიწის შესასყიდად მიიღონ დაფინანსება უცხოეთიდან იმ პირობით, რომ შეძენილი მიწა მომავალში საკუთრებაში გადასცენ ან საქართველოს ინტერესთა გაუთვალისწინებლად გამოყენებაში გადასცენ უცხოელებს. პროგნოზირებადია ისიც, რომ უცხოელთა ხელში საქართველოს მიწის გადასვლის პროცესი წარიმართება ორ საფეხურად. პირველი: მიწა გადავა მსხვილ მოიჯარეთა, სახელდობრ, კომუნისტურ-შევარდნაძისეული ნომენკლატურისა და ოლიგარქიის საკუთრებაში, რომელთა რიცხვსაც დღეს პარლამენტის დიდი ნაწილი ეკუთვნის. მეორე: ამ მესაკუთრეთა ხელიდან, რომელთაც მისი დამუშავება არ ძალუძთ, მიწა გადავა უცხოელთა ხელში.

საქართველოს მიწის აუქციონზე შეძენის ან საქართველოს მოქალაქეთა გამოყენებით მისი არაპირდაპირი შეძენის უცხოელი მსურველნი არიან, სავარაუდოდ,

— რუსეთის სახელმწიფო სამსახურები (სტრატეგიული, გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მიზნით).

— თურქეთის სახელმწიფო სამსახურები (სტრატეგიული, გეოპოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული მიზნით)

— სომხეთის სახელმწიფო სამსახურები და სომხური მსოფლიო დიასპორა (სტრატეგიული, გეოპოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული მიზნით)

— აზერბაიჯანის სახელმწიფო სამსახურები (დემოგრაფიული და ეკონომიკური მიზნით)

— ისრაელის სახელმწიფო სამსახურები და მსოფლიოს ებრაული ლობი (გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მიზნით, სახელდობრ, ებრაული ალტერნატიული სამოსახლო და სტრატეგიული ბაზის შექმნის მიზნით იმ შემთხვევისათვის, თუ არაბთა წინააღმდეგობის შედეგად ასეთი ბაზა შესუსტდება ხმელთაშუა ზღვისპირეთში).

— მსოფლიოს მუსულმანური ორგანიზაციები (გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მიზნით. მხოლოდ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ამ მიმართულებით დღეს მუშაობს 6 ფონდი, მათ შორის — ცნობილი „შაჰაბასის ფონდი“)

— მსოფლიოს სტრატეგიულად და გეოპოლიტიკურად დაუინტერესებელი (არაანგაჟირებული) კერძო პირები და ფირმები.

ხსენებული კანონის მიღება სცილდება საქართველოს დღეს არსებული ხელისუფლების უფლებამოსილების ფარგლებს, ამასთანავე, იგი პირდაპირ წინააღმდეგობაშია საქართველოს სასიცოცხლო სახელმწიფოებრივ ინტერესებთან, სახელდობრ:

1. კანონპროექტის მიღება სცილდება საქართველოს დღეს არსებული ხელისუფლების უფლებამოსილების ფარგლებს, რამდენადაც

— არც საქართველოს პრეზიდენტს მ. სააკაშვილს, არც საქართვლოს მეოთხე მოწვევის პარლამენტში წარმოდგენილ რომელსამე საარჩევნო ბლოკს ან ინდივიდუალური წესით არჩეულ (მაჟორიტარ) რომელსამე დეპუტატს თავის საარჩევნო პროგრამაში არ ჰქონდათ შეტანილი იმის განზრახვა, რომ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწა გაიყიდოს, ან რომ იგი გაიყიდოს დღეს არსებული მოიჯარადრეებისათვის მისი ყიდვის უპირატესი უფლების მინიჭების (მათ მიერ მიწის „პირდაპირი შესყიდვის“) წესით, ან რომ იგი გაიყიდოს მის რაოდენობაზე შეზღუდვის გარეშე, ან რომ იგი გაიყიდოს ფასად, რომელიც მხოლოდ ერთი თანრიგით მეტია მიწის წლიურ გადასახადზე, ან რომ იგი გაიყიდოს უცხოელებზე. ამგვარად, ესოდენ რადიკალური მნიშვნელობის ნაბიჯისათვის, როგორიცაა შემოთავაზებული კანონის შემოღება, არც პრეზიდენტს, არც პარლამენტს მოსახლეობის (ამომრჩევლის) მანდატი არა აქვთ.

— საქართველოში დღეს, — მსოფლიოში არსებული არაერთი მაღალპრესტიჟული ძალის, მათ შორის აშშ სახლმწიფო დეპარტამენტის შთაბეჭდილებით და ხალხის, პრაქტიკულად, ერთსულოვანი აზრით, — დემოკრატიის მნიშვნელოვანი დეფიციტი არსებობს, რის შედეგადაც მოსახლეობას ნდობა არა აქვს გასულ წლებში ჩატარებული მიწათგაიჯარების იმ პროცედურისა, რომლის შედეგადაც დღეს არსებობს (უმთავრესად, მსხვილ) მოიჯარეთა ფენა, რომელსაც მიწის პირდაპირი შესყიდვის მონოპოლია ეძლევა კანონპროექტის მიხედვით. საქართველოს პარლამენტს არა აქვს უფლება, ეს ფენა საქართველოს მოსახლეობის ხარჯზე მემკვიდრეობით გაბატონებულ მემამულეთა კლასად გადააქციოს. ე.წ. „სამხედრო საბჭო“, (სიგუა, კიტოვანი, იოსელიანი), ხოლო შემდეგ შევარდნაძის ხელისუფლება საქართველოს სახელმწიფოს სათავეში 1992 წელს მოვიდა დანაშაულებრივი სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, მაშასადამე — უკანონოდ. შევარდნაძის ხელისუფლების ჩანაცვლება სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძის ხელისუფლებით მოხდა მხოლოდ შევარდნაძისა და მისი ხელისუფლებისადმი საყოველთაო-სახალხო სიძულვი-



ლის გამო (და, საზოგადოების ფართო წრეების დღევანდელი შთაბეჭდილებით, შევარდნაძესთან წინასწარი შეთანხმების შედეგად). სააკაშვილის არჩევა პრეზიდენტად მოხდა შევარდნაძის გადაგდებით გამოწვეული ეიფორიის „ტალღაზე“, ხოლო პარლამენტში სააკაშვილი-ჟვანია-ბურჯანაძის პარტიის უმრავლესობის შექმნა მოხდა ტოტალური გაყალბებით. ამგვარად, დღევანდელი პრეზიდენტიცა და პარლამენტიც არ არიან მოსახლეობის მშვიდად განსაზღვრული ნების ადეკვატურად გამომხატველნი.

— საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის მოქმედების მრავალი დეტალი (მახასიათებელი) 2004 წლის დამდეგიდან დღემდე, მათ შორის — ის გარემოებები, რომ საქართველო არ არის გამოსული „დსთ“-დან, არ არის საქართვლოდან გაყვანილი რუსული სამხედრო ბაზები (პირიქით, გავრცელებული აზრით, განზრახულია მათი დაკანონება 3 წლით ან მეტით), რომ საქართველოს მინისტრები ოფიციალურად იღებენ ხელფასს უცხოელისაგან (ბ-ნ სოროსისაგან), მეტყველებენ იმაზე, რომ საქართველოს ხელისუფალნი დღეს რუსეთის მიერ მართულნი არიან და, — შესაძლოა, ბალანსის დამყარების მიზნით, — დაუშვებელი გავლენის ქვეშ იმყოფებიან სხვა უცხოურ ძალთა მხრიდან.

ლეგიტიმურობის ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებით განპირობებული დეფიციტის პირობებში და, ამავე დროს, მოსახლეობის მხრიდან ამავე მიზეზებით გამოწვეული უნდობლობის პირობებში (აგრეთვე იმ უნდობლობისა, რომელსაც სახელმწიფოში გავრცელებული უსაზღვრო კორუფცია განაპირობებს), დაუშვებელია ხელისუფლების მიერ საერთო სახალხო რეფერენდუმის გარეშე ერის მომავალი ისტორიისათვის სასიკვდილო ხიფათის შემცველი რადიკალური ნაბიჯების გადადგმა, მათ შორის — გადაწყვეტილებების მიღება ერის ძირითადი სიმდიდრის, მიწის გაყიდვის შესახებ.

2. კანონპროექტის მიღება შეუთავსებელია საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებთან, რამდენადაც

— საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწა არის საქართველოს სახელმწიფოს მთავარი სიმდიდრე და ქართველი ერის მთავარი საარსებო ბაზა განჭვრეტადი ათწლეულებისა და საუკუნეებისათვის. წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად ხდება ამ მიწის გატანა თავისუფალ ბაზარზე, რომელზეც, როგორც უკვე აღინიშნა, არც ერთი კონკურენტუნარიანი ქართველი არ არსებობს. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მთელი მიწა გადავა უცხოელების ხელში, ხოლო მთელი ქართველი მოსახლეობა გახდება დაუსაქმებელი (რადგან განჭვრეტად მომავალში საქართველოში სოფლად მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება არ მოხდება), იგი იქცევა ბოგანოდ (პროლეტარად) და იძულებული იქნება იხეტიალოს დედამიწაზე უპრესტიჟო დასაქმების ძებნაში, ხოლო 2-3 თაობის მანძილზე წაიშალოს ჯერ კულტურულად, ხოლო შემდგომ ფიზიკურად.

— საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწის გასვლა სახელმწიფოს, როგორც უზენაესი მესაკუთრის, ხელიდან ართმევს სახელმწიფოს სარეზერვო ფონდს, ეკოლოგიურის ჩათვლით, და უკანასკნელ ეკონომიკურ ბერკეტს (სახელდობრ, მოქალაქის ეკონომიკური სტიმულირების შესაძლებლობას) მთელი რიგი სახელმწიფოებრივად აუცილებელი მიზნების სამსახურისათვის, სამხედროს ჩათვლით.

— საქართველოს საერთოსახალხო სარგებლობის მიწების მკვეთრი შემცირება, რაც გარდუვალად მოჰყვება შემოთავაზებული კანონპროექტის მიღებას, როგორც შემდგომი ნაბიჯი (ტყეველისა და ა.შ.), გარდუვალად გამოიწვევს საზოგადოების შემადგენელ ადამიანთა შორის ურთიერთსოლიდარობის გრძნობის შესუსტებას, რასაც თავდაპირველად უხილავი, მაგრამ სამომავლოდ დამანგრეველი შედეგი მოჰყვება სახელმწიფოს მდგრადობის თვალსაზრისით.

— სასოფლო-სამეურნეო მიწათა ძირითადი ნაწილის პრივატიზაცია ამ ღონისძიებისათვის მზაობის დღევანდელ სტადიაზე, ანუ საკადასტრო სამუშაოთა და სხვა ანალოგიურ სამუშაოთა ჩაუტარებლად (დღეს ეს სამუშაოები საქართველოში საწყის სტადიაზეა) ეწინააღმდეგება მისი გამოყენების ცივილიზებული ტექნოლოგიის ანბანურ პრინციპებს და, ამგვარად, შეუთავსებელია სახელმწიფოსა და ხელისუფლების პრესტიჟთან. მასთან შეუთავსებელია აგრეთვე საქართველოში ხელისუფლების მიერ გავრცელებული მითი, თითქოს სასოფლო-სამეურნეო მიწის მაქსიმლურად ეფექტიანი მონაწილეობისათვის საბაზრო ეკონომიკაში არსებობს მხოლოდ ერთი იურიდიული ფორმა — კერძო საკუთრება. სინამდვილეში არსებობს ორი ასეთი ფორმა: კერძო საკუთრება და გრძელვადიანი გასხვისებადი იჯარა.

თქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული მიმართულების და, მაშასადამე, ჭეშმარიტად დემოკრატიული პარტიები და საზოგადებრივი ორგანიზაციები ჩვენს მოვალეობად ვრაცხთ, განვაცხადოთ:

1. საქართველოს პარლამენტის მიერ კანონპროექტის მიღება, თუ იგი შედგა, იქნება დეპუტატთა მიერ საკუთარი უფლებების გადამეტება და ამავე დროს საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების პირდაპირი ღალატი, რასაც მოსდევს შესაბამისი პასუხისმგებლობა დღეს და მომავალში. ამ კანონპროექტისათვის ხმის მიცემა ყოველი ინდივიდუალური დეპუტატის მიერ არის დასჯადი ქმედება.

2. ამ კანონის საფუძველზე და ამ კანონში მითითებული წესით მიწის ყიდვა როგორც საქართველოს მოქალაქეების, ისე სხვა ქვეყნის მოქალაქეების მიერ არის საკუთრების ყიდვა იმის ხელიდან, ვისაც მისი გაყიდვის უფლება არა აქვს, აქედან გამომდინარე ყველა სამართლებრივი შედეგებით. ხსენებული წესით მიღებული საკუთრება მიწაზე ექვემდებარება გაუქმებას.

*საქართველოს სახალხო ფრონტი – **ნ. ნათაძე***

*ქეთევან წამებულის საზოგადოება – **იზოლდა ჭილაძე***

*საქართველოს პენსიონერთა და ხანდაზმულთა ასოციაცია „ბერმუხა“ – **ელენე კახნიაშვილი***

ეროვნული ბიბლიოთეკა

## II. [illegible]

# საქართველოს მთავრობა უძრავი ქონების გაყიდვას აპირებს (განცხადება)

1. საქართველოს მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში გაყიდის საქართველოს უძრავი ქონების ძირითად ნაწილს, უცხოელებზე გაყიდვის ჩათვლით. გამოქვეყნდა პირველ რიგში გასაყიდი ობიექტების ნუსხა. ამ ნუსხაში შევიდა ისეთი ობიექტები, რომელთა გაყიდვა კანონით აკრძალულია და რომელთა არყოფნა სახელმწიფოს ქმედითი კონტროლის სფეროში შეუთავსებელია საქართველოს სტრატეგიულ სათავდაცვო, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ინტერესებთან. საქართველოს ხელისუფლების ეს ქმედება შორსაა საქართველოსათვის მისაღები ერთადერთი (და საყოველთაოდ ცნობილი) ეკონომიკური კურსისაგან, რომელიც მოიცავს

— საქართველოს ეკონომიკაში სკრუპულოზურად შერჩეული (ანუ საქართველოს მიმართ დღეს აგრესიულ პოზიციაში მდგარი რუსეთის და ზოგი სხვა ძალის გადამწყვეტი გავლენისაგან დაცული) უცხოური ინვესტიციების მოზიდვას საერთაშორისო ბაზარებზე კონკურენტუნარიანობის მიღწევის მიზნით, ერთის მხრივ, და

— იმავდროულად, საქართველოს მიერ საკუთარი სტრატეგიულ სათავდაცვო, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ობიექტებზე ქმედითი კონტროლის შენარჩუნებას, მეორე მხრივ.

პრემიერ-მინისტრმა ჟვანიამ საზოგადოების ზურგს უკან ხელი მოაწერა საზოგადოებისათვის უცნობი და ურეკომენდაციო უცხოური კომპანიისათვის ბათუმის პორტის დიდი ნაწილისა და საქართველოს საოკეანო სანაოსნოსაგან დარჩენილი გემების მიყიდვის მემორანდუმს. ეს ფაქტი შემდგომში საზოგადოებას ყალბად მიეწოდა, როგორც საქართველოს სანაოსნოს, ანუ მოძრავი საკუთრების, გაყიდვა, თუმცა სინამდვილეში ეს იყო საქართველოს უძრავი საკუთრების, უფრო მეტიც — საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტის გაყიდვა. ბათუმი არის ყველაზე მნიშვნელოვანი იმ სამად-სამ საზღვაო პორტს შორის, რომლითაც ამიერკავკასია და შუა აზია დღეს უკავშირდება შავ ზღვას, ხმელთაშუა ზღვასა და ატლანტის ოკეანეს და რომელსაც საქართველო დღემდე განუყოფლად ფლობდა და განკარგავდა. იგი სტრატეგიულია პოლიტიკურად (რადგან იგი საკვანძო რგოლია დასავლეთ-აღმოსავლეთის იმ ძირითად მაგისტრალზე, რომელშიც იკვეთება დასავლეთისა და აღმოსავლეთის გეოპოლიტიკური ინტერესები) და ეკონომიკურად (რადგან იგი საკვანძო რგოლია იმ გზისა, რომელსაც საქართველოს ერთ-ერთ ძირითად საშემოსავლო წყაროდ ყოფნის პერსპექტივა აქვს). საქართველოს მთავრობის ზემოაღწერილი ქმედება ქვემორე ხელის მომწერთ მიგვაჩნია მის მიერ თავის უფლებამოსილებათა გადამეტებად, კანონსაწინააღმდეგო ქმედებად და სახელმწიფოს საარსებო ინტერესთა წინააღმდეგ შეგნებულად მიმართულ ქმედებად, სახელდობრ:

1. არც საქართველოს პრეზიდენტს მ. სააკაშვილს, არც საქართველოს პარლამენტში დღეს უმრავლესობაში მყოფ ბლოკს „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატები“ საარჩევნო პროგრამაში არ ჰქონდათ შეტანილი საქართველოს ეროვნული საკუთრების ძირითადი ნაწილის გაყიდვა საერთოდ და მისი უცხოელებზე გაყიდვა კერძოდ. ამგვარად, საქართველოს მთავრობას არა აქვს მოსახლეობის მანდატი ამ საერთო-სახალხო საკუთრების გაყიდვისათვის.

2. საქართველოს კანონის მიერ არაა დაშვებული სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი ყველა სახის ობიექტის გაყიდვა, მათ შორის ისეთებისა, რომლებიც შეტანილია გასაყიდ ობიექტთა სიაში ან რომელთა იქ შეტანის განზრახვაც გამოცხადებულია.

3. საქართველოს ძირითად საწარმოო საშუალებათა გაყიდვა უცხოელებზე საქართველოს სახელმწიფოს და საქართველოს მოქალაქეებს ართმევს სიმდიდრის შექმნისა და სახლმწიფოსა და ქვეყნის საარსებო ინტერესთა დაცვის ყველა იმ საშუალებას, რომლებიც მოითხოვს წარმოების საშუალებათა ფლობას, ანუ ართმევს ქვეყანას და ხალხს არსებობის ყველა სახსარს, საკუთარი შრომის გაყიდვის გარდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკონომიკურ ობიექტთა გაყიდვის წარმოდგენილი გეგმა საქართველოს მოსახლეობას და მის ქვეყანას პროლეტარის (ბოგანოს) მდგომარეობას უქმნის, ამ უკანასკნელის შეცვლის პერსპექტივის გარეშე.

4. იმ შემთხვევაშიც, თუ საქართველოს ძირითადი საწარმოო საშუალებები გადავა ისეთი უცხო კაპიტალის ხელში, რომელიც პოლიტიკურად ანგაჟირებული (დაინტერესებული) არ არის, გარდუვალად (და ბუნებრივად) მოხდება შესაბამის საწარმოებში ადგილობრივი მუშახელისა და ადმინისტრაციული პერსონალის შეცვლა უცხოურით, რაც შეამსუბუქებს უმუშევრობის ტვირთს სხვა ქვეყანაში და გაზრდის მას საქართველოში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ძირითადი საწარმოო საშუალებები გადავა პოლიტიკურად დაინტერესებული უცხო კაპიტალის ხელში (ასეთია არა მხოლოდ რუსეთის კაპიტალი, არამედ საქართველოს ზოგი მეზობელი და ზოგი არამეზობელი ქვეყნისაც), მაშინ მუშახელისა და პერსონალის მიგრაციის ამ პროცესს დამატებით ექნება მიზანმიმართული ხასიათიც, სახელდობრ, მყიდველს მიზნად ექნება საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის არსებითი შეცვლა (იმის მსგავსად, როგორც საბჭოთა ეპოქაში საწარმოთა მშენებლობა ეროვნულ რესპუბლიკებში ერთ-ერთ მიზნად ისახავდა რუსი მუშახელისა და პერსონალის შეყვანას და ამით ამ რესპუბლიკებში რუსული მოსახლეობის მასივების შექმნას).

5. საქართველოს საწარმოო საშუალებათა შეუზღუდველი გაყიდვა, უცხოელებზე გაყიდვის ჩათვლით, გარდუვალად გამოიწვევს საქართველოს სათავდაცვო პოტენციალის, ამ რიცხვში — სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის, მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების, მოსახლეობის ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების, ქვეყნის სატრანსპორტო უსაფრთხოების ხარისხის მკვეთრ დაცემას, რაც საქართველოსათვის, მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტების პირობებში და რუსული აგრესიის პირობებში, სასიცოცხლოდ საშიშია.

6. საქართველოს საწარმოო საშუალებათა ძირითადი ნაწილის გამოსვლა სახელმწიფო საკუთრებიდან სახელმწიფოს წაართმევს გარანტირებულ ეკონომიკურ ბაზას იმ სტრუქტურათა შესანახად, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოში კანონის განხორციელებას, რის შედეგადაც ნებისმიერ შეფერხებას ბიუჯეტის შესრულებაში შეეძლება სახელმწიფოს მართვის და დაცვის პარალიზება.

II. საქართველოს მთავრობის გეგმა საქართველოს ძირითადი საწარმოო საშუალებების გაყიდვისა უცხოელებზე გაყიდვის ჩათვლით, ქვემორე ხელის მომწერთ მიგვაჩნია უცხო ძალების (პირველ რიგში — რუსეთის) დავალების შესრულებად, რომელიც მიმართულია საქართველოს წინააღმდეგ, ანუ სახელმწიფოს ღალატად, ერთის მხრივ, და ანგარიშიან კრიმინალურ ოპერაციად, სახელდობრ, მომავალ მყიდველებთან გარიგებისა და გასაყიდი ფასების ხელოვნური ურთიერთშეთანხმებული დაკლების ოპერაციად, მეორეს მხრივ, საქართველოს ძირითად სტრატეგიულ ობიექტთა გასხვისების ზემოხსენებული კამპანია დაგეგმილია არა ერთი (ეკონომიკური), არამედ ორი (პოლიტიკური და ეკონომიკური) მიზნით, — საქართველოს სახელმწიფოებრიობის სუბვერსიის (ძირის გამოთხრის) და საქართველოს ძირითადი სტრატეგიული ობიექტების ხელთგდების მიზნით. ეს ქმედება მიმართულია საქართველოს სრულფასოვანი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების არდაშვებისაკენ, საქართველოს ეკონომიკური და სამხედრო დაუძლურებისაკენ და მისი პოლიტიკური, სტრატეგიული, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური მოშლისაკენ. გამოვთქვამთ ეჭვს, რომ ბათუმის პორტის გაყიდვის მომცველი ზემოხსენებული ოპერაციის მხარდამჭერთა ხმამაღალი დეკლარაცია, პორტის გაყიდვით აღებული თანხის დიდი ნაწილი არმიის მშენებლობას მოჰხმარდება, აგრეთვე სიყალბეა. სახელდობრ, პორტი იმისათვის კი არ იყიდება, რომ საქართველომ თავისი სასიცოცხლო პრობლემების გადასაჭრელად ძალის გამოყენება შეძლოს, არამედ პირიქით: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მტკიცენების სიმულაცია (რუსეთის წინაშე სისტემად ქცეულ რეალურ კაპიტულაციათა ფონზე) იმ მიზნით ხდება, რომ ხელსაყრელი ფსიქოლოგიური ამინდი შეიქმნას საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სტრატეგიულ ობიექტთა გაყიდვისათვის.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მ. სააკაშვილი, როგორც საქართველოს პრეზიდენტი, პასუხისმგებელია საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ამ დივერსიული გეგმის თანდათანობით განხორციელებაზე, რომლის მოწმენიც ვართ. საქართველოში დიქტატურის დამყარებისა და გამკაცრების მცდელობა, რის დემონსტრაციულ გამოვლენასაც, მოსახლეობის დაშინების მიზნით, ვხედავთ მიწისძვრით დაზარალებულების დარბევისა და ეკონომიკის სამინისტროს წინ მოწყობილი დარბევის სახით, საქართვლოს ეროვნული სიმდიდრის განიავების ზემოხსენებული გეგმის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.

ქვემორე ხელისმომწერთ განზრახული გვაქვს, სრული სიმკაცრით წინ აღვუდგეთ მთავრობის ამ დანაშაულებრივ ქმედებას და არ დავუშვათ არც საქართველოს სიმდიდრის რადიკალური ხელყოფა, არც საქართველოში შემდგომი დედემოკრატიზაციის მცდელობა მთავრობის მხრიდან.

ქვემორე ხელისმომწერნი ამ განცხადებით ვაფრთხილებთ საქართველოს ზემოხსენებული სასიცოცხლო ეკონომიკური ობიექტების პოტენციურ მყიდველებს: ამ ობიექტთა შესყიდვით, რომელთა გაყიდვის უფლებამოსილება საქართველოს მთავრობას არ გააჩნია, თქვენ ყიდულობთ საკუთრებას იმის ხელიდან, ვისაც მისი გაყიდვის უფლება არა აქვს, ანუ თქვენ სჩადით დანაშაულს საქართველოს კანონის წინაშე, აქედან გამომდინარე ყველა სამართლებრივი შედეგებით.

ჩვენს უფლებად და მოვალეობად ვრაცხთ განვაცხადოთ: საქართველო არ მიიღებს და არ აღიარებს ზემოხსენებული სახის შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს, რომლითაც მოხდება საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ანუ პოლიტიკურად, ეკონომიკურად ან ეკოლოგიურად სტრატეგიული ობიექტების გასვლა საქართველოს ხელისუფლების მიერ სახელმწიფოს სტრატეგიულ ინტერესთა შესაბამისად მართვის სფეროდან.

მოვუწოდებთ საქართველოს მეგობარსა და პარტნერ დემოკრატიულ ქვეყნებს, მათ მთავრობებს, საქმიან წრეებსა და საზოგადოებრიობას: არ შეუწყონ ხელი საქართველოსათვის მისი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სტატეგიული ობიექტების წართმევის ზემოხსენებულ დანაშაულებრივ ოპერაციას, რომელსაც საქართველოს დღევანდელი მთავრობა გეგმავს და ატარებს.

მოვუწოდებთ მათ, საქართველო განიხილონ როგორც საიმედო მოკავშირე, როგორც თავისუფლებისა და დემოკრატიის პოტენციური მყარი ბურჯი დასავლეთისა და აღმოსავლეთის საზღვარზე, როგორც მტკიცე ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნისაკენ მოსწრაფე მეგობარი ქვეყანა, და არა როგორც ტერიტორია, რომელსაც ეროვნულ პასუხისმგებლობას მოკლებული შემთხვევითი ადამიანები მართავენ.

თავს უფლებას ვაძლევთ, წინამდებარე განცხადება გავაკეთოთ საქართველოს ხალხისა და სახელმწიფოს სახელით, ვინაიდან ჩვენ გამოვხატავთ მოსახლეობის მასის იმ ნებას, რომელიც ექსპლიციტურ ფორმას მიიღებს საქართველოში რეალური (ანუ დემოკრატიულ საარჩევნო კანონზე დამყარებული და კანონიერად ჩატარებული) საპარლამენტო არჩევნების შედგომისთანავე.

*საქართველოს ეროვნული მიმართულების და, მაშასადამე, ჭეშმარიტად დემოკრატიული მიმართულების პარტიები:*

*პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლება“*

*საქართველოს სახალხო ფრონტი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# II. ზრალი ვდეზ

*(აფხაზეთის ტრაგედიის 10 წლისთავის გამო)*

1993 წლის 27 ივლისს სოჭში ხელმოწერილი შეთანხმება და ფაქტობრივი ხელისუფლების მეთაურის ე. შევარდნაძის შემდგომი მოქმედებები ქვეყნის და ერის წინაშე სამშობლოს ღალატია. ამ შეთანხმებას ხელს აწერენ რუსეთის ფედერაციის, აფხაზეთის სეპარატისტული და საქართველოს უკანონო ხელისუფლების წარმომადგენლები. ამ სამარცხვინო და მოღალატურ გარიგებას ე. შევარდნაძემ 1993 წლის 2 აგვისტოს თავისი რადიოინტერვიუ მიუძღვნა და ომი აფხაზეთში დამთავრებულად გამოაცხადა. საქართველოს ტელევიზიამ ე. შევარდნაძის კაპიტულანტური გარიგება „სამშვიდობოდ" მონათლა და დაიწყო მოსახლეობის დარწმუნება იმაში, რომ ყველაფერი ცუდი წარსულშია, ხოლო შევარდნაძის „ბრძნული პოლიტიკის" შედეგად საქართველოს წინ ბედნიერი მომავალი მოელის. ე. შევარდნაძემ, როგორც ფაქტობრივი ხელისუფლების მეთაურმა, განახორციელა მოღალატური ღონისძიებები, რომლებმაც შემდგომში ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და საქართველოს თავისი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი დააკარგვინა. მან ამ მოქმედებისათვის, რომლის სახელი სამშობლოს ღალატია, პასუხი უნდა აგოს.

* * *

მე არ შევუდგები სოჭის შეთანხმების პუნქტობრივად განხილვას და იმის მტკიცებას, რომ ამ შეთანხმებაში პოლიტიკური დამარცხების გარდა წინასწარ ჩადებული იყო საქართველოს სამხედრო დამარცხებაც. რუსეთს და მის მარიონეტ აფსუა სეპარატისტებს ამ შეთანხმების არც ერთი პუნქტი არ შეუსრულებიათ და თავიდანვე ასეც იყო ჩაფიქრებული. თავგამოდებით და სრულიად გაუაზრებლად ამ შეთანხმების შესრულებას მოითხოვდა ე. შევარდნაძე მხოლოდ ქართული მხარისაგან, რაც ქართული ლაშქრის განიარაღება-გაყვანაში გამოიხატებოდა. ე. შევარდნაძემ კარგად იცოდა, რომ ამ გარიგების ფასად საქართველო კარგავდა აფხაზეთს, მაგრამ მას უნდოდა ქართველების სამაგალითო დათრგუნვა, რომ მათთვის აფხაზეთის გაგონებაც თავზარდამცემი ყოფილიყო. ამის ფასად ის, უკანონოდ, დამნაშავური გზით მითვისებულ ძალაუფლებას ინარჩუნებდა. თავზარდაცემული, ნაგვემი და ნაწამები ხალხი დიდხანს გონს ვერ მოეგებოდა და განმკითხველიც არ ეყოლებოდა.

ეროვნული გვარდიის სარდლობამ განიხილა რა სოჭის შეთანხმების შედეგად შექმნილი სიტუაცია, მივიდა დასკვნამდე, რომ ქვეყანაში მოსალოდნელი იყო უდიდესი კატასტროფა. ამ უბედურების თავიდან ასაცილებლად ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობა შეხვდა სოხუმში გენერლებს ზაურ უჩაძეს და გენო ადამიას, ოჩამჩირეში ბრიგადის მეთაურს ბუთხუზ თოხაძეს. გენერალმა ზაურ უჩაძემ განაცხადა, რომ მას სოხუმის დაცვის არავითარი გეგმა არა აქვს, ის ვალდებულია შეასრულოს „მთავარსარდლის" ბრძანება, რომლის მიხედვითაც მისდამი დაქვემდებარებული სამხედრო ნაწილები ქუთაისის ზონაში უნდა გაიყვანოს და ყაზარმებში განალაგოს. ის ამ ბრძანებას ბრმად ასრულებდა. გენერალი გენო ადამია გუმანით გრძნობდა მოსალოდნელ კატასტროფას და ამბობდა, რომ ის პირადად სოხუმს არ დატოვებდა და სოხუმიდან არ გავიდოდა. გვთხოვა, რომ მისთვის დაგვეტოვებინა ეროვნული გვარდიის სოხუმის მე-5 ბატალიონი სოსო ჯომიდავას მეთაურობით, რაზეც ჩვენი თანხმობა მიიღო. ოჩამჩირის ბრიგადის შტაბში სრული ქაოსი სუფევდა. ბრიგადის მეთაური ბუთხუზ თოხაძე გაწამაწიაში იყო. ის ოჩამჩირის ნავსადგურში გემებზე ტვირთავდა ფაქტობრივი ხელისუფლების შეიარაღებული ძალების ნაწილებს, მათ ჯართად ქცეულ მძიმე ტექნიკას და არტილერიას. რუსი „დამკვირვებლები" პოლკოვნიკის ჩინით დარბოდნენ, ტანკების ქვემეხებიდან და საარტილერიო სისტემებიდან საკეტებს ხსნიდნენ, ტომრებში აწყობდნენ, ლუქავდნენ და გაჰქონდათ. ბრიგადის მეთაური ხვდებოდა, რომ რაღაც დიდი უბედურება ხდებოდა, იგინებოდა, მაგრამ მაინც ასრულებდა „მთავარსარდლის" დავალებას. პატრიოტულად განწყობილი ოფიცრები ყველაფერ ამას აპათიით შესცქეროდნენ და წასვლას არსად არ აპირებდნენ. ან სად უნდა წასულიყვნენ, ისინი ხომ ადგილობრივი მცხოვრებლები იყვნენ. სამთავრობო ჯარების უთავბოლო ევაკუაციას აფხაზეთიდან, რაც უფრო პანიკურ გამოქცევას ჰგავდა, „ხელმძღვანელობდა" ფაქტობრივი ხელისუფლების თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე გენერალი პაატა დათუაშვილი, რომელიც წარმოადგენდა უფროს სამხედრო თანამდებობის პირს აფხაზეთში.

16 აგვისტოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის სარდლობის ინიციატივით სოხუმში გაიმართა მოლაპარაკებები ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელობასა და ფაქტობრივი ხელისუფლების თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას შორის. ეროვნული გვარდიის დელეგაციას მე ვხელმძღვანელობდი, თავდაცვის სამინისტროს დელეგაციას – მინისტრის პირველი მოადგილე გენერალი პაატა დათუაშვილი. მოლაპარაკებების შედეგად ხელმოწერილი იქნა შეთანხმება, რომლის საფუძველზე მხარეებს ევალებოდათ:

თავდაცვის სამინისტროს:

– შეექმნა აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო ძალთა პარიტეტი;

– დაეცვა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი მდ. ფსოუზე, გაეკონტროლებინა საჰაერო სივრცე აფხაზეთში და ორმილიანი სანაპირო ზოლი ზღვის აკვატორიაში;

– გადაეცა ცეცხლსროლელი იარაღი და ტყვია-წამლის მარაგი ქართული სოფლების გამგებლებისთვის თავდაცვის მიზით;

– ოჩამჩირის ბრიგადა, საარტილერიო დივიზიონი და მოტორიზებული ბატალიონი განელაგებინა ზუგდიდის რაიონში, ენგურის მარცხენა სანაპიროზე, მეორე ეშელონში.

ეროვნული გვარდიის მთავარ სამმართველოს ევალებოდა:

– ეროვნული გვარდიის სოხუმის მე-5 ბატალიონი დაეტოვებინა სოხუმში ძალთა პარიტეტის შესაქმნელად აფხაზეთში;

– გალის რაიონის სოფლებში შეექმნა მოსახლეობის თავდაცვის სისტემა და მისი მართვის ორგანო;

– ეროვნული გვარდიის ქვედანაყოფები განელაგებინა ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონების ენგურგაღმა სოფლებში.

ძალათა ასეთი განლაგება გამორიცხავდა იმ კატასტროფას და ტრაგიკულ შედეგს, რომელიც თავს დაატეხა საქართველოს, კერძოდ, აფხაზეთის მოსახლეობას „მთავარსარდლის" შეგნებულმა მოღალატეობრივმა ქმედებებმა.

ამ ხელშეკრულებას (შეთანხმებას) ხელი მოაწერეს ორივე მხარის დელეგაციის წარმომადგენლებმა (ერთი ეგზემპლარი ინახება ეროვნული გვარდიის არქივში). საქართველოს კანონიერმა პრეზიდენტმა ბ-ნმა ზვიად გამსახურდიამ ეს შეთანხმება მოიწონა და დათანხმდა.

22 აგვისტოს ზუგდიდში ჩამოვიდა ფაქტობრივი ხელისუფების თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია გენერალ პაატა დათუაშვილის ხელმძღვანელობით. ამ შეხვედრის ინიციატორი იყო თავდაცვის მინისტრი გია ყარყარაშვილი. შეხვედრის შედეგად მიღებული იქნა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც:

– საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების თავდაცვის სამინისტრო და ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველო ერთმანეთს ცნობდნენ საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ჯანსაღ ნაწილად და აცხადებდნენ, რომ ისინი არ დაუშვებენ საქართველოში სამოქალაქო ომის გაღვივებას და ერთიანად შეებრძოლებიან ყოველ მესამე ძალას, რომელიც შეეცდება სამოქალაქო ომის პროვოცირებას;

– ერთიანად იბრძოლებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის;

– ფაქტობრივი ხელისუფლებისაგან მოითხოვენ ხობისა და სენაკის რაიონებიდან ყველა სახის შეიარაღებული ფორმირებების გაყვანას გარდა შინაგანი ჯარებისა სამტრედიაში...

25 აგვისტოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის სარდლობა სენაკში შეხვდა მოლაპარაკებებზე თავდაცვის სამინისტროს დელეგაციას. ეროვნული გვარდიის წარმომადგენლობას ხელმძღვანელობდა გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსი, გვარდიის პოლკოვნიკი ვახტანგ (ლოთი) ქობალია თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას – თავდაცვის მინისტრი გია ყარყარაშვილი. მოლაპარაკების დროს განხილული იქნა სოხუმსა და ზუგდიდში მიღებული ორივე დოკუმენტი. ორივე მხარისათვის დოკუმენტები მისაღები აღმოჩნდა. გია ყარყარაშვილმა ითხოვა ორი დღე ამ დოკუმენტების შესათანხმებლად ე. შევარდნაძესთან და კმაყოფილი დაგვემშვიდობა. გავიდა ორი დღე, ოფიციალური თბილისი დუმდა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ყველა უბედურებაში კანონიერ ხელისუფლებას და მის მხარდამჭერ ძალებს ადანაშაულებდნენ. ისინი ცრუ ინფორმაციის ნიაღვარს ანთხევდნენ თავზე საქართველოს მოსახლეობას და მსოფლიო საზოგადოებას. ყველაფრიდან ჩანდა, რომ უკანონო ხელისუფლება მორიგი ფართომასშტაბიანი პროვოკაციისათვის ემზადებოდა და დიდ სისხლისღვრას გეგმავდა.

* * *

# ზრალის ვდეზ

როგორ შეხვდნენ სოხუმის დამცველები 27 ივლისს სოჭის შეთანხმებას? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მე ვთხოვე ეროვნული გვარდიის სოხუმის მე-5 ბატალიონის მეთაურს ბ-ნ სოსო ჯომიდავას. აი, რას იხსენებს იგი: „ხელშეკრულების დადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ბ-ნმა გენო ადამიამ მანქანა გამომიგზავნა და შტაბში მიხმო. როდესაც მასთან შტაბში მივედი, ის 23-ე ბრიგადის ბატალიონის მეთაურებთან თათბირს ამთავრებდა. დავრჩით მე, ბ-ნი გენო და კიდევ ერთი გენერალი, რომელსაც ახლა არ დავასახელებ, არ მინდა მას უსიამოვნება შეხვდეს ამ ხელისუფლებისაგან. ბ-ნმა გენო ადამიამ დამიდო წინ შეთანხმების ტექსტი და მითხრა, ე. შევარდნაძე სოხუმს აბარებსო. ბ-ნი გენო ძლიერ აღელვებული იყო და ამას ვერ მალავდა.

21 აგვისტოს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოში ჟ. შარტავას კაბინეტში შედგა თათბირი, სადაც საველე მეთაურებს მოგვიყარეს თავი. მე ბ-ნ გენო ადამიას მიერ წინასწარ ვიყავი გაფრთხილებული, რომ ის ყველაფერს იღონებდა და არ დაუშვებდა 23-ე ბრიგადის და სოხუმის დამცველების განიარაღება-გაყვანას. ვიცოდი რა ბ-ნი გენოს უკომპრომისო ხასიათი და სიტუაციის სიმძაფრე, ჩემი ბატალიონის მებრძოლები დავსვი მანქანებზე და მინისტრთა საბჭოს შენობასთან განვალაგე. პრეზიდიუმის მაგიდასთან ისხდნენ ჟ. შარტავა, ა. კავსაძე და გენერალი ზ. უჩაძე. შეკრებას ესწრებოდნენ ორივე ბრიგადის მეთაურები, სატანკო ბატალიონის მეთაური თემურ ზარანდია და კიდევ რამდენიმე ოფიცერი. შეხვედრას თავიდანვე არაოფიციალური ხასიათი მისცა ჟ. შარტავას შესავალმა სიტყვამ. მან ბრძანა, რომ ჩვენ შევიკრიბეთ ბ-ნ გენო ადამიას ინიციატივით – გამოვთქვათ ჩვენი დამოკიდებულება სამხედრო ტექნიკისა და მძიმე შეიარაღების სოხუმიდან გატანასთან დაკავშირებითო. სიტყვით გამოვიდა ბ-ნი გენო ადამია, რომელმაც წაიკითხა შეთანხმების ტექსტი და ჩვენთან ერთად დაიწყო შეთანხმების პუნქტობრივად განხილვა. ბ-ნ გენო ადამიას სიტყვიერი წინააღმდეგობა გაუწიეს ა. კავსაძემ და გენერალმა ზ. უჩაძემ. მათ განაცხადეს, რომ შეთანხმება ითვალისწინებს საბრძოლო მოქმედებების დამთავრებას და სისხლისღვრის დასრულებას. აქედან გამომდინარე, შეთანხმება „მისაღებიაო". ბ-ნმა გენო ადამიამ მათ საპირისპიროდ გაახსენა გაგრის მაგალითი და უთხრა: ამას თქვენ მაშინაც გვპირდებოდით, მაგრამ მოტყუებულები ჩვენ აღმოვჩნდითო. თათბირზე მყოფთა დანარჩენი ნაწილი მხარს გენო ადამიას უჭერდა, ზოგი ფარულად, ზოგი კი ღიად. მათ შორის, ვინც ბ-ნ გენო ადამიას ღიად უჭერდა მხარს, იყო ოჩამჩირის ბრიგადის მეთაური ბ-ნი ბუთხუზ თოხაძეც.უეცრად კაბინეტში შემოვიდა ჯ. იოსელიანი გია ვაშაკიძის თანხლებით. ისინი ვერტმფრენით ჩამოფრენილან და პირდაპირ თათბირზე შემოვიდნენ. დარბაზში ავისმომასწავებელი სიჩუმე ჩამოვარდა. ჯაბა მივიდა მაგიდასთან, მაგიდას მუშტი დაარტყა და ყვირილით იკითხა: – ჟიული, რა ხდება აქ?! ბ-ნი ჟიული თავჩაქინდრული ზლაზვნით წამოდგა და მოახსენა: – ბ-ნო ჯაბა, გენო ადამიას ინიციატივით შევიკრიბეთ, ტექნიკისა და იარაღის გატანის შესახებ ვმსჯელობთ. ჯაბა ბ-ნ გენოს მიუბრუნდა და გამომწვევად ჰკითხა: – რა გინდა, გენო?! ბ-ნმა გენომ უპასუხა: – ამ შეთანხმების შესრულება ნიშნავს არა მარტო სოხუმის, არამედ მთელი აფხაზეთის ჩაბარებას – სოხუმის დამცველთა ბრიგადა ჩემი შექმნილია, ისინი მე მენდობიან, მე მათ არ ვუღალატებ, ტყუილს ვერ ვეტყვი და არც სოხუმის ჩაბარებას დავუშვებ უბრძოლველად. ჯაბამ უყვირა: – შენ რა, ე. შევარდნაძის წინააღმდეგ ილაშქრებო?! აღელვებულმა ჯაბამ ბოლთის ცემა დაიწყო: თქვენ რა, შევარდნაძის არ გჯერათ? შემდეგ შეჩერდა ბუთხუზ თოხაძესთან და უთხრა: შენ გახვალ და რუხში დადგები, იქიდან 15 წუთში ისევ აფხაზეთში იქნები. სოხუმში დარჩება ქვედანაყოფი. ვენდოთ რუსებს და აფხაზებს, კიდევ ერთხელ დავუჯეროთ მათ.

ჯაბა იოსელიანს არ ყოფნიდა სიტყვის მარაგი ლოგიკურად ემსჯელა და მიღებული გადაწყვეტილების სისწორეში ჩვენც დავერწმუნებინეთ. მან თავისი მონოლოგი სწრაფად დაასრულა და განაცხადა: ახლა ასეა საჭირო და ასე უნდა მოვიქცეთ! შემდეგ თითქოს რაღაც გაახსენდა და დასძინა: მე და ლოთი ერთმანეთს ვესროდით, მაგრამ ახლა, როდესაც საქმეს დასჭირდა, ერთად ვდგავართ. ჯაბა გაჩუმდა და თვალი გადაავლო იქ მყოფთ. ბ-ნმა გენომ უპასუხა: – ბ-ნო ჯაბა, შენ ხომ გახსოვს, როგორ გიჭერდი მხარს ყოველთვის, მაგრამ ამაში მე შენ მხარს არ დაგიჭერ! ეს მან ჯაბას უთხრა ხმამაღალი ტონით და მასზე გაწევით. ამ დროს სწრაფად

გაგრძელება მე-12 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# II. ბრძოლის ველზე

მე-11 გვერდიდან

წამოდგა გია ვაშაკიძე, გვერდზე ჩამოკიდებული პისტოლეტის ბუდე გახსნა და პისტოლეტის ტარს ხელი ჩასჭიდა. სწრაფად წამოვდექი მეც, პისტოლეტის ტარს ხელი მოვკიდე და პისტოლეტი საკეტიდან მოვხსენი. ბ-ნმა გენომ ორივეს მოძრაობას სწრაფად შევლო თვალი, მაგრამ ჩემზე შეაჩერა, თავის გაჭენვით და მრისხანე სახით მანიშნა დამეტოვებინა თათბირი. თათბირზე მყოფნი აყაყანდნენ; ბ-ნი გენოს მხარდამჭერებიდან მხოლოდ ორი ცდილობდა მისთვის მხარი აება. დანარჩენები ჯაბას მონურად შესციცინებდნენ თვალებში და ხმამაღლა ამბობდნენ: ჯაბას დაუჯერება, ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც ბ-ნი ჯაბა ამბობს და ა.შ. მე გაბრაზებული გავედი დარბაზიდან, თან გამომყვა ოჩამჩირის ბრიგადის მეთაურის პირველი მოადგილე ნაურ ჯიქია და სატანკო ბატალიონის მეთაური ბ-ნი თემურ ზარანდია. ჩემი ხალხი დავსვი მანქანებზე და დავბრუნდი დისლოკაციის ადგილზე. მეორე დღეს გამომიძახა ბ-ნმა გენო ადამიამ. ის თავს ცუდად გრძნობდა, ეტყობოდა გული აწუხებდა, ვინაიდან ხელი გულზე ეკიდა. გენომ მითხრა: სოსო, განიარაღებას შენი ბატალიონიდან დაიწყებენ ეს არაკაცები, ამიტომ გირჩევ, მოგცემ ავტობუსებს და შენი ბატალიონი ზუგდიდში წაიყვანე. ვიცი, რომ, თუ რამე მოხდა და შენ აქ საჭირო იქნები, შენ არსად არ გაჩერდები და აქ, სოხუმში დამიდგები გვერდში. ბ-ნმა გენომ დამავალა 4 კამაზი ტყვია-წამალი გადამემალა, რაც მე შევასრულე და გადავმალე ჩემს სოფელში, მერხეულში. ბ-ნმა გენომ მითხრა, იმ ბატალიონს, რომელიც სოხუმში შეიქმნება ძალთა პარიტეტის შესაქმნელად, ის უხელმძღვანელებდა. იმ დღეს ჩვენ დიდახანს ვსაუბრობდით და ერთმანეთს დავპირდით, რომ ვიმოქმედებდით შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე აფხაზეთის ტერიტორიის შესანარჩუნებლად. სოხუმში დავტოვე ბატალიონის შტაბის უფროსი ნუგზარ ჭანტურია 30 გვარდიელით; ბატალიონის პირადი შემადგენლობით ენგურსგაღმა გადმოვედი ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს დაქვემდებარებაში.

* * *

სამთავრობო ჯარები აფხაზეთიდან პანიკურად გამორბოდა. „ქვეყნის მეთაური“ და ხუნტის ბელადები ყველა ღონეს ხმარობდნენ დაპირისპირებოდნენ კანონიერ ხელისუფლებას, მის მხარდამჭერ შეიარაღებულ ძალებს და ახალი, მასშტაბური სისხლისღვრა მოეწყოთ. ეს მათ სჭირდებოდათ მათი კაპიტულანტური, მოღალატური პოლიტიკის შესანიღბად აფხაზეთში და ქართული საზოგადოების ყურადღების გასაფანტავად.

27 ივლისს სენაკის აეროპორტის ტერიტორიაზე განლაგდა იგორ გიორგაძის „სპეცდანიშნულების“ ბატალიონი, რომლის შემადგენლობაში არაქართველი აზროვნების კარგად შეიარაღებული ყაჩაღები ჭარბობდნენ. მათ დაიწყეს ულტიმატუმების წამოყენება, გზებზე ყაჩაღობა და მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვა-აკლება სენაკი-ხობის ტრასაზე.

აგვისტოს დასაწყისში ხობში შემოდის 350 კაციანი „მხედრიონის“ დაჯგუფება სამხედრო-საბრძოლო ტექნიკით ჯ. იოსელიანის ხელმძღვანელობით. მათ იციან, რომ ეროვნული გვარდიის მთავარი ძალები განლაგებულნი არიან გალის რაიონის სოფლებში და მათ იცავენ. დრო იხელთეს და სურთ სამეგრელოს მორიგი დალაშქვრა და სამეგრელოს მოსახლეობის აწიოკება. ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელობა იძულებული ვხდებით სასწრაფოდ მივიღოთ ადეკვატური ზომები. იმავე ღამით დავტოვეთ გალის რაიონი და ეროვნული გვარდიის ძალები განვალაგეთ „მხედრიონისაგან“ თავის დასაცავად სოფ. ხამისყურის პოზიციებზე. იმავე ღამის პირველი საათისათვის „მხედრიონის“ წინააღმდეგ ეროვნული გვარდიის ძალებს მომზადებული ჰქონდათ საბრძოლო თავდაცვითი პოზიცია, რომელსაც ხალხის ენაზე „ტომარა“ ჰქვია და მეორე დღეს „მხედრიონის“ ამ დაჯგუფების კრახი გარდაუვალი იყო. დაქანცული დავბრუნდით შტაბში. მიუხედავად იმისა, რომ ზომები მიღებული მქონდა და მზად ვიყავი დაპირისპირებული მხარის დასახვედრად, არ მასვენებდა ფიქრი იმაზე, რომ ხვალ ქართველების ზღვა სისხლი დაიქცეოდა. ღამის ორი საათი იქნებოდა, როცა კაბინეტში აფხაზეთიდან მომავალი ბ-ნი ნოდარ ნათაძე შემომიყვანეს.

ბ-ნი ნოდარ ნათაძე, როგორც არსებული ხელისუფლების დეპუტატი, ჩავაყენე საქმის კურსში და ვუთხარი, რომ ხვალ „მხედრიონის“ ამ დაჯგუფებიდან თბილისში ამბის მიმტანიც არ დარჩებოდა. მაგრამ მე არ მინდა ქართველებმა ერთმანეთი ვხოცოთ. ვთხოვე შეეჩერებინა მოსალოდნელი სისხლისღვრა. ბ-ნმა ნოდარმა დაიწყო ტელეფონით თბილისში რეკვა და ე. შევარდნაძის ძებნა, მაგრამ ის შევარდნაძეს არ დააკავშირეს. ალბათ, გვიან იყო და მისმა ლაქიებმა ვერ გაუბედეს შეწუხება. ბოლოს და ბოლოს, ბ-ნმა ნოდარმა ვილაც მორიგეს მოახსენა შექმნილი სიტუაცია და გააფრთხილა, აუცილებლად მოეხსენებინა ე. შევარდნაძისათვის. დილით 8:30 საათზე კაბინეტში დარეკა ტელეფონმა. ავიღე ყურმილი. ხაზზე ე. შევარდნაძე იყო. მან მითხრა: იქ რაღაც გაუგებრობას ჰქონია ადგილი. ჯაბა თავისი ხალხით აფხაზეთში მიდის, ხომ იცით, როგორ უჭირთ სოხუმის დამცველებს და მათ დასახმარებლადო. ეს შევარდნაძის მორიგი ტყუილი იყო, ვინაიდან სოჭის შეთანხმების პირველი პუნქტი კრძალავდა აფხაზეთში დამატებითი ძალების შეყვანას. აფხაზეთიდან კი პანიკურად ზღვით გამოჰყავდათ სამთავრობო ჯარები. კაბინეტში ლოთი შემოვიდა. მე ვუთხარი ე. შევარდნაძეს, რომ ლოთი მოვიდა და მას დალაპარაკებოდა. ყურმილს ხელი დავაფარე. მე და ლოთიმ სასწრაფოდ მოვითათბირეთ და შევთანხმდით, რომ ჯ. იოსელიანს და მის დაჯგუფებას გავატარებთ აფხაზეთში, თუ ამის შესახებ განცხადებას ე. შევარდნაძე გააკეთებს პარლამენტის ტრიბუნიდან, რომელიც ტელევიზიით გადმოიცემა. ლოთი დაელეპარაკა ე. შევარდნაძეს და უთხრა ის, რაზედაც ჩვენ შევთანხმდით. შევარდნაძე დათანხმდა. 10:05 საათზე შევარდნაძემ პარლამენტის ტრიბუნიდან განაცხადა, რომ ადგილი ჰქონდა გაუგებრობას. ჯაბა იოსელიანი თავისი ხალხით მიემგზავრება აფხაზეთში და მე ქობალიას შევუთანხმდი, რომ ის გაატარებს ამ დაჯგუფებასო. მე გამოვიძახე ქ. ზუგდიდის სამხედრო კომენდანტი და დავავალე თავისი ასეულით გადაეკეტა ზუგდიდში შემოსასვლელი ყველა გზა და გაეტარებინა ხობიდან მომავალი „მხედრიონი“ რუხის ხიდზე. „მხედრიონი“ ყოველგვარი ექსცესების გარეშე გავატარეთ აფხაზეთში. ისინი ოჩამჩირეს არ გასცილებიან. ეროვნული გვარდიის მებრძოლებმა მათგან დიდძალი მძიმე ტექნიკა, იარაღი, ჭურვები, ნაღმები და ტყვია-წამალი შეიძინეს, მათ ეს იარაღი არ სჭირდებოდათ, ვინაიდან თბილისში დაბრუნებას აპირებდნენ და ყველაფერ ამას პისტოლეტებში ცვლიდნენ. ეროვნული გვარდიის მებრძოლების უმრავლესობა დარჩა პისტოლეტების გარეშე, მაგრამ ათეულობით სადაზგო ტყვიამფრქვევები, ყუმბარამტყორცნები, საზენიტო გადასატანი რაკეტები და დიდძალი სამხედრო აღჭურვილობა შეიძინეს. სამი დღის ღრეობის შემდეგ „მხედრიონის“ ეს დაჯგუფება ჯ. იოსელიანის მეთაურობით ოჩამჩირედან ზღვით ფოთისაკენ გაემართა. ასე შეუნარჩუნა სახე შევარდნაძემ ჯ. იოსელიანს, ჩვენ კი თავიდან ავიცილეთ ძმათაკვლა და სისხლისღვრა.

ფაქტობრივმა ხელისუფლებამ აფხაზეთიდან განთავისუფლებული ძალები განალაგა ფოთში, სამტრედიასა და ქუთაისში, შეიარაღებული ბანდფორმირებების სიჭარბე აღინიშნებოდა ხობში, სენაკში, ხონში. მასიური ინფორმაციის საშუალებებით კანონიერ ხელისუფლებას და მის მხარდამჭერ ეროვნულ გვარდიას ადანაშაულებდნენ საავტომობილო და სარკინიგზო გზების გადაკეტვაში. ყველაფრიდან ჩანდა, რომ მზადდებოდა ომის ესკალაცია. ჩვენ ფაქტობრივად ბლოკადაში ვიმყოფებოდით. ტერიტორია, რომელზეც აღდგენილი იყო კანონიერი ხელისუფლების იურისდიქცია, განიცდიდა პურის ფქვილის, შაქრის, საწვავის დეფიციტს. პირველადი მოხმარების პროდუქტების შემოტანას მოსახლეობის მიერ ხელს უშლიდა ი. გიორგაძის „სპეცდანიშნულების“ ბატალიონი.

# ბრძოლის ველზე

რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების პოლიტიკური დადგენილების საფუძველზე ეროვნული გვარდიის ძალებმა 28 აგვისტოს გაათავისუფლა ხობი, სენაკი, აბაშა და აღადგინა ამ რაიონებში კანონიერი ხელისუფლების იურისდიქცია. კანონიერი ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენდა მოსახლეობისათვის აუცილებელი პირველადი მოხმარების პროდუქტების უქონლობა. კანონიერი ხელისუფლება და მისი მხარდამჭერი შეიარაღებული ძალები ყველანაირად ვცდილობდით თავიდან აგვეცილებინა მორიგი შეიარაღებული დაპირისპირება და სისხლისღვრა. ამ მიზნით ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსმა ბ-ნმა ვახტანგ (ლოთი) ქობალიამ და მე სექტემბრის პირველ რიცხვებში მოლაპარაკებაზე მოვიწვიეთ და სადგურ ჭალადიდში შევხვდით არსებული ფაქტობრივი ხელისუფლების პრემიერ-მინისტრს ო. ფაცაციას, მის მოადგილეს ავ. მარგიანს და თბილისის მერს კ. გაბაშვილს. ჩვენ მათ თვალნათლივ დავანახეთ, თუ ვინ ბლოკავს რკინიგზას. ფოთის მე-7 კილომეტრის რკინიგზის ხიდზე რელსებზე დადუღებული იყო ათამდე დახურული, ე.წ. პულმანის ვაგონი, ხოლო მდ. რიონის სანაპიროზე ჰაუბიცებით და ტანკებით იდგნენ სამთავრობო შეიარაღებული ძალები კობა კობალაძის მეთაურობით. ჩვენ შევთავაზეთ და მე პასუხისმგებლობა ჩემ თავზე ავიღე, რომ ფოთის მე-7 კილომეტრის ხიდთან ჩავიბარებთ დალუქულ ეშელონს ტვირთით, გავაცილებთ მას და სადგურ სამტრედიაში ჩავაბარებთ მათ წარმომადგენლებს, ჩვენ კი გამოგვიწერონ იმ რაოდენობის პურის ფქვილი, რაც საჭიროა ჩვენს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის და ჩვენ ჩვენი ტრანსპორტით გავიტანთ ფოთიდან. ეს წინადადება მისაღები აღმოჩნდა დელეგაციის წევრებისათვის. განსაკუთრებით აღტაცებას ვერ მალავდა ავ. მარგიანი. მან ხელი გადამხვია და მითხრა: ამ საკითხს შევათანხმებთ ე. შევარდნაძესთან და ორ დღეში პასუხი გექნებათო. ავ. მარგიანი თავისი გულუბრყვილობით ვერ ხვდებოდა, რომ ე. შევარდნაძეს ეს არ აწყობდა. ის ჩვენ გვიპირისპირებდა უპურობით გამწარებულ ხალხს და გვაიძულებდა გადაგვედგა რადიკალური ნაბიჯი, ანუ შეიარაღებული ძალის გამოყენებით მიგვეღწია მიზნისათვის. მოგებული თვითონ რჩებოდა, ასუსტებდა რა ორივე მხარეს. ერთი სიტყვით, ე. შევარდნაძე სოჭის ხელშეკრულების შემდეგ დაკავებულია უკანონოდ მითვისებული ძალაუფლების შენარჩუნებით. არაფერს აკეთებს საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად და ერის გასამთლიანებლად, არ ქმნის აფხაზეთში ქართული მოსახლეობის დაცვის მექანიზმს, თითქმის ძალით ერეკება ლტოლვილებს დაბრუნდნენ აფხაზეთში. საქართველოს ტელევიზია დაჟინებით აცხადებს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესი 3 სექტემბრიდან განახლდება, რაც აიძულებს მოსახლეობას უკან დაბრუნდნენ.

* * *

მოხდა ის, რასაც ამზადებდნენ აფხაზი სეპარატისტები და მათი რუსი მფარველები რუსეთის იმპერიული პოლიტიკიდან გამომდინარე.

16 სექტემბერს აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება შემონახული და განახლებული სამხედრო ძალით, რუსეთის შეიარაღებულ ძალებთან ერთად გადმოვიდა შეტევაზე თითქმის დაუცველ სოხუმზე. რუსეთის ოფიციალურმა სამხედრო პირებმა ტელევიზიით განაცხადეს, რომ სოხუმი ამ დღეებში დაეცემა. ამაში მათ მონური მორჩილებით და მოღალატური ქმედებებით ხელს უწყობდა მათ მიერ ხელდასხმული მარიონეტი ე. შევარდნაძე.

ქვეყნის კანონიერი ხელისუფლება და მისი მხარდამჭერები ეროვნული გვარდიის სარდლობით, აყენებს რა სამშობლოს დაცვის ინტერესებს ყველა სხვა ინტერესებზე უფრო მაღლა, იღებს გადაწყვეტილებას ყველაფერი იღონოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად.

17 სექტემბერს ეროვნული გვარდიის სამხედრო დელეგაცია ჩემი ხელმძღვანელობით შეხვდა მოლაპარაკებაზე ქ. სამტრედიაში ფაქტობრივი ხელისუფლების სამხედრო ძალების წარმომადგენლებს. ჩვენ განვუცხადეთ, რომ ვხსნით ეროვნული გვარდიის ძალებს პოზიციებიდან და მთელი ძალებით მივემართებით აფხაზეთში. საპასუხოდ მოვითხოვთ მათგანაც შეიარაღებული ძალების მაქსიმუმის გაგზავნას აფხაზეთში. იმავე დღეს კობა კობალაძესთან ერთად დავათვალიერეთ დაპირისპირების ხაზი ფოთიდან მარტვილამდე. დავბრუნდით სამტრედიაში და მოვახსენეთ, რომ ეროვნული გვარდიის ძალები დაპირისპირების ხაზიდან მთლიანად მოხსნილია. შეთანხმების თანახმად, ფოთში მდგომი ე.წ. კობა კობალაძის ბრიგადაც უნდა მოხსნილიყო და გემით სოხუმში გადაესხათ, რაც უკანონო ხელისუფლებამ არ შეასრულა.

18 სექტემბერს დილით სენაკის აეროპორტიდან სოხუმის მიმართულებით 180 კაცი სოსო ჯომიდავას მეთაურობით სოხუმში გადავისროლეთ.

ეროვნული გვარდიის მთავარი ძალები 650 კაცის შემადგენლობით, სამხედრო-საბრძოლო ტექნიკით, არტილერიით და სამხედრო აღლით 18 სექტემბერს ჩემი სარდლობით ოჩამჩირის ჩრდილოეთით განლაგდა.

* * *

თუ რა ხდებოდა სოხუმში, მოვუსმინოთ ეროვნული გვარდიის მე-5 ბატალიონის მეთაურს ბ-ნ სოსო ჯომიდავას: „თვითმფრინავი, რომლითაც სენაკიდან სოხუმში მივფრინავდით, წააგავდა ქალაქის ტრანსპორტს პიკის საათებში. 180 შეიარაღებული კაცი ძალიან ბევ-

გაგრძელება მე-13 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# II. ბრძოლის ველი

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რია ტუ-134-სათვის. ღვთის წყალობით, უვნებლად ჩავფრინდით სოხუმში. სოხუმის აეროპორტში საშინელი არეულობა სუფევდა. შიშით თავზარდაცემული ხალხი, დაჭრილები და სიმულანტები სკასავით ირეოდა. თვითმფრინავებს შტურმით იტაცებდნენ. იყო ყაყანი, მუქარა, ერთმანეთის შეურაცხყოფა, გინება და გაწევ-გამოწევა. ჩვენ აფხაზეთის მინისტრთა საბჭომ ავტობუსები დაგვახვედრა. აეროპორტში თამაზ გოგიას ხელმძღვანელობით. მივადექით გენო ადამიას შტაბს, სადაც მისი მოადგილე ცირამუა დაგვხვდა. მან მითხრა, თუ სად იყო განლაგებული ბატალიონის შტაბის უფროსი ნუგზარ ჭანტურია თავისი ხალხით, თანაც გამაფრთხილა: იმოქმედე დამოუკიდებლად, ვინაიდან არავითარი ხელმძღვანელობა არ არსებობსო.

18 სექტემბერს დღის მეორე ნახევარში ბატალიონი განვალაგე ისე, რომ ჩაგვკეტეთ სოფელ შრომიდან სოხუმში შემოსასვლელი. მტრის ყველა მცდელობა ამ შემოსასვლელიდან შემოსულიყო სოხუმში, ჩავშალეთ, მათ გავუნადგურეთ ჯავშანტექნიკა და დიდძალი პირადი შემადგენლობა. მტრის გაცოფებული ყველა შეტევა მოვიგერიეთ. ჩვენს მარცხენა ფრთაზე, ძიძრიას ქუჩის ბოლოს იდგა დავით ზეიკიძის ჯგუფი. 19 სექტემბერს, დღის ბოლოს დავით ზეიკიძემ თავისი ხალხით პოზიციები მიატოვა და გაიქცა. ამან გაგვიშიშვლა მარცხენა ფლანგი. 20 სექტემბერს მტერმა იერიში განახლა. გაფთრებულ ბრძოლაში დაიღუპა ლვიძლი ძმა ოთარ ჯომიდავა, ნოდარ ფუტკარაძე, ოთარ გაგუა, მძიმედ დაიჭრა და შემდგომში გარდაიცვალა ნუკრი საკანდელია, მძიმედ დაიჭრა და თვალი დაკარგა ტარიელ კანთელაძემ. აქ მინდა შევჩერდე ნოდარ ფუტკარაძის პიროვნებაზე. ის ჩემს ბატალიონში სოხუმის ჩოლოყაშვილის ბატალიონიდან გადმოვიდა თავისი იარაღით, მე მას ვკითხე, თუ სად მსახურობდა მანამდე. მან მითხრა ყველგანო. მხედველობაში ჰქონდა ე.წ. კიტოვანის გვარდია და „მხედრიონი". ის ბრძოლაში გმირულად დაიღუპა, უკანონო ხელისუფლებას კი დეზერტირობისათვის ძებნა ჰქონდა გამოცხადებული. ასეთივე „დეზერტირი" იყო, ოთარ გაგუა, რომელიც გმირულად დაიღუპა და დავასაფლავეთ კურჩენკოს პარკში, ხის ძირში. ძალიან გვიჭირდა მტრის შეკავება. მეკავშირე გავგზავნე ზ. უჩაძის შტაბში და არტილერიის ცეცხლით დახმარება ვთხოვე. ზ. უჩაძემ განაცხადა, რომ არტილერია არ გააჩნია, ჰყავს ერთი ქვემეხი და არ იცის საით ისროლოს. აქვე მყოფმა გვარდიის ყოფილმა ოფიცერმა პოლკოვნიკმა გენადი ლოლუამ რომ ეს გაიგო, თვითონ დადგა ქვემეხთან და ჩემი პოზიციების წინმდებარე ტერიტორია დაბომბა.

ტყუის ე. შევარდნაძე, როდესაც ამბობს, პოზიციები დავათვალიერეო. არავითარი ერთიანი ფრონტი და უწყვეტი პოზიციები არ არსებობდა. იყო გმირული წინააღმდეგობების კერები. დავით ზეიკიძის გაქცევის შემდეგ მარცხენა ფლანგი დასუსტდა, „კოშკის" დამცველებმა უკან დაიხიეს ბარათაშვილის პლატფორმამდე. მტერმა ფუნიკულიორი, სადაც ტელეანძა დგას, დაიკავა და სამოქალაქო თავდაცვის ბუნკერში გამაგრდა. ჩვენი ბიჭების ნაწილი ჭანბას ქუჩაზე იბრძოდნენ. მტერი უკვე რკინიგზის სადგურს ფლობდა და მარცხენა ფლანგი სრულიად ღია მქონდა. 25 სექტემბერს თითქმის ალყაში ვიბრძოდით. ამ დროს ე. შევარდნაძეს უკითხავს თანმხლებისათვის: ვინ იბრძვის ასე თავგამოდებითო. მას ხომ ვერ ეტყოდნენ, ეროვნული გვარდიის ბატალიონიაო, უთქვამთ, ლოთი ქობალიას ხალხიაო. გაკვირვებულს უკითხავს, აქ ქობალიას ხალხიც არისო? აი, მხედართმთავარი, რომელმაც არც კი იცის, ვინ იბრძვის მის ხელქვეით.

ეროვნული გვარდიის მე-5 ბატალიონი იბრძოდა მაშინაც, როცა „მთავარსარდალი" გაიქცა და მტერმა ის ორი სამხედრო მოიერიშე თვითმფრინავით გამოაცილა, რომ მას არაფერი დაშავებოდა და თბილისში მშვიდობიანად დაბრუნებულიყო. ეროვნული გვარდიის სოხუმის მე-5 ბატალიონი

# ბრძოლის ველი

იძულებული გახდა სოხუმის დაცემის და „მთავარსარდლის" გაქცევის დღეს დაეტოვებინა საბრძოლო პოზიციები სოხუმში და მერხეულის მიმართულებით უკან დაეხია.

* * *

18 სექტემბერს, დღის მეორე ნახევარში ეროვნული გვარდიის დაჯგუფებამ ჩემი სარდლობით დაიკავა პოზიცია შეტევისათვის სოფ. ცაგერაში. ჩვენს მარჯვენა ფლანგზე განლაგდა სამთავრობო ჯარები გენერალ გუჯარ ყურაშვილის მეთაურობით. მე რამდენიმე ოფიცერთან ერთად მივედი სამთავრობო ჯარების შტაბში, შევხვდი გენერალ ყურაშვილს. ვინაიდან ჩვენ ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა გვქონდა და ორივე პროფესიონალი ოფიცრები ვიყავით, უპრობლემოდ შევათანხმეთ შეტევის ოპერაციის გეგმა, ჩვენი ურთიერთმოქმედებები ოპერაციის პირველ ეტაპზე, რაც მტრისაგან ტამიშის ხიდის ხელახლა გათავისუფლების და აძიუბჟაში მდ. კოდორზე ხიდების ხელში ჩაგდებას ითვალისწინებდა.

19 სექტემბერს დილით შეტევაზე გადავედით. ჩვენ გენერალ ყურაშვილის შტაბთან გვქონდა რადიოკავშირი და შეტევის განხორციელების პერიოდში ინფორმაციას ვცვლიდით. მტერს კარგად ჰქონდა გამაგრებული მაიმუნთა საშენის ქვის შენობები და ძლიერ წინააღმდეგობას გვიწევდა. მე ვთხოვე გენერალ ყურაშვილს დამხმარებოდა არტილერიის ცეცხლით და გადავეცი დასაბომბი ადგილის კოორდინატები. არტილერიამ შედეგიანად იმუშავა და ჩვენ გზა გაგვიხსნა. იმავე დღეს 18 საათზე ჩვენ შევედით ალყაშემორტყმულ დაბა ახალ კინდღში. შემზარავი მდგომარეობა დაგვხვდა იქ. რამდენიმე ასეული ქალი და ბავშვი, შიმშილით ქანცგამოლეული დიდი მშენებარე შენობის კარკასში ირეოდა. ვინც ეს საშინელება თავისი თვალით დაინახა, ის ვერ დაიკვეხნის მშვიდი ძილით. ძუძუმწოვარი ბავშვები უკვე ვერ ტიროდნენ, ისინი დროდადრო მხოლოდ უძლურად კნაოდნენ. ეს ქალები და ბავშვები ახალი კინდღის ირგვლივ მდებარე დაბებიდან და სოფლებიდან გამოქცეული ქართველი მოსახლეობა იყო, რომლებმაც თავი შეაფარეს ახალ კინდღს, სადაც უმრავლესი სანადირო თოფებით შეიარაღებული მამაკაცები, ადგილობრივი მოსახლეობისგან იცავდნენ მათ. ალყაშემორტყმულები იმავე ღამეს გავაძლიერეთ თავდაცვითი პოზიციები ადგილობრივ მებრძოლებთან ერთად, გამოვიძახე ავტობუსები ზუგდიდიდან და სხვადასხვა სოფლებიდან შემოხიზნული უმწეო ხალხის ევაკუაცია განვახორციელეთ ზუგდიდში. მეორე დილით, რეკოგნოსცირების დროს გაირკვა, რომ რუსეთის სამხედრო გემების ესკადრა ზღვაში მდ. კოდორის შესართავთან რეიდზე დგას და მზადყოფნაშია გადმოსხას დესანტი სოხუმის დამცველთა ზურგში. საჭირო გახდა სასწრაფოდ დესანტსაწინააღმდეგო პოზიციების შექმნა. გენერალ ყურაშვილის არტილერიასთან ერთად ჩვენ შევქმენით დესანტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემა, რომელიც ოჩამჩირის ბრიგადის დესანტსაწინააღმდეგო საშუალებებთან ერთად, რომელსაც კარგი პროფესიონალი ნაურ ჯიქია ხელმძღვანელობდა, მოიცავდა ზღვის 20 კილომეტრიან სანაპიროს მდ. კოდორის შესართავიდან ქ. ოჩამჩირემდე, რამაც არ მისცა საშუალება რუსეთს გადმოესხა დესანტი.

21-23 სექტემბრის განმავლობაში სამთავრობო შეიარაღებული ძალები, რომლის შტაბი განლაგებული იყო ახალი კინდღის სამხრეთ-აღმოსავლეთით 1 კმ-ის დაშორებით, რომელსაც საფრინველე ფერმის რაიონს უწოდებენ, ეროვნული გვარდიის ძალებთან ერთად ვეწეოდით ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს, ვავიწროვებდით მტრის დაჯგუფებას და ვაწარმოებდით მის დაზვერვა-გამოვლენას. ამ პერიოდში გენერალ ყურაშვილთან ერთად დავგეგმეთ შეტევითი ოპერაცის II ეტაპი, რომელიც ითვალისწინებდა მტრის დაჯგუფების განადგურებას აძიუბჟა-დაჩის მიდამოებში, კოდორზე გადასვლას და დღის ბოლოსათვის სოხუმის დამცველებთან შეერთებას. ოპერაციის დაწყება დაგეგმილი იყო 25 სექტემბერს. ჩვენ ამ ოპერაციის წარმატებით განხორციელებისათვის მოვამზადეთ წინაპირობა; წინასწარ დავიკავეთ მდ. კოდორის შესართავთან 2,5 კმ. ფრონტი მდინარის მარცხენა სანაპიროზე. 24 სექტემბერს ამ დერეფნით ისარგებლა და მდინარის ფონზე გადმოვიდა თავდაცვის მინისტრი გია ყარყარაშვილი. დღის მეორე ნახევარში რადიოსადგურით დამიკავშირდა გენერალი ყურაშვილი და მთხოვა მასთან ერთად შტაბში მივსულიყავი. შტაბში, რადიოსადგურის მანქანის ძარაში, გენერალ ყურაშვილთან იმყოფებოდა თავდაცვის მინისტრი გია ყარყარაშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ მან უნდა გადაიყვანოს მდ. კოდორზე ჩვენს მიერ შექნილი დერეფნით სოხუმის დასახმარებლად 350 კაცი და ხუთი ჯავშანობიექტი, რაც გენერალ ყურაშვილის დაჯგუფების ორ მესამედს წარმოადგენდა. ამით გენერალ ყურაშვილის დაჯგუფება იმდენად სუსტდებოდა, რომ საფრთხეს უქმნიდა ჩვენს მიერ დაგეგმილ მეორე დღის ოპერაციას. გაბრაზებულმა ყურაშვილს ვუთხარი, რომ ყველაფერი ეს უგუნური მეხანძრის (პაჟარნიკის) მოქმედებას მაგონებს: ვერც იქ უშველით საქმეს და ამ დაგეგმილ ოპერაციასაც ჩაგვიშლითმეთქი. გ. ყარყარაშვლმა განაცხადა, რომ ის იძულებულია ეს ძალა აუცილებლად დღესვე წაიყვანოს სოხუმში, მაგრამ გენერალ ყურაშვილს შესავსებად უახლოეს დროში ოჩამჩირიდან რეზერვი მოუვა. მდ. კოდორზე არსებული დერეფნით იმავე საღამოს გია ყარყარაშვილმა ზემოაღნიშნული დაჯგუფება გაიყვანა. რეზერვიდან გენერალ ყურაშვილთან ჩამოვიდა ასამდე კაცი, რომლის მთავარ ძალას ბატალიონი „გორდა" წარმოადგენდა, რომლიც შემადგენლობით 50 კაცს არ აღემატებოდა.

გენერალმა ყურაშვილმა და მე კიდევ ერთხელ დავაზუსტეთ საბრძოლო მოქმედების გეგმა, შევათანხმეთ ურთიერთმოქმედებები და გადავწყვიტეთ დაგეგმილი ოპერაციის განხორციელება.

მტრის ძალები თავმოყრილი და განლაგებული იყო ახალდაბა-აძიუბჟაში. საბრძოლო გეგმის მიხედვით ეროვნული გვარდიის ძალები მტრის აძიუბჟის დაჯგუფებას უტევდა დასავლეთიდან, ხელში იგდებდა სარკინიგზო ხიდს და გადადიოდა მდ. კოდორის მარჯვენა სანაპიროზე. სამთავრობო ჯარები ფრონტით უტევდა დაბაში განლაგებულ მტრის ძალებს, ანადგურებდა მათ, ხელში იგდებდა საავტომობილო ხიდს აძიუბჟაში და ეროვნული გვარდიის ძალებთან ერთად გადადიოდა მდ. კოდორის მარჯვენა სანაპიროზე. მოქმედებათა გამყოფი ხაზი იყო რკინიგზის მიწაყრილი. მე ეროვნული გვარდიის ძალები 24 სექტემბერს ღამით განვალაგე პოზიციაზე აძიუბჟის დასავლეთით 200 მ-ის მანძილზე. 25 სექტემბერს დილით 8 საათზე ეროვნული გვარდიის ძალებმა შეუტია მტრის დაჯგუფებას დაბა აძიუბჟაში. უკვე დილის 9:30-ისთვის ჩვენ საბრძოლო ოპერაციის უახლოესი ამოცანა შევასრულეთ, გადავედით რკინიგზის ხიდთან და დავიკავეთ რკინიგზის მიწაყრილის გასწვრივ საბრძოლო პოზიცია 1,5 კმ-ის ფრონტით. საერთო შეტევისათვის საჭირო იყო სამთავრობო ჯარების მიერ დაბა დაჩის გათავისუფლება. ჩვენი პოზიციებიდან ინტენსიური ცეცხლი გავუხსენით აძიუბჟის დაჯგუფებას, რომ დაბის დაჯგუფებისათვის მათ არავითარი დახმარება არ გაეწიათ. 12 საათსათვის შეიქმნა წინაპირობა მტრის დაჯგუფებას აძიუბჟაში თავისათვის ეშველა გაქცევით აღმოსავლეთისაკენ მთებში. მათ ამ მიმართულებით პირი იბრუნეს. რადიოკავშირით დავუკავშირდი გენერალ ყურაშვილს. ვკითხე, თუ რატომ აყოვნებს შეტევას. მან მიპასუხა,რომ სულ მალე გავტეხავ მტრის წინააღმდეგობას და ერთად შევუტევთო. დრო გადიოდა და სამთავრობო ჯარები წინ არ იწევდა. იმ მიმართულებიდან არც სროლის ხმა ისმოდა. იძულებული გავხდი ბრძოლაში შემეყვანა სარეზერვო ქვედანაყოფი. ტყვია-წამალი და ჭურვების მარაგი კატასტროფულად მცირდებოდა. 15 საათზე რადიოსადგურით ისევ დავუკავშირდი გენერალ ყურაშვილს, რომელიც მეუბნება, რომ ბატალიონ „გორდას" მებრძოლებმა დატოვეს ბრძოლის ველი და თავიანთ დაჭრილებთან ერთად უკუიქცნენ. ის იძულებულია უკან დაიხიოს და დამპირდა მხოლოდ არტილერიის ცეცხლით დახმარებას. შეიქმნა კრიტიკული მდგომარეობა: ჩვენ აღმოვჩნდით ორი მხრიდან მტრისაგან ალყაშემორტყმული. უკან დახევა დიდ მსხვერპლთან იყო დაკავშირებული,ვინაიდან მტერი უკან დახევის დროს დიდ ზიანს მოგვაყენებდა. საჭირო იყო პოზიციის შენარჩუნება დაბნელებამდე. შემდეგ კი სიბნელის გამოყენებით ორგანიზებული გამოსვლა დასახლებული პუნქტიდან. დაბნეულობამ და შიშის გრძნობამ მოიცვა ზოგიერთი საველე მეთაური და მებრძოლი. ბევრს თვალი უკან დასახევად ეჭირა. ამ კრიტიკულ მომენტში გვერდით დამიდგნენ და თანადგომა გამომიცხადეს საველე მეთაურებმა რობერტ ბენდელიანმა, თენგიზ ბულიამ, როლანდ მაქაცარიამ, „მხედრიონელმა" „თხამ" და სხვებმა. გენერალ ყურაშვილს ვთხოვე არტილერიის ცეცხლით გაენადგურებინა აძიუბჟის ცენტრში თავმოყრილი დაჯგუფება, მაგრამ არტილერიის ცეცხლი არაეფექტური აღმოჩნდა. მუხედავად ჩვენი კორექტირებისა, არტილერისტები ცეცხლს ჩვენ მარცხენა ფრთას უშენდნენ სახიფათოდ. იძილებული გავხდით უარი მეთქვა ამ დათვურ სამსახურზე. მდ. კოდორის გაღმიდან, რადიოსადგურით დამიკავშირდა სამთავრობო ძალების წარმომადგენელი, რომლის გამოსაძახებელი პაროლი იყო „ჭაღარა". მე მას ვთხოვე დაებომბა აძიუბჟას ცენტრი, ვინაიდან ჩვენ უკვე ჭურვები არ გვქონდა. კოდორის მარჯვენა ნაპირიდან, საავტომობილო ხიდის მიმდებარე ტერიტორიიდან ფეხოსანთა საბრძოლო მან-

გაგრძელება მე-14 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# II. ბრძოლის ველზე

## ბრძოლის ველზე

მე-13 გვერდიდან

ქანამ ჩემს მიერ მითითებული მიმართულებით ორი გასროლა გააკეთა. ამის შემდეგ შეწყდა სროლა, რადგან რადიოკავშირით ალბათ ვილაცამ აუკრძალა მას დაგვხმარებოდა. ჩვენი რიგები საკმაოდ დათხელდა, მაგრამ ვინც დარჩა, გმირულად იბრძოდა. ერთ-ერთ რიგით მებრძოლად ვიბრძოდი მეც ავტომატით ხელში. რაც უნდა დაგვჯდომოდა, სიბნელემდე უნდა შეგვენარჩუნებნა პოზიცია. ამ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა გალის რაიონის სოფ. მკვიდრი, ტანკის დამიზნებელი თამაზ ციკოლია. ეს მოხდა ფრონტის ხაზზე ჩემგან 12-15 მეტრის მოშორებით. სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა სამშობლოსათვის თავდადებული ახალგაზრდა; სულ ახალი მოსული მებრძოლი ბადრი ბულია ზუგდიდის რაიონიდან. დაიჭრა ექვსი მებრძოლი, მათ შორის ჩემი დაცვის წევრი. დაბნელებისას ჩვენ დავტოვეთ დაბა აძიუბჟა და გავმაგრდით საწყის პოზიციაზე დაბა აძიუბჟიდან დასავლეთით, სადაც შევინარჩუნეთ საწყისი პოზიცია. მდ. კოდორზე ჩვენს მიერ შექმნილი დერეფნით ისარგებლეს და 26-დან 29 სექტემბრს ჩათვლით გადმოვიდა ათასობით ლტოლვილი, თავისი ბარგი-ბარხანით და ავტომანქანებით.

27 სექტემბერს ოჩამჩირის ბრიგადის შტაბში მივედი. იქ დამხვდა ბევრი თავპირჩამომტირალი „გენერალი" და „სარდალი", რომლებიც არაფრის მაქნისები იყვნენ. ტყვიაწამლით მომარაგების და საბრძოლო ტექნიკის შეკეთების საკითხები გადავწყვიტე და უკან დავბრუნდი. გენერალ ყურაშვილთან ერთად გადავწყვიტეთ დავრჩენილიყავით ადგილზე, შეგვენარჩუნებინა დაკავებული პოზიცია, მიგვეცა საშუალება და დავხმარებოდით ათასობით ლტოლვილს მდ. კოდორის გადმოლახვაში და უსაფრთხო მოძრაობაში ოჩამჩირემდე. 27-დან 28 სექტემბერს ღამის 2 საათზე მდ. კოდორის ფონით გადმოვიდა სოხუმის დაცვის ხელმძღვანელი გენერალი ზაურ უჩაძე ორ თანმხლებ პირთან ერთად. მე ვკითხე გენერალს, თუ სად არის მისი შეიარაღებული ძალა, რაზეც მან მიპასუხა, რომ მან არაფერი არ იცის, ის აფექტურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და მასთან საუბარს არავითარი აზრი არ ჰქონდა. მალე ამ გზით გენერალი გია გულუაც გადმოვიდა. მორბოდა თბილისის ყოფილი კომენდანტი, რომელიც დაუზოგავად არბევდა თბილისში მშვიდობიან მომიტინგეებს. გადმოვიდნენ კიდევ სხვა „მხედრიონელები" და „გმირები". ჩვენ იმედს არ ვკარგავდით, რომ სოხუმის დამცველებიც გამოჩნდებოდნენ, მაგრამ „მთავარსარდლობამ" არ დაუშვა ტამიშის „შეცდომა" და ისინი გოლგოთის გზით ჯვარსაცმელად გააგზავნა კოდორის ხეობით. ჩვენ კი მათ ველოდით და ვგეგმავდით, რომ მდ. კოდორის ბუნებრივი წინააღმდეგობების გამოყენებით მის მარცხენა სანაპიროზე შევქმნიდით მრავალეშელონიან საბრძოლო თავდაცვით პოზიციებს და მტერს არ მივცემდით მდ. კოდორის გადმოლახვის საშუალებას. მაგრამ ეს არ შედიოდა ე. შევარდნაძის მიერ ჩაფიქრებულ გეგმაში. მას ახსოვდა ტამიშის განთავისუფლების შემდეგ მხედრიონელი მეთაურის სიტყვები: „აწი მე ვინ მეტყვის, ლოთის ბიჭებს ესროლეო, იმის დედაც..." და ეშინოდა ამის.

მე, როგორც პროფესიონალი ოფიცერი ვხვდებოდი, რომ მტერი სოხუმის აღების შემდეგ 48 საათის განმავლობაში მოიყვანდა მზადყოფნაში თავის ძალებს ახალი საბრძოლო ოპერაციის განსახორციელებლად და ველოდი მათ შეტევას 29 სექტემბრისათვის. 29 სექტემბერს ორი თანმხლებით ახალი კინდღიდან ოჩამჩირემდე ტრასის მონაკვეთი დავზვერე. აღმოჩნდა, რომ ტრასას, რომლის სიგრძე 20 კმ- აღემატებოდა, სულ მებრძოლთა ორი ჯგუფი იცავდა, რომლის რაოდენობა 6-8 კაცს შეადგენდა. ერთ ადგილას ეს ექვსკაციანი ჯგუფი დილის 11 საათისათვის უკვე ისეთი მთვრალი იყო, რომ მტერს კი არა, ერთმანეთს ვერ სცნობდნენ.

მივედი ოჩამჩირის ბრიგადის შტაბში, სადაც პანიკა და არეულობა სუფევდა. შევედი ბრიგადის მეთაურის კაბინეტში და იქ მყოფ „სარდლებს" ვეკითხები: ნუთუ არა გრცხვენიათ, აქ უსაქმოდ ზიხართ, ტრასა სრულიად დაუცველია. მტერს შეუძლია ჩაგვკეტოს და გაგვანადგუროს. თუ მე და ჩემი ხალხი არ გეცოდებათ, იქ ხომ ყურაშვილი და თქვენი ხალხია. ბრიგადის მეთაური ბუთხუზ თოხაძე დამპირდა, რომ ახლავე მიიღებდა ზომებს. 29 სექტემბერს დღის 15 საათისათვის გენერალმა ყურაშვილმა ოჩამჩირის შტაბიდან რადიოსადგურით მიიღო ბრძანება უკან დაეხია და ოჩამჩირეში გადმოსულიყო.

ჩვენ დავგეგმეთ გამოსვლის გეგმა, რომლის მიხედვითაც მოძრაობას დავიწყებდით ღამის 1.00 საათზე.

მე დავბრუნდი ჩემს შტაბში, საველე მეთაურებს მოვუყარე თავი და თათბირი ჩავატარე. თათბირზე კონკრეტულად განვიხილეთ უსაფრთხოების ზომები. თათბირი 18.30 საათზე დამთავრდა. მეთაურები თავიანთ პოზიციებს დაუბრუნდნენ. მე გულმა არ მომითმინა, ჩავჯექი სამეთაურო ჯავშანტრანსპორტიორში და პოზიციებისაკენ გავემართე. 12.45 საათზე მტერმა მასირებული საარტილერიო და სარაკეტო დარტყმა განახორციელა ჩვენს მიერ დაკავებულ პოზიციებზე. ბომბავდნენ სამთავრობო ჯარების მიერ დაკავებულ პოზიციებსაც. დაბომბვა გრძელდებოდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში. რადიოსადგურით გენერალ ყურაშვილს დავუკავშირდი და შევთანხმდით, უკან დახევა განგვეხორციელებინა დაუყოვნებლივ. ასე რომ, ორგანიზებული უკანდახევის საშუალება არ მოგვცა მტერმა. პოზიციების დაკავება მოგვიხდა სასწრაფოდ და ნაკლებად ორგანიზებულად. ამაში ლომის წილი მიუძღვის იმას, ვინც ოჩამჩირის შტაბიდან რადიოსადგურებით გადმოსცა უკანდახევის ბრძანება, რაც მტერმა დაიჭირა და ამის საშუალება არ მოგვცა.

30 სექტემბერს ღამის 2 საათზე მე გამოვედი ცაგერას გზაჯვარედინზე, სადაც ლოთი ქობალია და ბუთხუზ თოხაძე იდგნენ თანმხლებ პირებთან ერთად. ოჩამჩირის შესასვლელში მაღლივი სახლი იწვოდა. აქვე იდგა სამთავრობო ჯარების 5 ტანკი აკია ბარბაქაძის მეთაურობით. მე გამოვთქვი აზრი, რომ ეს ძალა გაგვეგზავნა გამომსვლელების დასახმარებლად, თანაც დავამატე: გენერალი ყურაშვილი ტრასით მოდის და მას აფსუები დიდ ზიანს მიაყენებენ ფლანგიდან-მეთქი. აკია ბარბაქაძემ, გულმოსულმა ეს ტანკები და თავისი „კორპუსი", რომელიც 50 კაცს არ აღემატებოდა, სადღაც გააქრო და შემდეგ მე ისინი არასდროს მინახავს. ლოთიმ 10 კაცამდე შეიარაღებულ ბიჭებს მოუყარა თავი და ჩემი მოადგილის, პროფესიონალი ოფიცრის, ბ-ნ გიორგი ჩხეიძის მეთაურობით გენერალ ყურაშვილის შესახვედრად გაგზავნა.

ე. შევარდნაძე ბუნდოვნად სხვაზე მუთითებს, რომ აფხაზეთის ომში ადგილი ჰქონდა ღალატს. მე მტკიცედ ვაცხადებ: აფხაზეთის ომის პროვოცირება, საქართველოს გენოფონდის განადგურება, ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, სამშობლოში ასეულ ათასობით ადამიანის ლტოლვილად ქცევა, ქვეყნის გაძარცვა-გასხვისება, ქვეყნის მართვის კლანურ-მაფიოზური სისტემის დანერგვა და ერის გაუბედურება ე. შევარდნაძის მიერ ჩადენილი დანაშაულია!

***როლანდ (ბურამ) ლაკია***
*საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის მთავარი შტაბის უფროსი, გვარდიის პოლკოვნიკი*

---

### ✉ წერილი საქართველოს პრეზიდენტ ბატონ მიხეილ სააკაშვილს

**თქვენო აღმატებულებავ საქართველოს პრეზიდენტო!**

1992 წელს შევარდნაძისა და არძინბას ერთობლივი ქმედებით, რომელიც რუსეთის მიერ იმართებოდა, დაიწყო ქართულ-აფსუური შეიარაღებული კონფლიქტი აფხაზეთში. როგორც მოსალოდნელი და გარდუვალი იყო, მან მიიღო, პრაქტიკულად, რუსულ-ქართული გამოუცხადებელი ომის სახე და ხელოვნურად, ანუ შევარდნაძისა და მისი ხროვის მოღალატური ქმედების შედეგად, წაგებულ იქნა ქართული მხარის მიერ. უკანასკნელ დიდ აგენტურულ ნაბიჯს შევარდნაძის მხრიდან ომის მსვლელობის დროს – 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმებას კონფლიქტის ზონიდან მძიმე შეიარაღებათა გატანის შესახებ, რამაც განაიარაღა ქართული მხარე, – საბრძოლო მოქმედებათა დამთავრების შემდეგ მოჰყვა ამავე ხროვისა და მისი მეთაურის, იმჟამად „სახელმწიფოს მეთაურის" შევარდნაძის მხრიდან რამდენიმე პოლიტიკური ღალატი, მათ შორის – რუსეთის შეიარაღებულ ძალთა აღჭურვა „სამშვიდობო" მანდატით კონფლიქტის ზონაში, კონფლიქტის ზონის განვრცობა ენგურის მარცხენა ნაპირზე, ვალდებულების კისრება ძალის არგამოყენების შესახებ და ვალდებულების კისრება კოდორის ხეობაში, რომელიც დღესაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფაქტობრივი იურისდიქციის გავრცელების ერთადერთი ტერიტორიაა აფხაზეთში, საქართველოს შეიარაღებული ძალების, მათ შორის – შინაგანი ჯარის არშეყვანის შესახებ. ტერიტორიისა და მოსახლეობის ერთადერთ დამცველად კოდორის ხეობაში დარჩა მთლიანად ადგილობრივი მოსახლეობით დაკომპლექტებული ბატალიონი „მონადირე".

დღეს „მონადირე", როგორც იურიდიული სტატუსის მქონე ქვედანაყოფი, გაუქმებულია, მაგრამ არ არის გაუქმებული რუსეთის შეიარაღებულ ძალთა მანდატი აფხაზეთში სამოქმედოდ და არ არის გაუქმებული შევარდნაძის მიერ აღებული მოღალატური ვალდებულება კოდორის ხეობაში საქართველოს შეიარაღებილ ძალთა არშეყვანის შესახებ. ამით იქმნება საკმარისი იურიდიული პირობები იმისათვის, რომ რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა საკუთარი დროშით ან აფსუა სეპარატისტული „ხელისუფლების" დროშით განახორიელონ დარტყმა კოდორის ხეობაზე უკვე „უკანონოდ" ქცეული „მონადირის" განიარაღების საბაბით და კოდორის ხეობა გამოიყვანონ საქართველოს ფაქტობრივი იურისდიქციიდან, რასაც კატასტროფული შედეგი ექნება არა მხოლოდ კოდორის ხეობის მოსახლეობისათვის, არამედ აფხაზეთში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენის ამოცანისათვის საერთოდ.

თქმულიდან გამომდინარე, ვაცხადებთ:

მოვლენათა შემდგომი წარმართვის დაშვება იმ მიმართულებით, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, იქნება საქართველოს შეგნებული ღალატი როგორც ხელისუფლების მხრიდან, თქვენი აღმატებულების ხელმძღვანელობით, ისე საზოგადოების მხრიდან, ჩვენი (ხელმომწერების) ჩათვლით.

ჩვენ ამას არ დავუშვებთ. სახელდობრ:

ჩვენ არ დავუშვებთ (არ დავეთანხმებით) კოდორის ხეობის მოქცევას აფხაზეთის დანარჩენი ტერიტორიის მდგომარეობაში, არამედ – ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად ან მასთან ერთად – ვიბრძოლებთ და ვიომებთ მისი დეოკუპაციისათვის – რუსეთის მიერ და სეპარატისტთა მიერ მისი ოკუპაციის შეწყვეტისათვის – ამჟამად და მომავალში.

– ჩვენ არ დავუშვებთ დღეს საქართველოს მიერ კოდორის ხეობის დათმობას უბრძოლველად.

– ჩვენ არ დავუშვებთ დღეს საქართველოს მიერ კოდორის ხეობის დათმობას მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობით, ხოლო დანარჩენი საქართველოს მოსახლეობის დარჩენით პასიური მაყურებლის როლში.

– ჩვენ არ დავუშვებთ დღეს საქართველის მიერ კოდორის ხეობის დათმობას მხოლოდ კოდორის ხეობის, მესტიის რაიონისა და ლენტეხის რაიონის (ანუ სვანეთის) წინააღმდეგობით, ხოლო დანარჩენი მოსახლეობის დარჩენით პასიური მაყურებლის როლში.

ის ფაქტი, რომ დღეს ჩვენ უიარაღონი ვრთ, ჩვენ გადაწყვეტილებას არ ცვლის. ჩვენი პოლიტიკური კურსი – რუსეთის სამხედრო მყოფობისაგან საქართველოს უპირობო და დაუყოვნებლივ გათავისუფლების კურსი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უპირობო აღდგენის კურსი (როცა აფხაზეთი განიხილება, როგორც არა მხოლოდ აფსუა ხალხის ეთნიკური ტერიტორია, არამედ როგორც ავტოხთონური ქართველი ხალხის ეთნიკური ტერიტორიაც, სადაც ერთი ქართველი მოსახლის ხმას იგივე წონა ექნება ტერიტორიის სტატუსის განსაზღვრაში, რაც ერთი აფსუას ხმას, და როცა სრულად იქნება გარანტირებული მოსახლეობის ყველა ჯგუფის ადამიანურ უფლებათა რეალიზაცია, ეროვნული უფლების ჩათვლით, რისთვისაც ყველაზე მოხერხებული ფორმაა ავტონომია) და დასავლეთთან ურთიერთობაში იმის მიღწევის კურსი, რომ საქართელო განიხილებოდეს როგორც დასავლური დემოკრატიების საიმედო სტრატეგიული მოკავშირე და პოლიტიკურ პროცესთა უფლებამოსილი სუბიექტი – საქართველოსათვის დღეს და განჭვრეტად მომავალში ერთადერთი მისაღები კურსია. იგი შეესაბამება ქართველი ერის პრაქტიკულად ერთიან ნებას და ჩვენ მყარად გვაქვს გადაწყვეტილი, მის გატარებას მივაღწიოთ ყველა საშუალებით. უკან დასახევი გზა არ გვაქვს არც ჩვენ, არც ჩვენს ქვეყანას.

მოვითხოვთ, ან დაუყოვნებლივ აღდგეს „მონადირის" სრულფასოვანი იურიდიული სტატუსი (მისი გაძლიერებისა და მისი პირადი შემადგენლობის თანამედროვე სტანდარტთა შესაბამისად მომზადებისა და შეიარაღების პერსპექტივით), ან დაუყოვნებლივ გაუქმდეს საქართველოს კაბალური ვალდებულება კოდორის ხეობაში შეიარაღებულ ძალთა არშეყვანის შესახებ და იქ შეყვანილ იქნას ტერიტორიისა და მოსახლეობის დასაცავად საკმარისი ძალები.

საქართველოს გადარჩენის
საინიციატივო ჯგუფი:
**ნ. ნათაძე**
**ი. ბარათაშვილი**
**ზ. მახაშვილი**
16.VI.2005

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. [illegible]

# რა არის გლობალიზაცია?

*რედაქციისაგან* ——

***საქართველოს საზოგადოებრიობა ნაკლებ იცნობს გლობალიზაციის პრობლემას, ამიტომ მკითხველს რამდენიმე ცნობას მივაწოდებთ, რათა მივანიშნოთ მთავარზე, რასაც ქვემოთ ციტირებული წერილები მოიცავს.***

1. გლობალიზაცია ბუნებრივი პროცესია. იგი არ არის დამოკიდებული მასში მონაწილე ადამიანთა ნებაზე. იგი გარდუვალი შედეგია დედამიწის „შემჭიდროებისა“ ტრანსპორტისა და კომუნიკაციის საშუალებათა განვითარების წყალობით, აგრეთვე დედამიწის მიახლოებისა ადამიანებით „გავსების“ ან „გადავსების“ მდგომარეობასთან. ისტორიისათვის ცნობილ ვითარებებს არსებობისათვის ინდივიდების ბრძოლისა საზოგადოების შიგნით და საზოგადოებების (ქვეყნების, ერების...) ბრძოლისა კონტინენტის (რეგიონის...) შიგნით დაემატა ახალი (და, სავარაუდოა, შეუქცევადი) ვითარება: სახელმწიფოთა (ერთა) ბრძოლისა დედამიწის დასახლებული ნაწილის („მსოფლიოს“) შიგნით.

2. გლობალიზაციის პირობებში (და გლობალიზაციის შედეგად) შექმნილი ვითარების — პროცესთა **გლობალურობის** — პირობებში ურთიერთბრძოლის სუბიექტად რჩებიან ქვეყნები (სახელმწიფოები), რომლებიც ამ ბრძოლის მიხედვით იყოფიან (კლასიფიცირდებიან) მოგებულ სახელმწიფოებად (WINNER STATES) და წაგებულ სახელმწიფოებად (LOOSER STATES) (ამ მახასიათებელთა უსასრულო გრადაციით). ეს მახასიათებლები მეურნეობისა და პოლიტიკის სხვადასხვა სფეროებში და ბრძოლის სხვადასხვა ეპიზოდებში სხვადასხვაგვარად ნაწილდება: ერთ პარამეტრში ან ერთ ეპიზოდში მეორე სახელმწიფოსთან გამარჯვებული სახელმწიფო შესაძლებელია მასთან წაგებული იყოს სხვა პარამეტრში და ეპიზოდში ან პირიქით. ამ ტრადიციულსა და უცვლელ სუბიექტებთან ერთად ბრძოლაში მონაწილეობენ (მათ დაუკითხავად) ზეეროვნული (ტრანსნაციონალური) კომპანიები და მოსახლეობის მასები. მასების დიდმასშტაბიანი გალატაკება, რაც გლობალიზაციის მრავალი ეპიზოდის კანონზომიერი თანმხლებია, სახელმწიფოზე საერთაშორისო კომპანიების გამარჯვებებს წარმოადგენს ხოლმე. ამ სამი (ძირითადი) მებრძოლი სუბიექტის პერსპექტივისათვის ამ ბრძოლაში, სავარაუდოა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება მათთან ადამიანის (პირველ ყოვლისა — რიგითი ადამიანის) თვითიდენტიფიკაციის ინტენსიურობის ხარისხს, რაშიც, სავარაუდოა, ერსა და მის სახელმწიფოს შეუდარებლად უპირატესი პერსპექტივა აქვს, ვიდრე კომპანიას (მაგალითად: ერისათვის ადამიანი უანგაროდ წირავს სიცოცხლეს, კომპანიისათვის — არა; ერის მომავალი ასი წლის შემდეგ კაცს გულმხურვალედ აინტერესებს, კომპანიისა — არა, და ა.შ.)



ჯეიმს ჯოისის დაბადების 100 წელი. მანდილოსნები კითხულობენ „ულისეს“

3. გლობალიზაცია არ არის თანამედროვე საერთაშორისო განვითარების შემადგენელი ერთადერთი პროცესი და ერთადერთი მიმართულება. მის პარალელურად ძალაშია და ვითარდება ეროვნული სახელმწიფოს, როგორც აქსიოლოგიურ და მოქმედების მასტიმულირებელ ორიენტირის, და ნაციონალიზმის, როგორც გეოპოლიტიკურ სივრცეში ადგილისათვის ბრძოლის იდეოლოგიის, როლი.

4. გლობალიზმი, ანუ გლობალიზაციისათვის აქტიური ხელშეწყობის იდეოლოგია, არსებობს იმ სახელმწიფოებში, რომელთაც ამ პროცესში მოგების გარანტია ან რეალური შანსი აქვთ. როგორც იდეოლოგიური სუროგატი, იგი (გლობალიზმი) ვრცელდება იმ სახელმწიფოებში, რომელნიც, დღევანდელი მდგომარეობით, წაგებულთა გარანტირებული როლისათვის არიან განკუთვნილნი. ამ სუროგატული იდეოლოგიის პოსტულატებია:

— გლობალიზაცია არაა მხოლოდ ბუნებრივი პროცესი, რომელიც ფაქტად უნდა მიიღოთ და გამოიყენოთ ან მისგან თავი დაიცვათ. იგი არის სიკეთე ყველა ცალკეული სახელმწიფოსათვის, ამიტომ მისი სასწრაფოდ არმიღება და საკუთარ სახელმწიფოში არდამკვიდრება განვითარებაში ჩამორჩენის ტოლფასია.

— გლობალიზაციის პროცესში ჩართვა-არჩართვის გადაწყვეტილების მიღება (მაგ. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შესვლა-არშესვლა) არ მოითხოვს ეკონომიკისა და პოლიტიკის ყველა სფეროში ამ ნაბიჯის შედეგების წინასწარ გათვლასა და შეჯერებას, რათა დადგინდეს პლუსებისა და მინუსების ბალანსი.

— გლობალიზაციის პროცესში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ბედი და მიმართულება არაა ან ძალიან მცირედაა დამოკიდებული ხელისუფლების ნებაზე.

— ეროვნული სახელმწიფო, როგორც საზოგადოების ორგანიზაციის უნივერსალური ყველაზე ქმედითი ფორმა, დეზაქტუალიზაციის გზაზე დგას.

სამივე ეს დებულება ყალბია. მათით ხელმძღვანელობა მნიშვნელოვანი ფაქტორია საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის შექმნაში.

ერთის მხრივ, გლობალიზაციის პროცესზე რეალისტური რეაგირების და მეორე მხრივ, „გლობალიზმის“ სუროგატული იდეოლოგიის მიერ მართული მოქმედების კონტრასტი კარგად ჩანს ზემოთ ციტირებულ ეპიზოდში ტონი ბლერის პოზიცია: მივიღოთ გლობალიზაციის თამაშის წესები, ვიბრძოლოთ და მოვიგოთ. საქართველოს დღევანდელ ხელისუფლების პოზიცია: გლობალიზაციაში მთელი მსოფლიოა ჩართული, ჩვენც ჩავერთოთ! „მოვიგოთო“, საქართველოს ხელისუფლება ვერ ამბობს, რადგან ვერ ასახელებს ეკონომიკის ვერც ერთ დარგს, რომელშიც საქართველოს, ყველა გლობალისტური ორგანიზაციაში ჩართვის შემთხვევაში, მსოფლიო ბაზრის რომელიმე კუთხის დაკავების მეტი შანსი ეძლეოდეს, ვიდრე უიმისოდ აქვს. იმ თვალებდახუჭული გლობალიზმის შედეგები ბუნებრივია: ესაა ხელმოცარვა (სადღეისოდ) სახელმწიფოს შემდგარობა-არშემდგარობის სამსავე ძირითად პარამეტრში: არის მტრისაგან დაუცველობა ანუ „უსაფრთხოების ხვრელი“, არის მოქალაქეთა ფუნდამენტური მოთხოვნილებების (ჯანდაცვა, განათლება, პირადი უსაფრთხოების დაცვა...) დაუკმაყოფილებლობა, ანუ „უნარის ხვრელი“, და არის მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების დაუცველობა ანუ „ლეგიტიმურობის ხვრელი“ (ამ ტერმინთა მნიშვნელობაზე იხ. „საქართველოს“ ამ ნომერში, გვ. 5,6)

## „THE ECONOMIST“ გლობალიზაციის შესახებ

### *(ბოლოსდაბოლოს გვესმის ჭეშმარიტი სიტყვა)*

*„საქართველოს“ მკითხველმა იცის, რომ ეს ჟურნალი საუკეთესოა მსოფლიოში და იცნობს მის არაერთ დინჯსა და ობიექტურ პოზიციას მსოფლიო პოლიტიკის ძირეულ საკითხებზე. ეს ჟურნალი წლების მანძილზე იცავს გლობალიზაციას იმ პრაგმატული არგუმენტით, რომ ამ გარდუვალ მოვლენას, ჯამურად, მსოფლიოს ეკონომიკური ნაყოფიერებისათვის წინსვლა მოაქვს, მაგრამ არ იჭრება მოვლენის სიღრმეებში, ანუ არ იხილავს ამ პროცესის ფსიქოლოგიურ, სოციალურ, ისტორიულ, სამართლებრივსა და მორალურ ასპექტებს (სხვა ასპექტებიც ბევრია), რომლებიც განსაზღვრავენ ისტორიის საბოლოო მსჯავრს დღევანდელობის ამ ერთ-ერთი ყველაზე თვალშისაცემი სიახლის მიმართ. მას შემდეგ, რაც საფრანგეთმა (და ჰოლანდიამ) უარი უთხრეს ევროპის კონსტიტუციის პროექტს, — ანუ, ნაწილობრივ მაინც, ანტიგლობალისტური ნაბიჯი გადაიდგა, — ჟურნალი საჭიროდ სცნობს, ვითარების უფრო ღრმა შრეებს შეეხოს. წინ გვიდევს მისი 2 ივლისის ნომრის ორი წერილი: გლობალიზაციისადმი ფრანგების დამოკიდებულების შესახებ და ჩინური კონკურენციისადმი ევროპის ქვეყანათა დამოკიდებულების შესახებ. მკითხველი, ალბათ, შენიშნავს, რომ ჟურნალის აზრი და პოზიცია, რომელსაც მოკლედ გადმოვცემთ, არსებითად არ განსხვავდება იმისაგან და ახალს არაფერს შეიცავს (კონკრეტული ფაქტის გარდა) იმასთან შედარებით, რაც საქართველოს პირობებში მცხოვრებელი კაცისათვის, თუ იგი გულწრფელია და ფიქრი არ ეზარება, იმთავითვე ცხადი უნდა იყოს, ლოგიკურად, იმ ყურმოკრული ცოდნის საფუძველზეც კი, რომელსაც ამ პროცესის შესახებ ინფორმაციის მიმდინარე ნაკადი გვაწვდის.*

### ფრანგების დამოკიდებულება გლობალიზაციისადმი: ფრანგები უარყოფენ გლობალიზაციას, მაგრამ მათი კომპანიები გულში იხუტებენ მას

მოსახლეობა, თვით პრემიერ-მინისტრ დე ვილპენის ჩათვლით (რომელსაც, სხვათა შორის, თურმე ნაპოლეონის სურათი უკიდია) გლობალიზაციას მტრულად ეკიდება. მეტიც: ამ განწყობილების გამარჯვებამ რეფერენდუმში ევროპის კონსტიტუციაზე უარის თქმის სახით წაახალისა ეს პოზიცია და პროტექციონიზმის (როგორც ჟურნალი ამბობს: მჟავე) სუნი დაატრიალა. მაგრამ ფრანგული ეკონომიკა უფრო და უფრო ღია ხდება გლობალიზაციისათვის.

საფრანგეთი მსოფლიოს სიდიდით მეხუთე ეკონომიაა და სიდიდით მეხუთე ექსპორტერი. 2004 წელს მან 560 მილიარდი დოლარის საქონელი გაიტანა. იგი მსოფლიო კლასის ავტომწარმოებელია (რენო, პეჟო, სიტროენი), დამზღვევი, კოსმეტიკის მწარმოებელი და ნავთობპროდუქტების გამტანი („ტოტალი“). მოგება დიდია. მაგალითად, 2004 წელს რენოს მოგებამ შეადგინა 3,5 მლრდ ევრო, „ტოტალის“ მოგებამ ა.წ. პირველ კვარტალში — 2,9 მლრდ. ფრანგული კომპანიები და ფრანგები ძალიან არიან გასულები მსოფლიო ბაზრებში და მსოფლიო ფირმათა ხელმძღვანელ თანამდებობებზე. ესენი გლობალიზაციაში დიდ მოგებას ნახულობენ. ეს გარემოება გაანთავისუფლებდა ამ ფირმებს ყოველგვარი ეჭვებისაგან იმაზე, კარგია თუ არა გლობალიზაცია საფრანგეთისთვის, რომ არ არსებობდეს საპირისპირო პროცესი — უცხო ინვესტიციები საფრანგეთში, რომელთაც ზრდის ტენდენცია აქვთ. საფრანგეთი დაინტერესებულია (ბუნებრივია) ინვესტიციების მოზიდვაშიც და თავისთავის რეკლამირებაშიც, როგორც დაბანდების ადგილისა. მაგრამ ვითარებაზე მსჯელობისთვის ყოველივე ზემოთქმული არ კმარა: რაც უნდა ბევრს იგებდნენ საფრანგეთის დიდი ფირმები უცხოეთში თავისი პროდუქციის ექსპორტით, ფაქტია, რომ საფრანგეთის კომპანიების მხოლოდ 5% არის ისეთი, რომლებსაც სულაც რაღაცა გააქვთ, ამიტომ ზოგად სურათს სწორედ ეს უმრავლესობა ქმნის. ინვესტორი უცხო ფირმები ცდილობენ ნაკლები სამუშაო ადგილები შექმნან და აქცენტს მექანიზაციაზე აკეთებენ. ასევე იქცევა ფრანგული ფირმაც. მიზეზი ისაა, რომ საფრანგეთში კანონმდებლობა ძალიან აძვირებს მშრომელის დაქირავებას. სამუშაო კვირა მოკლეა (დიდი უმუშევრობის, 10%, შედეგად), ხელფასის მინიმუმი მაღალია. დასაქმებებში, სადაც დიდია ფიზიკური შრომის როლი, მწვავეა კონკურენცია აღმოსავლეთ ევროპელი და აზიელი მუშახელის მხრიდან. აქედან წარმოდგება უმუშევრობაც, საყოველთაო ანტიპათიაც გლობალიზაციისადმი და ელიტარული პოლიტიკური აზრის მიერ იმის შეგნებაც, რომ საჭიროა კანონმდებლობის შეცვლა დამქირავებლისათვის მეტი თავისუფლების მიცემის მიმართულებით.

### მეორე წერილი ჩინური კონკურენციის ფაქტორს ეხება

ამერიკელი პოლიტიკოსები უკვე ოცი წელია შიშით ადევნებენ თვალს ჩინეთის პოტენციალის ზრდას. ევროპელები მას თითქოს არც ამჩნევდნენ. 2000 წელს რომ ლისაბონის პროგრამა მიიღეს მკაფიო მიზნით — რომ 10 წლის მანძილზე მსოფლიოს ყველაზე კონკურენტუნარიანი, ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკური ერთეული გახდნენ — ევროპის ლიდერე-

გაგრძელება მე-16 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# III. სხვადასხვა

## რა არის გლობალიზაცია?

დასაწყისი მე-15 გვ.

ბი მეტოქედ გულისხმობდნენ ამერიკას, კი ერთხელაც არ გახსენებიათ, მაგრამ ამ წლის დამდეგს მოიხსნა შეზღუდველნი ჩინური ტექსტილის ტარიფებზე და ამ საქონელმა წამსვე ევროპა წალეკა. იგივე ხდება მრავალი საქონლის იმპორტშიც. მიღებული ზომა – ჩინეთის ექსპორტზე შეზღუდვების შემოღება – საქმეს ვერ ცვლის. „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) ნორმებით, ასეთი შეზღუდვა ორ წელზე ხანგრძლივი ვერ იქნება. ევროპის სავაჭრო დეფიციტი ჩინეთთან 2004 წელს არის 98 მილიარდი დოლარი, აშშ-სა – 160 მილიარდი. ევროპელთა თვალში დღეს ურთიერთგაიგივებულია გლობალიზაცია, ჩინეთის წამოწევა, სამუშაო ადგილების დაკარგვა და უსაფრთხოების დარღვევა.

რა უნდა ქნას ევროპამ? ფრანგები იხრებიან პროტექციონიზმისკენ, ტონი ბლეირი, პირიქით, ევროპელებს ურჩევს უფრო მაგრად შეუშვირონ მკერდი კონკურენციის ქარებს. რიგითი ფრანგი ფიქრობს, რომ მისი „მეტისმეტად ლიბერალური“ პოლიტიკოსები საფრთხეს უქმნიან მისი ცხოვრების წესს, მას ეშინია აღმოსავლეთ ევროპელთა შემოსვლისა ევროკავშირში ახალმიღებული ქვეყნებიდან და „კიდევ უფრო მშიერი ჩინელი და ინდოელი მუშახელის“ შემოსვლისა. პოლიტიკოსებიც ცდილობენ, აამონ მას და ზრუნავენ იმისათვის, რომ რაც შეიძლება გადაავადონ აღმოსავლეთ ევროპიდან მუშახელის თავისუფლად შემოსვლის დაშვება. საფრანგეთში გაისმის მოთხოვნაც, რომ მოხდეს მაღალი საბაჟო ტარიფებით მთლიანად ევროპის დაცვა ჩინეთისაგან და სხვა აზიელი „ვეფხვებისაგან“.

ბლეირი, პირიქით, აფრთხილებს ევროპელებს, რომ „არ შექუჩდნენ გლობალიზაციისაგან თავის შესაფარებლად“, არამედ იბრძოლონ თავისი კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.

ცხადია, რომ პროტექციონიზმისაკენ მოწოდება კრიტიკას ვერ უძლებს. გამოთვლილია, რომ ჩინეთის ექსპორტი საფრანგეთში დაკარგულ სამუშაო ადგილთა მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილის მიზეზია. უმუშევრობა აქ 1990 წლიდან ქმნის მწვავე პრობლემას, მისი წამალია მუშახელის ბაზრის რეფორმირება ანუ სამუშაო ადგილთა შექმნისათვის (მაშასადამე – დამქირავებლისათვის) უკეთესი პირობების შექმნა.

პროტექციონიზმი დაასახიჩრებს დიდი წარმატებული ფირმების ექსპორტს, მაგალითად – გერმანული მანქანაიარაღების ექსპორტს ჩინეთში, რომელიც უზარმაზარია. მაგრამ „დიდი ბიზნესი საფრანგეთშიც და გერმანიაშიც არაპოპულარულია. ორივე ამ ქვეყანაში შიშისა და თავდაცვის განწყობილება ბატონობს. ეს სწორედ ის მდგომარეობაა, რომელშიც პოხიერ ნიადაგს პოულობს „ჭკუასთან ახლოს მყოფი“ არგუმენტები თავისუფალი ვაჭრობის წინააღმდეგ.

## რატომ ომობენ ბავშვები?

ბავშვი ჯარისკაცები ომობენ (ქირით) შეიარაღებულ კონფლიქტთა ორ მესამედში.

ბირმიდან შრი ლანკამდე და სიერა ლეონემდე შეხვდებით ამ გავრცელებულ მოვლენას. ბავშვები მსხვერპლნიც არიან და სამხედრო დამნაშავენიც. როგორც წესი, შემზარავ სისასტიკეს იჩენენ. სპილოს ძვლის ნაპირელი მწერალი, პრემიის ლაურეატი აჰმადუ კურუმა თავის რომანში „ღმერთს ვალდებულებები არა აქვს“ წერს, ბავშვი ჯარისკაცი XX საუკუნის დამლევის ყველაზე გავრცელებული პერსონაჟიაო.



ეს ბავშვი დაქირავებული ჯარისკაცია

რატომ? ამ საკითხის მკვლევარი სინგერი თვლის, რომ ძირითადი ფაქტორია სიღატაკე. „გლობალიზაციის მეოთხედმა საუკუნემ დაფხრიწა ტრადიციული საზოგადოებები და მილიონები ცარიელზე დატოვა. ბავშვთა გამოყენება ომში ისე ჩვეულებრივი გახდა, რომ ომის ახალ დოქტრინად გამოიყურება“.

ეს ხდება ძირითადად ვერშემდგარ სახელმწიფოებში, სადაც ადვილად იკვრება „კოალიციური აგრესიის“ ჯგუფები არსებობისათვის საბრძოლველად. მსუბუქი, ბავშვის მოსარევი იარაღი ბევრია, ძარცვა-გლეჯა და ძალაუფლებაზე ნადირობა – შეუზღუდავი. ბავშვის დაყოლიება სისასტიკეზე ადვილია. ზოგი მეცნიერი ფიქრობს, რომ შუბლის წილი ტვინის ის ნაწილია, რომელიც ადამიანს აკავებს შეუსაბამო საქციელისაგან. ეს წილი თავის სრულ განვითარებას 20 წლის ასაკში აღწევს.

რა შეიძლება ეშველოს ამ პრობლემას? დასავლეთმა ჯერ არაფერი მოიმოქმედა სამოქალაქო ომის შესაჩერებლად ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ლიბერია, სიერა ლეონე ან კონგო. ბავშვი ჯარისკაცების გამომყენებლებთან შეგონებით ვერაფერს გახდებით. სინგერის აზრით, მათ ძვირად უნდა დავუსვათ ეს საქმე, თუნდაც დიდი სასჯელის დაკანონებით, როგორც სამხედრო დანაშაულზე. მაგრამ ვერ გავექცევით იმას, რომ სამხედრო პირებმა „გული გაიფოლადონ იმ არჩევანებისათვის, რომელთა წინაშეც დადგენიან თავის წინ ბავშვი მოწინააღმდეგეების დანახვისას“. ჩვეულებრივმა არმიებმა წესად უნდა გაიხადონ ბავშვი მოწინააღმდეგეების მოკვლა, მაგრამ ამავე დროს – ბავშვებს უნდა მისცენ გასასვლელი დერეფანი და მიზანში ამოიღონ მათი მოზრდილი მეთაურები.

## „მაჰმუდი და ატომური მოლები“

იმ სკრუპულოზური ანალიზების ფონზე, რომლებიც the Economist-მა უძღვნა ირანის ბირთვული პროგრამის შეკავების ამოცანას, თვალში საცემია ეს ირონიული სათაურიც ირანის ახალი პრეზიდენტის არჩევისადმი მიძღვნილი მოკლე წერილისათვის. თვით წერილიც არანაკლებ ირონიულია. მასში, მოკლედ და მიუკიბავ-მოუკიბავად, კონსტატირებულია შემდეგი.

მისმა არჩევამ გაკვირვება გამოიწვია თვით თეოკრატიულად მართულ ირანულ ნახევარდემოკრატიაშიც კი. რეფორმათა მსურველი ირანელები დაღონდნენ. არჩევნები ჭუჭყიანი იყო, მეტოქეზე მოპოვებული უპირატესობა – დიდი (17 მლნ ხმა 10 მლ-ს წინააღმდეგ). პრეზიდენტი რევოლუციური გვარდიის ყოფილი წევრია, მკაცრი ხაზის მომხრე, საარჩევნო კომპანიის დროს იგი მკაცრი იყო მეტოქის – ირანის ყოფილი პრეზიდენტის, რაფსანჯანის მიმართ.

მისმა არჩევამ დააფიქრა ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია. ამერიკის მხარდაჭერით, ისინი აპირებენ ირანთან მოლაპარაკებას, რათა ხელი აალებინონ სახიფათო ბირთვულ ტექნოლოგიებზე, რომლებითაც მდიდრდება ურანი და იწარმოება პლუტონიუმი – თითქოსდა ელექტროსადგურებისათვის, სინამდვილეში კი (როგორც დასავლეთს ეჭვი აქვს) ბომბის გასაკეთებლად ან ისეთი ვითარების შესაქმნელად, როცა ბომბის გაკეთება, გადაწყვეტილებისთანავე, მოკლე დროში შესაძლებელი იქნება. ეს დიპლომატიური მისია ძნელი იქნება, ვინაიდან ირანის ბირთვულ პოლიტიკას მართვენ არა არჩეული პოლიტიკოსები, არამედ მოლები. მათი ლიდერი აიათოლა ალი ხამანეი ახალ პრეზიდენტთან დაახლოებული პირია.

ირანელებს ეამაყებათ მათი ქვეყნის ბირთვული ამბიციები, მაგრამ წუხილიც აქვთ. მოსახლეობის ორი მესამედი 30 წელზე ახალგაზრდაა, ოფიციალურად 16% (და არაოფიციალურად, ალბათ, ორჯერ მეტი) უმუშევარია. სიღატაკე დიდია. ახალი პრეზიდენტი კამპანიის დროს ჰპირდებოდა ხალხს, რომ დაეხმარება ნავთობდოლარების განაწილების სისტემის შეცვლით, მაგრამ ამ დოლართა მეტ-ნაკლებად თანასწორი განაწილება ეკონომიკას ვერ უშველის, მოსახლეობა ძალიან სწრაფად იზრდება, ეკონომიკა მას ვერ მისდევს. ინვესტიციები სჭირდება არა მხოლოდ წარმოების ამუშავებას საერთოდ, არამედ მოძველებულ სანავთობე ინდუსტრიასაც კერძოდ. სანამ ისინი ხელს არ აიღებენ თავის ბირთვულ პროგრამაზე, ინვესტიციები არ მოვა.

ევროპული სამეული ირანს შესთავაზებს წინადადებათა პაკეტს: ირანმა ხელი უნდა აიღოს ურანის გამდიდრებასა და პლუტონიუმის წარმოებაზე, რადგან არის სხვა ტექნოლოგიებიც, გარდა ამ უკიდურესად ძვირისა, ბირთვული ნედლეულით დენის გამომუშავებისათვის. ევროპელები წინააღმდეგნი არ იქნებიან, თუ ირანი – სათანადო კონტროლით, – ბირთვულ საწვავს შეიძენს რუსეთისაგან, რომელიც უკვე ამარაგებს ნედლეულით მის რეაქტორებს. ისინი დაემუქრებიან გაეროში ჩივილით, რაც მას არ უნდა, თუმცა იმედი აქვს, რომ მის წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებებს ვეტოს დაადებენ რუსეთი ან ჩინეთი. ჟურნალის აზრით, მას უნდა დაემუქრონ მკაცრი ეკონომიკური სანქციებითაც, და იმედი აქვს, რომ მის დარწმუნებაში მონაწილეობას მიიღებს რუსეთიც, რომელსაც „ეშინია ბირთვული იარაღით აღჭურვილი მეზობლის ყოლისა თავის სამხრეთით“.

**P.S. ეს წერილი გამოქვეყნებულია 2 ივლისის ნომერში. ის, რომ მას შემდეგ გადაიდგა ნაბიჯი რუსულ-ჩინური-ირანული ალიანსის შექმნისაკენ, ამ წერილში გათვალისწინებული არ არის.**

### ეკოლოგიური არაკომპეტენტურობის შედეგი



ალდგომის კუნძულზე მდგარ ამ ქვის გიგანტებს ყველა იცნობს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც უკვდავმა მოგზაურმა თურ ჰეირდალმა მათ თავისი ღირშესანიშნავი მოგონებების პასაჟი მიუძღვნა, მაგრამ ცოტამ თუ იცის მათი მარტოობის მიზეზი. თურმე მოსახლეობა ამ კუნძულზე ამოწყდა ხეების მასობრივი მოჭრის შედეგად. ხეები კი იმიტომ მოჭრეს, რომ ბელადები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ამ გიგანტთა აღმართვაში, რისთვისაც მათ ფიფი რაოდენობით მორები სჭირდებოდათ. ასე იცის ეკოლოგიურმა არაკომპეტენტურობამ.

### განგსტერები მიჩიხულნი იქნებიან დნესტრისპირეთში

დნესტრისპირეთის პატარა პოლიციური „ქვაზი-სახელმწიფო“ რუსეთს არ ეთმობა, როგორც მისი ყოფილი იმპერიის ბასტიონი. იგი ცხოვრობს უკანონო ვაჭრობით (იარაღის ვაჭრობის ჩათვლით), რომლითაც დიდი შემოსავალი აქვს ადგილობრივ და მეზობელ მოხელეებსა და პოლიტიკოსებს, მაგრამ არა ხალხს. ახალმა უკრაინამ წამოაყენა დარეგულირების გეგმა, რომელიც მოიცავს შეთანხმებას მოლდოვასთან და არჩევნების ჩატარებას (მოსახლეობა უმთავრესად რუსულია). ეს ადგილობრივ ხელისუფლებას და მაფიას არ მოსწონთ, რადგან იგულისხმება დამკვირვებელთა მიყვანა. პრობლემა ჰაერშია გამოკიდული, რადგან რუსეთს წასვლა არ უნდა (მას იქ „მემშვიდობეები“ ჰყავს) და ჯერჯერობით იძულებული არ არის, უკრაინას კი იმდენი ძალა არა აქვს, რომ თავისი ნება განახორციელოს (“The Economist“).

## როგორ დაქვეითდა რუსეთის ძლიერი არმია

ამ სათაურით The Economist ბეჭდავს რუსეთის შეიარაღებულ ძალთა დღევანდელი მდგომარეობის მიმოხილვას. გაწვეულთა გასაჭირისა და მათდამი ცუდი მოპყრობის აღწერის შემდეგ იგი გვაცნობს ციფრებს: წლიური გაწვევა – 350 ათასი, არა ბრძოლაში სიკვდილი – წელიწადში 1000



რუსი ახალწვეულები

კაცი, თოფქვეშაა 1200000 კაცი. გაწვევაში გადის გასაწვევთა დაახლოებით 10% (დანარჩენები თავს იძვრენენ ქრთამებით ექიმებთან და გამწვევ ოფიცრებთან. გაწვევაში ხვდება უხარისხო, ნაკლებგანათლებული ნაწილი). დაგეგმილია პროფესიული სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობის აყვანა მთელი არმიის 70%-მდე. თავდაცვის მინისტრს ივანოვს – პრეზიდენტობის ერთ-ერთ მომავალ კანდიდატს – ტენდენცია აქვს, მდგომარეობა შეალამაზოს, მაგრამ დღეს იგი პირობას იძლევა, რომ მდგომარეობას „გამჭვირვალე“ გახდის.

გაწვევის მთლიანად მოხსნა არ იგეგმება, რადგან არმიის მეტისმეტად შეკვეცა შეუძლებელს გახდის ტერიტორიის დაცვას. მეორე მხრივ, რეფორმის გარეშე დატოვებული არმია დღეს ველარ მოიგერიებს სერიოზულ თავდასხმას. „რუსეთის ბირთვული შეიარაღება მისი ერთადერთი რალური დაცვაა სტრატეგიული საშიშროებისაგან“, ამიტომ ჯობია არმია მჭლე იყოს და მოძრავი, რათა ებრძოლოს ადგილობრივ ამბოხებებს და ტერორიზმს. არმიის მშენებლობის პოლიტიკაში დიდ როლს თამაშობს გენერალიტეტის პირადი ინტერესი: მათი თანამდებობები დამოკიდებულია ჯარის რაოდენობაზე. გაწვეულები გამოიყენებიან მუქთა მუშახელად (რითაც ფული კეთდება), გაწვევის არსებობას დიდი ფული შემოაქვს ქრთამების სახით.

რუსეთის მოსახლეობის სწრაფი კლება უფრო და უფრო ამწვავებს გაწვევის პრობლემას. მოსახლეობას მისი გაუქმება უნდა. თუ რამე მოარყევს პუტინის რეჟიმის ჯერ კიდევ დიდ პოპულარობას, ეს იქნება შინაურების ჯარში გაწვევისაგან დაცვის მძიმე პრობლემა.

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 გაზეთის ინდექსი 66447

შპს გაზეთი „საქართველო“ რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444 ტელ: 93-20-36

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.